PRIME
# Time
N23 (324) ორშაბათი, 15 ივნისი, 2015 წ.
ყოველკვირეული გაზეთი
ფასი 2 ლარი
www.ptpress.ge



EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL
TBILISI 2015
Coca-Cola PROUD PARTNER

## SCANDAL



## რა გახდა 3 წლის ბავშვის გარდაცვალების მიზეზი?



„ბავშვს გამაყუჩებლის ისეთი დოზები ჰქონდა გაკეთებული, რომ, ალბათ, ცხენს წააქცევდა“

ლილე მხეიძე გლანდებისა ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა

EXCLUSIVE



## 13 ივნისი

## „ეს დანაშაულია, ვიღაცამ პასუხი უნდა აგოს!“

სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ მხარდაჭერით ბათუმში მეორე საერთაშორისო სამედიცინო კონფერენცია გაიმართა

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია







„მოვუწოდებთ მომხმარებელს, არ შეიძინოს გარევაჭრობის დროს საფრთხის შემცველი პროდუქცია“





EXCLUSIVE

## „დანერგე მომავლის“ პირველი „მოსავალი“



14 დაფინანსებული ფერმერი და უპრეცედენტო თანამედროვე ქართული ბაღები აწმყოშია



## გიორგი თავდგირიძის ცოლი ირაკლი ჩიქოვანის წინააღმდეგ

EXCLUSIVE

ციფრული მაუწყებლობის სააგენტო
2015 წლის 17 ივნისიდან საქართველო ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადადის.
www.Digitaltv.ge
ცხელი ხაზი: 14 80

## SOS!

## სასიკვდილო პროდუქტების

„ტრანსცხიმები შედის კარაქებში, მცენარეულ მარგარინებში, მცენარეულ ზეთებსა და მათი გამოყენებით დამზადებულ პროდუქტებში“

ბოლო კვლევების შედეგები საგანგაშოა

## სკანდალი კაბელების თემაზე



EXCLUSIVE

რატომ ადანაშაულებენ მოსამართლე დავით ჯულელს ქრთამის აღებაში

ვინ იყო შუამავალი და რა კავშირი აქვს ამ სკანდალთან კახა ჩიხრაძეს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# 13 ივნისი

## „ეს დანაშაულია, ვიღაცამ პასუხი უნდა აგოს!“















**თბილისში ჯერ ზარალს ითვლიან, პასუხისმგებლობაზე მოგვიანებით ისაუბრებენ. წინასწარი ინფორმაციით, ზარალი 10 მილიონს აჭარბებს, დაღუპულთა რიცხვმა 12-ს უკვე მიაღწია. ვარაუდობენ, რომ ეს ციფრი კიდევ გაიზრდება, მაშველები უგზო-უკვლოდ დაკარგულებს ეძებენ.**

ახლა ყველა ეძებს პასუხს, რატომ მოხდა ეს ტრაგედია, რატომ იყო წყალდიდობა ამდენად ტრაგიკული და ვინ აგებს პასუხს.

ფაქტი ერთია – ზედა წყნეთში ძლიერმა წვიმამ და სეტყვამ მთის მასივი მოწყვიტა და ღვარცოფი თბილისისკენ დაიძრა, ვერის ხეობაში ამას კატასტროფა მოჰყვა. ექსპერტები და სპეციალისტები აცხადებენ, რომ თავის დროზე, ახალი გზის მშენებლობის დროს, მდინარის არტახებში მოქცევა და ამ ხეობაში მშენებლობების დაშვება შეცდომა და დანაშაული იყო.

**ჭიჭიკო ჯანელიძე, გეოგრაფი, პროფესორი:**

– ეს პროექტი უჭკუოდ არის გაკეთებული. არავინ მდინარის ხეობის თავისებურება არ გაითვალისწინა. 10-20-50 ან 100 წელიწადში ერთხელ მაინც შეიძლება მოხდეს დიდი წყალდიდობა. ეს მეცნიერულად დამტკიცებულია. შეიძლება ისეთი წყალდიდობა მოვიდეს, რომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბოს.

შეცდომა და დანაშაულია არა მხოლოდ მდინარის არტახებში მოქცევა, არამედ ამ ხეობაში მშენებლობებზე ნებართვის გაცემაც. ხეობაში მშენებლობები მიდის. ეს დაუშვებელია. მრავალსართულიანი სახლები ზუსტად


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სი

# რეპორტაჟი სტიქიური უბედურების ზონიდან





















## „შეცდომა და დანაშაულია არა მხოლოდ მდინარის არტახებში მოქცევა, არამედ ამ ხეობაში მშენებლობებზე ნებართვის გაცემაც“

მდინარის ქალაშია აშენებული, რომელიც პერიოდულად იტბორება წყალდიდობებისას. ეს არ არის სტიქიის ბრალი, ეს ადამიანების წინდაუხედაობის ბრალია.

ახალი გზის გასაყვანად მათ შეიძლება მიიღეს გეოლოგების დასკვნა, მაგრამ ჰიდროლოგების დასკვნა?

ვინც ხელისუფლებას მდინარის მილებში მოქცევა შესთავაზა, დამნაშავეა. მდინარეს აუცილებლად უნდა ჰქონდეს თავისუფალი კალაპოტი. წყალდიდობის დროს მხოლოდ წყალი კი არ მოდის, მოდის ხეები, ქვები, მიწა... ეს ყველაფერი მილში ვერ გადის და იჭედება. წყალი ველარ გადის და იტბორება...

1963 წელს ამაზე უარესად დაიტბორა ზოოპარკის ტერიტორია. არც ერთი ცხოველი არ გადარჩენილა. ანუ პრეცედენტები არსებობს და ცნობილია, მაგრამ დაივიწყეს. მაშინ ხეობაში მშენებლობები არ მიმდინარეობდა, აკრძალული იყო...

შეცდომაა, მდინარის არტახებში მოქცევა, ეს არ შეიძლებოდა. არის ასეთი გაგება – 01% უზრუნველყოფა წყალდიდობის. ეს ნიშნავს, რომ 100 წელიწადში ერთხელ მაინც მდინარეზე გაივლის საშუალო წლიური ნორმიდან 50-ჯერ, 60-ჯერ მეტი წყალი მომენტალურად, ეს დადგენილი ფაქტია. ვინც მილები, გვირაბების მოცულობა დაიანგარიშა, შეცდომა დაუშვა... ამ მილებმა წყალი ვერ გაატარა. ეს არის დანაშაული და შეცდომა...

სოციალურ ქსელებში გაჩნდა მოწოდებები კატასტროფის შედეგების გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან დაკავშირებით. ამ მოსაზრებას პოლიტიკოსი **ვალერი გელბახიანიც** ეთანხმება. მისი შეფასებით, ექსპერტიზამ უნდა იმუშაოს და კონკრეტული ადამიანების პასუხისმგებლობის საქმეც უნდა დადგეს:

– ვფიქრობ, ექსპერტიზამ უნდა დაადგინოს ასეთი კატასტროფის გამომწვევი მიზეზები და საექსპერტო დასკვნის შემდეგ შესაბამისი პირების პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს. ეს აუცილებელია. ღვარცოფები საქართველოში ყოველთვის იყო, მაგრამ ასეთი კატასტროფული შედეგები არ დამდგარა. ამაზე ვიღაცამ პასუხი უნდა აგოს.

ახალი გზის პროექტის ავტორი **თამაზ შილაკაძე** გახლავთ. ერთ-ერთი ინფორმაციით, ეს პროექტი მას ჯერ კიდევ კომუნისტების დროს ჰქონდა შემუშავებული, თუმცა, როგორც ექსპერტებმა პირად საუბრებში აგვიხსნეს, მას მოწინააღმდეგეები ჰყავდა ეკოლოგებისა და ჰიდროლოგების სახით.

უკვე მოგვიანებით, როცა წინა ხელისუფლებამ პროექტს მსვლელობა მისცა, ეკოლოგები მას აქტიურად აპროტესტებდნენ და საქმე სასამართლოშიც შეიტანეს, ისინი პროექტის საჯარო განხილვასა და ექსპერტების შეფასებებს ითხოვდნენ. თუმცა, პროტესტის მიუხედავად, პროექტი განხორციელდა. თავად „ნაციონალურ მოძრაობაში“ აცხადებენ, რომ ასეთი კატასტროფები ყოველთვის ხდება და მისი ვინმეზე გადაბრალება არასწორია.

საქართველოს პროკურატურაში ადასტურებენ ინფორმაციას რომ მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია მოკვლევა. როგორც განგვიმარტეს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს საქმის შესწავლა და მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა დაიწყება თუ არა გამოძიება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გიორგი თავდგირიძის ცოლი ი

ირაკლი მამალაძე

**ცნობილი ექსპერტის, გიორგი თავდგირიძის ხუთსულიანი ოჯახი უკვე ერთი წელია, რაც საკუთარი სახლიდან გამოასახლეს და ქირით ცხოვრობს. გიორგი თავდგირიძის მეუღლე აცხადებს, რომ მისი კუთვნილი ოთხოთახიანი ბინა, რომლის საბაზრო ღირებულებაც 100 000 დოლარია, აუქციონის წესით, ფარულად, 48000 ათას დოლარად გაუყიდეს. თინა წერეთელი დარწმუნებულია, რომ მისი ქონების ხელში ჩასაგდებად ორგანიზებული ჯგუფი მოქმედებდა, რომლებსაც პარლამენტის წევრი ირაკლი ალასანიას პარტიის გენერალური მდივანი ირაკლი ჩიქოვანი მფარველობს. როგორც ირკვევა, ჩიქოვანი თბილისსა და ზუგდიდში გავლენიანი მევახშეების, დები მილორავების ახლობელია. ანანო მილორავა, რომელმაც თავდგირიძეების ოჯახი გამოასახლა, ღიად აცხადებდა, რომ მის უკან პარლამენტარი ირაკლი ჩიქოვანი იდგა. თვითმხილველები აცხადებენ, რომ ახალი ბინის მეპატრონე გამოსახლებაზე, აღმასრულებლებთან ერთად, შავი ჯიპით მივიდა, რომელსაც „ქართული ოცნების“ სტიკერები ჰქონდა დაკრული. „პრაიმტაიმთან“ სკანდალური გამოსახლების დეტალებს გიორგი თავდგირიძის მეუღლე თინა წერეთელი იხსენებს.**



**„აღსრულების ბიუროში პირდაპირ გვითხრეს, თქვენს გამოსახლებას სასწრაფოდ ითხოვენ და ვერ ვაჩერებთ, ვიღაც რეკავს გავლენიანი ადამიანიო“**

– ძალიან მიჭირს ამ საშინელი დღის გახსენება, ნამდვილად არ ველოდი, ასეთ დღეში თუ ჩაგვყრიდნენ. არა იმიტომ, რომ ვინმეზე მეტი ვართ, არა, უბრალოდ, ჩვენ ცხრა წლის მანძილზე ვიყავით რეჟიმის მსხვერპლი. ჯერ იყო და ირაკლი ოქრუაშვილმა დაიჭირა გიორგი სრულიად უკანონოდ, მაშინ სამხედრო აკადემიის რექტორის თანამდებობაზე მუშაობდა. ვერ დაუმტკიცეს ბრალი და გამოუშვეს, მაგრამ ციხეში ყოფნა მაინც მოუწია. ამის მიუხედავად, ეს საქმე არ არის გადახედილი და არც სამსახურში აღუდგენიათ. შემდეგ იყო მუდმივი დევნა, ვერსად ვერ დასაქმდა, იყო ოპოზიციაში და აკეთებდა კრიტიკულ განცხადებებს. შემდეგ გაერთიანებულ ოპოზიციას შეუერთდა, 2008 წლის ივნისში ჩაუსაფრდნენ და სოდ-ის თანამშრომლები 3 დღე უთვალთვალებდნენ. ბოლოს თავს დაესხნენ და სასტიკად სცემეს. სამ ადგილას ჰქონდა ფეხი მოტეხილი და უამრავი დაზიანება მიაყენეს, ძლივს გადარჩა. მინდა გითხრათ, რომ გიორგი აფხაზეთისა და ოსეთის ომის მონაწილე და ვეტერანია. მას ძალიან უყვარს ის სფერო, სადაც მოღვაწეობს. ერთი წესიერი და კეთილსინდისიერი ადამიანია. ალბათ, დამეთანხმებით, როგორც ჟურნალისტი, გიორგი ყოველთვის მზად არის ჟურნალისტებთან სასაუბროდ და ეხმარება ამ ქვეყანას თავისი ცოდნითა და გამოცდილებით, მაგრამ ჩვენ არ დაგვიდგა სახელმწიფო გვერდით, როცა ძალიან გაგვიჭირდა.



**– რატომ ვერ შეძელით, სამართლებრივად თავიდან აგეცილებინათ გამოსახლება და რამდენად კანონიერად გასხვისდა თქვენი ქონება?**

– იმის გამო, რომ ცხრა წელი დევნაში ვიყავით და ვერსად ვმუშაობდით, რაღაცით ხომ უნდა გვეარსება. ავიღეთ ვალი – 48 ათასი დოლარი, ბინის უზრუნველყოფით, „პროკრედიტ ბანკიდან“ და ჩავდეთ ეს თანხა ბიზნესში. ვალის ნაწილი – 27 ათასი დოლარი გადახდილი გვქონდა, მაგრამ გაჩნდა პრობლემები და ველარ ვიხდიდით. ამის გამო ბინა გადავიდა კერძო იპოთეკარის ხელში და ის აუქციონზე გაიყიდა ჩვენგან ფარულად. არ მოგვცეს გაყიდვის საშუალება, ბინა საბაზრო თანხის ნახევრად გაყიდეს, ან უბრალოდ ეს თანხა დააფიქსირეს, ჩვენ რომ არაფერი შეგვხვედროდა. სახლი, რომელიც $100 000-ად იყო შეფასებული, ამ თანხის ნახევრად გაიყიდა. შემდეგ გავიგეთ, რომ ბინა ბანკის ერთ-ერთი თანამშრომლის, სოფიო მილორავას სახელზე აღმოჩნდა. როგორც გავარკვიეთ, ამ ოჯახის ყველა წევრი, ბავშვების გამოკლებით, იპოთეკით დატვირთული ბინების შესყიდვის სქემაში მონაწილეობს. შემდეგ ოჯახებს ასახლებენ და მევახშეობა მათი ძირითადი საქმიანობა.

**– თქვენ არ გქონდათ რაიმე ბერკეტი, ეს გამოსახლება რომ შეგეჩერებინათ?**

– ჩვენ ვითხოვდით ერთთვიან ვადას და მზად ვიყავით, თუ ვალს ვერ დავფარავდით, სახლს დავცლიდით და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გადავცემდით ახალ მეპატრონეს, მაგრამ ეს ვადაც კი არ მოგვცეს. აღსრულების ბიუროში პირდაპირ გვითხრეს, თქვენს გამოსახლებას სასწრაფოდ ითხოვენ და ვერ ვაჩერებთ, ვიღაც რეკავს გავლენიანი ადამიანიო.

**– დაადგინეთ, ვისი ინტერესები იკვეთებოდა?**

– დავადგინეთ, რომ დები მილორავები არიან ცნობილი მევახშეები და ძალიან საშიში ხალხი, მათ აქვთ თავიანთი მეთოდი, როგორ დაიკავონ სახლი და აიძულონ ადამიანი, გამოვიდეს ბინიდან. ჩვენ ვიყავით სახლში აღმასრულებელთან ერთად. ჩვენთან ერთად იყო ტელეკომპანია „კავკასიის“ ჟურნალისტი და ბატონი დავით აქუბარდია. ამ დროს ეს ქალბატონი ანანო მილორავა შემოიყვანეს, ვითომ ხელი უნდა მოეწერა გადავადებაზე, მაგრამ შევარდა



## მფარველობს თუ არა პოლიტიკოსი თბილისში ცნობილ მევახშეებს და რა კავშირი აქვს მას ქონების მითვისებასთან



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რაკლი ჩიქოვანის წინააღმდეგ





## „დები მილორავები არიან ცნობილი მევახშეები და ძალიან საშიში ხალხი“

აბაზანაში და ჩაიკეტა, აღარ გამოდიოდა. ამის შემდეგ აღმასრულებელმა სცადა მისი გამოყვანა, რა დროსაც ბასრი საგანი ამოიღო ჩანთიდან და ვენების გადაჭრით იმუქრებოდა. ამის შემდეგ დავით აქუბარდია დაელაპარაკა და სთხოვა, ერთთვიანი ვადა მოეცა, რომ ქირით მაინც გავსულიყავით. ეს ქალი იყო შეუვალი, დაგვემუქრა, გვითხრა, რომ აზრი არ ჰქონდა მასთან ლაპარაკს, გამოსახლება არ შეჩერდებოდა, არ ეშინოდა ჩვენი, რადგან მის უკან პარლამენტის წევრი ირაკლი ჩიქოვანი იდგა.

**– ეს ინფორმაცია არ გადაამოწმეთ?**

– რა თქმა უნდა, დავით აქუბარდია დაუკავშირდა ირაკლი ჩიქოვანს. თავიდან მან უარყო, თითქოს ამ ადამიანებს არ იცნობდა, შემდეგ კი ტელეფონით დაელაპარაკა. ერთ-ერთმა მეზობელმა გაიგონა, როგორ უყვიროდა ჩიქოვანი ამ ანანოს, ჩემი სახელი რამ გახსენებინა, მანდ თუ ჟურნალისტები იყვნენო. ამ ზარის შემდეგ ეს ქალი განერვიულდა, მაგრამ მაინც არ დათმო პოზიციები. ამის შემდეგ ჩიქოვანი იძულებული გახდა, ადგილზე მოსულიყო თითქოს დასახმარებლად. შევიდა ამ ქალბატონთან, მეგრულ ენაზე ელაპარაკა, შემდეგ გამოვიდა და თქვა, აზრი არ აქვს, არ გაითვალისწინა ჩემი თხოვნაო.

**– როგორ ფიქრობთ, ირაკლი ჩიქოვანი იყო ჩართული თქვენი გამოსახლების პროცესში? ის ხომ მოლაპარაკებზე მოვიდა?**

– ეს პირდაპირ თქვა ანანო მილორავამ, ვერაფერს ვერ მიზამთ,



ჩემ უკან ირაკლი ჩიქოვანი დგასო. ასეთი რაღაცები შემთხვევით არ ხდება, არც ის იყო შემთხვევით, როცა ეს ქალბატონი „ქართული ოცნების“ მანქანით მოვიდა. მის ჯიპზე „ოცნების“ ლოგოები იყო მიკრული. იმ დროს ირაკლი ჩიქოვანი კოალიციაში იყო და ირაკლი ალასანია თავდაცვის მინისტრი გახლდათ, რომელსაც აზრად არ მოსვლია იმ უსამართლობის აღდგენა, რაც გიორგის წინააღმდეგ განხორციელდა. მეტსაც გეტყვით, მათ გატეხეს სარდაფი მას შემდეგ, რაც ბინა ხელში ჩაგდეს და წაიღეს გიორგის კომპიუტერი. არ გამოვრიცხავ, რომ ეს ალასანიას ხალხს გაეკეთებინა. პოლიციას მივმართეთ, მაგრამ საქმე გამოძიებული არაა, ვითომც არაფერი მომხდარა.

**– ქალბატონო თინა, არსებობს რამე გზა, რომ ეს ქონება დაიბრუნოთ სასამართლოს გზით?**

– მე ვითხოვ, ისევე სწრაფად გამოიძიოს სახელმწიფომ ჩემი ქმრისა და ოჯახის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები, როგორ სწრაფადაც გამომაგდეს სახლიდან. რომ არა ის უკანონო პატიმრობა და დევნა, რომელიც ჩვენი ოჯახის მიმართ ხორციელდებოდა, ხომ არ მივიდოდით ამ კატასტროფამდე? გამიყიდეს ბინა ნახევარ ფასში და გაოცდებით, მაგრამ უნდა ვთქვა. წარმოიდგინეთ, დღეს გიორგი თავდაცვის სამინისტროში მუშაობს და „პროკრედიტ ბანკმა“ ხელფასი დაუყადაღა, – 35 ათასი დოლარი გაქვთ გადასახდელი, სახლი ნახევარ ფასად გავყიდეთ და ვერ ვნახეთ მოგებაო. ასეთია მათი განმარტება. რაღაც საოცრება ხდება.

ახლა იძულებული ვართ, ეს ბინაც დავცალოთ, რადგან ქირას ვეღარ ვიხდით.

„პრაიმტაიმი“ შეეცადა, ინფორმაცია მოეძიებინა სოფიო და ანანო მილორავების შესახებ. ჩვენ ანონიმურად გვესაუბრა აღსრულების ბიუროს ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც ამბობს, რომ დები მილორავები არაერთი ოჯახის გამოსახლების საქმეში ფიგურირებენ. ისინი ცნობილი მევახშეები არიან და ზუგდიდისა და თბილისის ტერიტორიაზე მოქმედებენ. აღსანიშნავია ის ფაქტიც,



რომ დები მილორავები რამდენიმე ბაკთან თანამშრომლობენ და გარკვეული სქემის მიხედვით, იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებას ეუფლებიან. „პრაიმტაიმმა“ გაარკვია ისიც, რომ მილორავების ერთ-ერთი და, სოფიო მილორავა ამჟამად KSB ბანკის თანამშრომელია. რაც შეეხება მილორავების ურთიერთობას ირაკლი ალასანიას პარტიის მდივანთან, ჩვენ ეს ინფორმაციაც გადავამოწმეთ. ჩვენთან საუბარში ირაკლი ჩიქოვანმა სოფიო მილორავასთან ნაცნობობა დაადასტურა.

**– ბატონო ირაკლი, იცნობთ თუ არა დებ მილორავებს და რა ურთიერთობა გაკავშირებთ მათთან?**

– კი, ვიცნობ. ერთ-ერთი და იყო ჩემი კლასელი და მაკავშირებს მხოლოდ ეს ნაცნობობა.

**– ამ ადამიანებმა გამოსახლეს გიორგი თავდგირიძის ოჯახი. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ანანო მილორავამ განაცხადა, რომ თქვენ მფარველობთ მათ?**

– ეს, რა თქმა უნდა, გასაკვირია. მე ასეთ ცუდ საქმეში არავის გავუწევ მფარველობას და აბსურდია. შემიძლია, მოგიყვეთ ის, როგორ აღმოვჩნდი ამ სიტუაციაში. დამირეკა ბატონმა დავით აქუბარდიამ და მითხრა, რომ ამ ადამიანებმა ჩემი სახელი ახსენეს რაღაც კონტექსტში. მე ძალიან შევწუხდი. ბატონმა დავითმა მთხოვა, როგორმე დავხმარებოდი გიორგის ოჯახს, რომელსაც ასახლებდნენ.

მე უბრალოდ უნდა მეთხოვა ბინის ახალი მფლობელისთვის, რომ რაღაც ვადით შეჩერებულიყო გამოსახლება, რათა ამ ოჯახს მისცემოდა ნივთების გამოტანის საშუალება. მე შევეცადე დახმარებას და ტელეფონით გავესაუბრე ერთ-ერთ ქალბატონს, მაგრამ ჩემი ძალისხმევა უშედეგო აღმოჩნდა. ამის შემდეგ დამირეკა ჩემმა მეგობარმა, რომელიც, ასევე, იცნობდა და მეგობრობს გიორგისთან და მთხოვა დახმარება. გადავწყვიტე მივსულიყავი. ასეც მოვიქეცი, მივედი გიორგისთან სახლში, დაველაპარაკე ამ ადამიანებს კიდევ ერთხელ, მაგრამ მათი დარწმუნება მაინც ვერ შევძელი. ასე ვთქვათ, ჩემი შუამდგომლობა არ აღმოჩნდა მათთვის საკმარისი, რომ მიეცათ რაღაც ვადა გიორგისთვის.

**– რატომ იყენებდნენ ეს ადამიანები თქვენს სახელს? ამასთან დაკავშირებით განმარტებები არ მოსთხოვეთ?**

– მე ამ ადამიანებთან არანაირი ახლო კონტაქტი არ მქონია და შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი. შემდეგ გიორგისაც და დათოსაც ავუხსენი, რომ მოხდა ჩემი სახელის გამოყენება, რაზეც ძალიან შევწუხდი.

**– ანუ ამბობთ, რომ დებ მილორავებს მხოლოდ 17 წლის წინათ იცნობდით და სხვა შეხება მათთან არ გქონიათ?**

– არა, ასე ქუჩაში მინახავს, მაგრამ ისე, რომ ამ ადამიანებთან რაიმე ახლო ან საქმიანი ურთიერთობა მქონდეს, ასე არ არის ნამდვილად.

**– გამოსახლების დროს ეს ქალბატონები მისულები იყვნენ მანქანით, რომელსაც „ქართული ოცნების“ სტიკერები ჰქონდა დაკრული. თქვენ მაშინ კოალიციაში იყავით და ხომ არ იცით, ჰქონდათ მათ რაიმე შეხება პარტიასთან?**

– არა, მე ისინი არც შტაბში მინახავს და არც პარტიაში.

ირაკლი ჩიქოვანის ეს განმარტებები არ აღმოჩნდა დამაჯერებელი გიორგი თავდგირიძის ოჯახისთვის. თინა წერეთელი ურჩევს, სიმართლის დასამტკიცებლად სასამართლოს მიმართოს.

**თინა წერეთელი, გიორგი თავდგირიძის მეუღლე:**

– ირაკლი ჩიქოვანი იძულებული გახდა, მოსულიყო, რადგან მისმა გვარმა გაიჟღერა. რეალურად არ დაგვხმარებია. კი, მოვიდა და მეგრულად ესაუბრა, ჩვენ არ ვიცით, რა შინაარსის საუბარი შედგა მასა და ამ მევახშეებს შორის. ფაქტია, რომ ერთმანეთს იცნობდნენ და მეტიც, რატომ არ უსაყვედურა ირაკლი ჩიქოვანმა იმის გამო, რომ მის სახელს იყენებდნენ? მე უსაფუძვლოდ და ფაქტების გარეშე არ ვდებ არავის ბრალს. ფაქტია, რაც მოხდა და ამას უამრავი თვითმხილველი ჰყავს. ჩემმა ოჯახმა, რომელმაც ცხრა წლის მანძილზე ჯოჯოხეთი გამოიარა, „ქართული ოცნების“ ლოგოიანი ჯიპით მომადგნენ, გამომასახლეს და დეპუტატის სახელით მაშინებდნენ. თუ ირაკლი ჩიქოვანს ცილი დასწამეს, უჩივლოს სასამართლოში მილორავებს, ჩვენ კი მოწმედ გავყვებით, დავადასტურებთ, რომ მის სახელს იყენებდნენ. თუკი ეს ნამდვილად ისეა, როგორც ჩიქოვანი ამბობს.

დაიცავს თუ არა საკუთარ სახელსა და ღირსებას სასამართლოში დეპუტატი და პარტიის გენერალური მდივანი, ამ ეტაპზე უცნობია. „პრაიმტაიმი“ კი ამ სკანდალურ თემას მომავალშიც მიადევნებს თვალყურს.



EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ვერ მოვისმინე ახალი იდეები, რომლებმაც შეიძლება „ნაცმო“ ხელისუფლებაში დააბრუნოს“



**საქართველოს ყოფილი ელჩი ჩინეთში მამუკა გამყრელიძე „ნაცმოს“ მხარდამჭერთა გაღიზიანებას, რომელიც მისმა წინა პოსტმა გამოიწვია, ახალი სტატუსით პასუხობს.**

„გუშინდელმა ჩემმა პოსტმა „ნაცმოს“ მხარდამჭერთა განსაკუთრებული გაღიზიანება და აქტიური შემოტევა გამოიწვია. დღეს, როცა იმედია, ვნებები ჩაცხრა, მოგახსენებთ, რატომ არ მომეწონა ეს ინტერვიუ“

გაბუნიამ, როგორც უაღრესად მაღალმა პროფესიონალმა და ადეიშვილმაც, როგორც გამოცდილმა და ჭკვიანმა ადამიანმა მშვენივრად მიაწოდეს საზოგადოებას „შეცდომების“ საკუთარი და გალაითებული ვერსია, რამაც, ცხადია, მათი მხარდამჭერების სიმპათია გამოიწვია. სამწუხაროდ, არაფერი ითქვა სწორედ იმ „შეცდომებზე“, რამაც დღევანდელ სიტუაციამდე მოგვიყვანა.

1. ქვეყნის მოსახლეობაში ტოტალური შიშის სინდრომის განზრახ დანერგვა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი გენერატორიც პროკურატურა გახლდათ. ამ შიშის განეიტრალება ძალიან მარტივად მოახერხა არსებულმა ხელისუფლებამ, როცა შექმნა ილუზია, რომ არავის უსმენენ და „ხალხი თავისუფლად სუნთქავს“. ეს ნიშნავს, რომ შიში განზრახ ინერგებოდა მართვის გასაადვილებლად. ეს უკვე „შეცდომა“ კი არა, დანაშაული გახლავთ. შედეგად მივიღეთ ის, რომ ხალხმა ხმა მისცა არა ვინმეს, არამედ „ნაცმოს“ საწინააღმდეგოდ. შედეგად გვაქვს შემთხვევითი ადამიანების ხელისუფლება.

2. სასამართლოზე პროკურატურის, როგორც აღმასრულებელი ორგანოს, ზეწოლას, ინტერვიუერმა ასევე „შეცდომა“ უწოდა, თუმცა როგორც გამოცდილ იურისტს კარგად მოეხსენება, რომ ეს კონკრეტული დანაშაულია. ამავე მანკიერ პრაქტიკას დღეს არსებული ხელისუფლებაც მშვენივრად იყენებს და შედეგად უგულავას კანონის ურცხვი დარღვევით აჩერებენ ციხეში.

3. ასევე, „გარკვეულ შეცდომად“ იყო მოხსენიებული მედიაზე ზეწოლა. მე კი მინდა მოგახსენოთ, რომ ძირი ამ პრობლემისა გაცილებით ღრმა გახლდათ. განსხვავებული აზრის მიუღებლობა, მინიმუმ იგნორირება და საზოგადოების „ჩვენიანებად“ და „არაჩვენიანებად“ დაყოფა. სამწუხაროდ, სწორედ ამ მიუღებლობამ გამოიწვია რეალურად პროდასავლური, ძლიერი ოპოზიციური ძალის ვერჩამოყალიბება, რომელიც 2012 წლის არჩევნებში ჩაანაცვლებდა ან ძლიერ ოპონირებას გაუწევდა „ნაცმოს“ პარლამენტში. შედეგად გვყავს ის პარლამენტი, რომელსაც დღეს ხედავთ.

კიდევ შეიძლებოდა სხვა თემებზეც საუბარი, მაგრამ პოსტი ისედაც გრძელი გამომივიდა. მთავარი კი ის გახლდათ, რომ მე ვერ დავინახე გულწრფელი წუხილი იმის გამო, რომ ქვეყანა დღეს უკან მიდის. ვერ მოვისმინე ახალი იდეები, რომლებმაც შეიძლება „ნაცმო“ ხელისუფლებაში დააბრუნოს.

**P.S. თქვენგან კი, ჩემო მეგობრებო, („ნაცმოს“ მხარდამჭერები ვიგულისხმე) კვლავ გამოჩნდა ის, რაზეც მე-2 პუნქტში მოგახსენეთ. განსხვავებულ აზრზე მყისიერი და მკვეთრად უარყოფითი რეაქცია. ალბათ, ღირს ამაზე დაფიქრება“, – წერს მამუკა გამყრელიძე.**



# „ჯეო ჰოსპიტალში“ მ

ჯეო ჰოსპიტალსი
კლინიკების ქსელი

მირიან ბოქოლიშვილი

**21 მაისს, ამაღლების დღესასწაულზე მხეიძეების ოჯახში მძიმე ტრაგედია დატრიალდა. 3 წლის ლილე მხეიძე ბორჯომის საავადმყოფოში ჩატარებული გლანდებისა და პოლიპების ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა. ოჯახი მომხდარში ექიმებს ადანაშაულებს. უყურადღებობა, პაციენტების მიმართ აგდებული დამოკიდებულება და არაპროფესიონალიზმი – ეს ის ბრალდებებია, რომელსაც „ჯეო ჰოსპიტალის“ ბორჯომის კლინიკის ექიმებს უყენებენ.**

მცირეწლოვნის გარდაცვალების მიზეზების გარკვევის მიზნით კლინიკას უკვე ამოწმებს ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტო, რომელიც შემდგომ ექიმების პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხზე იმსჯელებს, თუმცა შესაძლოა, საქმე ამით არ შემოიფარგლოს, ვინაიდან პროკურატურაში უკვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და არ არის გამორიცხული, კონკრეტული ექიმები გისოსებსმიღმაც აღმოჩნდნენ. ეს იმ შემთხვევაში, თუ ამ საქმეში დანაშაულის ნიშნები დადასტურდა.

გარდაცვლილი ბავშვის ოჯახი დარწმუნებულია, რომ ლილე სწორედ ექიმების დაუდევრობის მსხვერპლი გახდა. „პრაიმტაიმი“ გარდაცვლილის დედას, ანა მხეიძეს ესაუბრა, რომელმაც სრულიად ჯანმრთელი შვილი საოპერაციომდე საკუთარი ფეხით მიაცილა, მას შემდეგ პატარა გონზე მოსულ მდგომარეობაში აღარ უნახავს. ბავშვი ერთი თვის განმავლობაში კომაში იყო. მცირეწლოვანი თბილისში, ჟვანიას კლინიკაში გადმოიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

**ანა მხეიძე, გარდაცვლილის დედა:**

– 15 აპრილს ბორჯომში, „ჯეო ჰოსპიტალში“ გავუკეთეთ ბავშვს გლანდებისა და პოლიპების ოპერაცია. ოპერაცია ჩატარდა საღამოს 6 საათზე, როცა დილითვე უნდა გაეკეთებინათ. რამდენჯერმე გადაგვიდეს და,

**„3 წლის ბავშვს გამაყუჩებლის ისეთი დოზები ჰქონდა გაკეთებული, რომ, ალბათ, ცხენს წააქცევდა“**

საბოლოოდ, 6 საათზე გადაწყვიტეს. მთელი დღის მშიერი იყო ბავშვი. მანამდე სხვა ოპერაციებიც გაკეთდა და ვხედავდი, რომ ბავშვები ნახევარ საათში გამოჰყავდათ საოპერაციოდან, ლილეს ოპერაცია კი ძალიან გაჭიანურდა. 2 საათი უკეთებდნენ ამ ოპერაციას. როგორც იქნა, გამოიყვანეს მძინარე, მას შემდეგ ბავშვი აღარ გამოფხიზლებულა. ისე დაიღუპა, რომ ხმა ვერ გამცა. ექიმს ვეკითხებოდი, რატომ არ იღვიძებს-მეთქი, ნაყინი მინდოდა ეჭამა, ანესთეზიოლოგმა გამცა პასუხი, – რა გინდა, გაეღვიძო, იტიროს და ხალხი შეგვაწუხებინოო? ჩვენთან ერთად პალატაში ხნიერი ქალბატონი იწვა და ამიტომ მეც დავეთანხმე. კი ბატონო, თუ პრობლემა არაფერია, ეძინოს-მეთქი. სამი საათისკენ ბავშვს სიცხე მისცა, მანამდე ჩვენი დაჟინებული თხოვნით ორჯერ შემოვიდა ქირურგი, გვეშინოდა, რადგან ბავშვი ძალიან ცუდად სუნთქავდა. არაფერია, ტამპონის ბრალიაო, გვითხრა, არადა, როგორც მერე გავარკვიე, თურმე დღეს ტამპონს საერთოდ აღარ უდებენ, სხვა საშუალებები არსებობს. ორჯერ შემოვიდა ანესთეზიოლოგიც. მანაც, არაფერი საგანგაშო არ არის, გამაყუჩებელი აქვს მიცემული და ეძინება დილამდეო. შემდეგ, როგორც გითხარით, ბავშვს მისცა სიცხე, შემოვიყვანეთ ექთანი, მაგრამ ბავშვი ვერ გააღვიძა. დაუძახა ანესთეზიოლოგს, რომელმაც რაღაც გამოსაფხიზლებელი პრეპარატი გაუკეთა. ამის შემდეგ ბავშვის რეანიმაციაში გადაყვანა გადაწყვიტეს და კარებში, რომ გაჰყავდათ, ბავშვმა სუნთქვა შეწყვიტა. იქვე ერთმანეთს გადაუჩურჩულეს, – რატომ არ ედგა ჟანგბადიო? ამის შემდეგ დაიწყეს ტელეფონზე რეკვები, აფაცურდნენ, მაგრამ, რომ ვეკითხებოდი, რა ხდება-მეთქი, მეუბნებოდნენ, არაფერიო.

**– ბავშვის თბილისში გადაყვანა, როდის გადაწყვიტეთ?**

– როდესაც თავადვე გამო-

# EXCLUSIVE





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# აკონტროლებელი ორგანო შევიდა

# რა გახდა 3 წლის ბავშვის გარდაცვალების მიზეზი?

## გარდაცვლილის დედა: „ვეხვეწებოდი იგივე ანესთეზიოლოგს – მოდით, ნახეთ ბავშვი, ავად არის, ვერ სუნთქავს, არ იღვიძებს-მეთქი. ლამის ვემუდარებოდი, მაგრამ გულთან ახლოსაც კი არ მიჰქონდათ“



**ჯანდაცვის სამინისტრო: „შესაძლებელია, დაისვას ექიმების პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი... სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემთხვევაში მივმართავთ სამართალდამცავებს“**

იძახეს რეანიმობილი. უკვე მივხვდი, რომ სერიოზულად იყო საქმე. გვითხრეს, – ლარინგოსპაზმია აქვს ბავშვს, აპარატი ჩვენ არ გვაქვს და სასწრაფოდ თბილისში უნდა გადაიყვანოთო. სინამდვილეში ბავშვი მოიშორეს. თვითონ გამოიძახეს რეანიმობილი და თბილისში, ჟვანიას კლინიკაში გამოგვიშვეს. რომ გამოვდიოდით, რეანიმობილის მძღოლმა ჰკითხა, – ხომ არ გიჩივლებენო და არა, ესენი არ არიან მაგის გამკეთებლებიო. 3 წლის ბავშვს სიცოცხლეს რომ გამოასალმებ, რატომ არ ვუჩივლებდი, არ ვიცი.

**– ჟვანიას კლინიკაში რა გითხრეს?**

– ბორჯომიდან გამოგვატანეს ფორმა #100, სადაც თურმე სისულელეები ეწერა. ამ ფორმა 100-ის მიხედვით, ბავშვი მეორე დღეს უნდა გამოეწერათ, მაგრამ მდგომარეობა ძალიან მძიმე აღმოჩნდა. ბავშვი კომაში ჩავარდა. თვეზე მეტი ვიყავით ჟვანიას კლინიკაში, ამ დროს ბავშვს უკვე დაბინძურებული ჰქონდა სისხლი. ვეღარ მოერია ამ ყველაფერს და 21 მაისს, ამაღლების დღესასწაულზე გარდაიცვალა.

**– კონკრეტულად, ვინ დაუშვა შეცდომა, ან საინტერესოა, თავიდანვე თბილისში რატომ არ წამოიყვანეთ?**

– ქირურგი არის დავით მამისაშვილი, ანესთეზიოლოგი კი თემურ ლომსაძე. რომლის გადაცდენა და შეცდომა იყო, ამას გამოძიება დაადგენს. ერთია ექიმის შეცდომა და მეორე ის უყურადღებობა და დაუდევრობა, რაც ამ კლინიკაში სუფევს. ბორჯომის საავადმყოფოს მაინცდამაინც არ აქებენ, მაგრამ ეს ქირურგი თბილისიდან იყო ჩამოსული და ამიტომ ვიფიქრე, ნორმალურად ჩატარდებოდა ყველაფერი. რას წარმოვიდგენდი, რომ უმარტივეს ოპერაციას ასეთი ამბავი მოჰყვებოდა და ბავშვს სიცოცხლეს გამოასალმებდნენ. მეგონა, რაკი ეს კაცი თბილისში მუშაობს და მცოდნეა, რისთვის ვაწვალო ბავშვი წასვლა-წამოსვლით, ბარემ აქვე გავუკეთებ-მეთქი.

**– საჩივარი დაწერეთ ჟვანიას კლინიკაში?**

– დიახ, ჩვენ დავწერეთ და ჟვანიას კლინიკამაც იმავე დღეს გადასცა ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტოს. ამოიღეს კამერები, სამედიცინო დოკუმენტაცია. პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ველოდებით ექსპერტიზის პასუხს. დაახლოებით 10 დღის წინ ვიყავი ჯანდაცვის სამინისტროში, სადაც გვითხრეს, სასამართლოდან გვაქვს უწყება და შევდივართ კლინიკაში შემოწმების მიზნითო. ყველანაირი დოკუმენტაცია მაქვს, რომ ბავშვი ჯანმრთელი იყო. ვერც კი წარმოვიდგენდი და ახლაც არ მჯერა, რომ ასეთი უმარტივესი ოპერაცია ამ შედეგით დასრულდებოდა. 21-ე საუკუნეში პოლიპების ოპერაციით ვინ კვდება? სირცხვილია, ხალხო, ასეთი მედიკოსები არ უნდა მუშაობდნენ. ვეხვეწებოდი იგივე ანესთეზიოლოგს, – მოდით, ნახეთ ბავშვი, ავად არის, ვერ სუნთქავს, არ იღვიძებს-მეთქი. ლამის ვემუდარებოდი, მაგრამ გულთან ახლოსაც კი არ მიჰქონდათ. ქირურგიც ზედ არ გვიყურებდა. ბოლოს ჩემმა მეუღლემ ბავშვს ვიდეო გადაუღო ტელეფონით, რა მძიმე მდგომარეობაში იყო, იქნებ ვანახო ქირურგს, როგორ არის ბავშვი და ასე მაინც მოგვაქციოს ყურადღებაო. 3 წლის ბავშვს გამაყუჩებლის ისეთი დოზები ჰქონდა გაკეთებული, რომ, ალბათ, ცხენს წააქცევდა. ნარკოზიდან გამოსული ბავშვი არ მინახავს, ისე დაიღუპა. ფსიქიკურ ავადმყოფებს რომ უკეთებენ, ისეთი წამლები აქვს ბავშვს გაკეთებული, მათ შორის დიაზეპამი.



„პრაიმტაიმი“ შეეცადა, ბორჯომის საავადმყოფოს პოზიციაც გაერკვია, თუმცა კლინიკაში კომენტარის გაკეთება არ ისურვეს.

„მე კითხვებზე ვერ გიპასუხებთ. ამ საკითხს გაარკვევს შესაბამისი სტრუქტურები, როცა საკითხს შეისწავლიან. სხვა არანაირ პასუხს არ გაგცემთ“, – განგვიცხადა **ბორჯომის „ჯეო ჰოსპიტალის“ მთავარმა ექიმმა ოლიკო ბუაჩიძემ.**

„მიზეზებზე ვერაფერს მოგახსენებთ. ჯანდაცვის სამინისტროს კონტროლზე აქვს აყვანილი ეს საქმე. შესაბამისი სამსახურები გამოიძიებენ და დაიდება დასკვნა. რა თქმა უნდა, ამ ბავშვს ჩაუტარდა კვალიფიციური ოპერაცია და მკურნალობა, თუმცა რა მოხდა და როგორ, ამას გაარკვევენ“, – ამბობს **კლინიკის მენეჯერი ირაკლი დიასამიძე.**

ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტოში კი განგვიმარტეს, რომ ბორჯომის საავადმყოფოში კონტროლის დეპარტამენტი უკვე შევიდა და საქმის დეტალური შემოწმებაც დაწყებულია.

**ნინო ხუციშვილი, რეგულირების სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი:**

– ვიდრე ოჯახის წევრები მოგვმართავდნენ, ჩვენ შესწავლისთვის საჭირო პროცედურები დავიწყეთ მინისტრის ბრძანების შესაბამისად, რომლის თანახმადაც 5 წლამდე ასაკის ბავშვების გარდაცვალების შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია, შეტყობინება გამოგზავნოს ჯანდაცვის სამინისტროში. სწორედ ამ შეტყობინების საფუძველზე დავიწყეთ ამ საკითხის შესწავლა. ჩვენ უკვე მიღებული გვაქვს სასამართლოს ბრძანება და სწორედ დღეს შევდივართ ბორჯომის კლინიკაში შესამოწმებლად.

**– წინასწარ რის თქმა შეგიძლიათ?**

– ჯერ დასკვნების გაკეთება ძალიან რთულია. ბავშვმა ორ დაწესებულებაში მიიღო სამედიცინო მომსახურება, ამიტომ საჭიროა კომპლექსურად შევისწავლოთ ეს საკითხი. ძირითადი პრეტენზიები ბორჯომის საავადმყოფოს მიმართ აქვს განმცხადებელს, უბრალოდ, ჩვენ ჟვანიას კლინიკიდანაც მოვიპოვებთ შესაბამის ინფორმაციას.

**– ექიმის შეცდომის გამოვლენის შემთხვევაში, როგორი იქნება სანქციები?**

– თუ საკითხის შესწავლით გამოვლინდება დარღვევები, რასაკვირველია, შესაძლებელია, დაისვას ექიმების პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი. ზოგადად, როდესაც გარკვეული ტიპის სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები იკვეთება, რაც ცდება ჩვენს კომპეტენციას, ამ შემთხვევაში მივმართავთ სამართალდამცავებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ მოიმატა ქართულ პროდუქტებში სასიკვდილო ცხიმების შემცველობამ?

ნელი თორდია

ტრანსცხიმები, ანუ საწარმოო ცხიმები, პირველად მე-19 საუკუნეში საფრანგეთში გამოჩნდა. ძვირი და დეფიციტური კარაქის იაფფასიანი ანალოგის შესაქმნელად, ფრანგებმა მცენარეული ზეთი წყალბადით გააჯერეს, კარაქს მიმსგავსებულ პროდუქტს მარგარინი უწოდეს და წარმოებაში გაუშვეს. მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან გაჩნდა ვარაუდი, რომ საწარმოო ტრანსცხიმები ზრდის სისხლში „ცუდი“ ქოლესტერინის კონცენტრაციას და შესაბამისად, ათეროსკლეროზისა და გულის კორონარული დაავადებების რისკს. მოგვიანებით, კვლევებით დადგინდა კავშირი ტრანსცხიმებსა და მკერდის კიბოს, პროსტატის, დიაბეტის წარმოქმნის რისკებს შორის.

**2006 წლიდან მოყოლებული, მთელმა რიგმა ქვეყნებმა მთლიანად აკრძალეს ან მნიშვნელოვნად შეამცირეს პროდუქტებში ტრანსცხიმების შემადგენლობა. ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის საშიშ ცხიმებს ბრძოლა გამოუცხადა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ და 2009 წელს გამოსცა რეკომენდაცია, რომელიც საკვები პროდუქტებიდან ტრანსცხიმების ამოღებას ითვალისწინებს. სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა საქართველოში, სადაც, შემცირებისა თუ აკრძალვის ნაცვლად, ბოლო წლებში სახიფათო ცხიმებით გაჯერებული პროდუქციის მატება შეიმჩნევა. თემაზე გვესაუბრება „პაციენტთა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციის“ თავმჯდომარე ნანა სანაია:**

– ყველასთვის ცნობილია, როგორი მნიშვნელოვანია ორგანიზმისთვის ცხიმები, მაგრამ ყველამ არ იცის, რომ გარკვეული ტიპის ცხიმებმა შეიძლება ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე გამანადგურებელი გავლენა იქონიოს. კვების პროდუქტების ამერიკელმა მწარმოებლებმა გავლენიან ამერიკულ გამოცემა „Wall Street JournaL“-ში საგანგებო განცხადება გააკეთეს. ბევრმა მათგანმა კვების პროდუქტებში ტრანსცხიმების გამოყენებაზე აკრძალვა დააწესა, რასაც ძალიან დადებითი რეაქცია მოჰყვა როგორც ექიმების, ასევე, დიეტოლოგების მხრიდან. სანტა-ბარბარას ექიმმა ჯონ ლაპორმა ამავე გაზეთში დაბეჯითებით განაცხადა, რომ ტრანსცხიმები აზიანებს გულ-სისხლძარღვებს და სხვადასხვა ორგანოებს. ამერიკაში ამ პრობლემაზე ყურადღება გასული საუკუნის 90-იან წლებში გაამახვილეს, როცა მოსახლეობაში იმატა გულ-სისხლძარღვთა დაავადებებმა, სიმსუქნემ და დიაბეტმა. ჩატარდა კვლევები, რომელმაც დაადგინა, რომ ამერიკაში გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით წელიწადში 20 000 ადამიანი იღუპება და ამის ერთ-ერთი და მთავარი მიზეზი სწორედ ტრანსცხიმების მოხმარებაა. ის იწვევს ათეროსკლეროზს, ჰიპერტენზიას, გულის კორონარულ დაავადებებს, იმუნოდეფიციტს, ზრდის კიბოს რისკს, ხელს უშლის მამაკაცების სასქესო ჰორმონის, ტესტოსტერონის გამომუშავებას და ზრდის პროსტატის კიბოს ალბათობას.

**– კონკრეტულად რომელი კვების პროდუქტებშია ტრანსცხიმების მაღალი კონცენტრაცია?**



| # | პროდუქტის დასახელება | ტრანსცხიმების შემცველობა პროდუქტის ცხიმში (100 გრამში) |
|---|---|---|
| 1 | "დაჩა ზალატაია" | 0,6 გრ |
| 2 | "დაჩა" | 0,5 გრ |
| 3 | "მასლიანა" | 0,1 გრ |
| 4 | "ტექსუნი" | 5,8 გრ |
| 5 | "სპრედი კარაქი სანტე ექსტრა 82,5%" | 5,6 გრ |
| 6 | "სანტე 60%" | 10,6 გრ |
| 7 | "მილკო ფუდი საბუტერბროდე სპრედი" | 23,1 გრ |
| 8 | "შატილი სპრედი 82,5%" | 20,5 გრ |
| 9 | "ტიფლისი 2011, სპრედი გოლდი" | 14,4 გრ |
| 10 | "ტიფლისი 2011, საოჯახო სპრედი" | 17,1 გრ |

## ბოლო კვლევების საგანგაშო შედეგები

– ტრანსცხიმები შედის თითქმის ყველა პროდუქტში. პროცენტულად ზოგში მეტია და ზოგში – ნაკლები. ტრანსცხიმები შედის კარაქებში, მცენარეულ მარგარინებში, მცენარეულ ზეთებსა და მათი გამოყენებით დამზადებულ პროდუქტებში. შესაბამისად, სხვადასხვა ნამცხვრებში, კრეკერებში, ჩიფსებში, პოპ-კორნში, ფრიტიურში დამზადებულ ყველა პროდუქტში და ა.შ. ტრანსცხიმების დადებითი თვისებებია ის, რომ იაფია, გემრიელია და პროდუქტის შენახვის ხანგრძლივობას ზრდის. სამაგიეროდ ამცირებს სიცოცხლის ხანგრძლივობას. წარმოიდგინეთ, პროდუქტში ტრანსცხიმების შემცველობა მხოლოდ 1%-თ რომ შეამციროთ, მხოლოდ ამერიკაში 7000-მდე ადამიანი სიკვდილს გადაურჩება და 20 000 ადამიანით ნაკლებს ექნება გულ-სისხლძარღვთა დაავადებები.

**– რომელ ქვეყნებშია აკრძალული საკვებ პროდუქტებში ტრანსცხიმების გამოყენება?**

– პირველი ევროპული ქვეყანა, რომელმაც 2003 წელს ეს პროდუქტი აკრძალა, დანია იყო. შემდეგ იყო ისლანდია. 2009 წელს ტრანსცხიმების შემცირება მოხდა ფინეთსა და ნორვეგიაში. 2006 წელს აშშ-ს კონგრესმა მწარმოებლებს დაავალა, პროდუქტის შეფუთვაზე მიეთითებინათ ტრანსცხიმების შემცველობა და წილი. 2007 წელს ნიუ-იორკში მთლიანად აკრძალეს ტრანსცხიმების წარმოება. 2008 წელს ხმარებიდან მთლიანად ამოიღო „მაკდონალდსმა“. ბევრ შტატში სრულიად აკრძალულია ტრანსცხიმების გამოყენება სკოლის სასადილოებსა და რესტორნებში.

**– საქართველოში რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით? ჩატარებულა თუ არა კვლევა, რომელიც კვების პროდუქტებში ტრანსცხიმების კონცენტრაციას დაადგენს?**

– მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2009 წელს საკვები პროდუქტებიდან ტრანსცხიმების ამოღების რეკომენდაცია გამოსცა, საქართველოში ეს პროცესი არც კი დაწყებულა. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, უმრავლესობა იაფფასიან პროდუქტს ეტანება. სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის საშიში ტრანსცხიმები კი ყველაზე ჭარბად იაფ პროდუქციაშია.

როგორც გავარკვიეთ, საქართველოში არ არსებობს საკანონმდებლო რეგულაციები კვების პროდუქტებში ტრანსცხიმების ოდენობის განსაზღვრის, სასაქონლო ეტიკეტზე მითითების ან აკრძალვის შესახებ. ქართულ ბაზარზე გავრცელებულ კვების პროდუქტებში, ტრანსცხიმების რაოდენობის დადგენის მიზნით, 2011 წელს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა კვლევები ჩაატარა. ამ კვლევის შედეგები დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, თუმცა სულ რაღაც ერთი თვის წინ ჩატარებულმა განმეორებითმა კვლევებმა საგანგაშო დასკვნა დადო. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი **ლია თოდუა:**

– 2011 წელს ჩატარებული კვლევები დამაკმაყოფილებელი იყო იმ მხრივ, რომ პროდუქტებში ტრანსცხიმების შემადგენლობა მაღალი არ გახლდათ. ყველაზე მაღალი 8% (რაც დაშვებულია რუსეთში) დაფიქსირდა „შატილის“ გამოშვებულ სპრედში (ცნობისთვის, spread პურზე წასასმელი პროდუქტის აღსანიშნავი სიტყვაა). „ეკო-ფუდის“, „სანტესა“ და „სამგორის“ პროდუქტებში, მათ შორის მარგარინებში, ტრანსცხიმების საკმაოდ დაბალი შემცველობა დაფიქსირდა. შედეგებით დაიმედებულებს, შემდგომ წლებში მსგავსი კვლევები აღარ ჩაგვიტარებია. თანაც ასეთი კვლევები საქართველოში არ ტარდება და საზღვარგარეთ გაგზავნა და შემოწმება ძალიან ძვირი ჯდება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია თითქოს გეგმავს, რომ დაიწყოს ტრანსცხიმების შემოწმება და ველოდებით. მომხმარებლის დაჟინებული მოთხოვნით, 7 მაისს ლიტვაში ლაბორატორიულ შემოწმებაზე გავაგზავნეთ „სანტეს“, „ეკო-ფუდის“, „შატილისა“ და „ტიფლისის“ სპრედები. ივნისის დასაწყისისთვის პასუხები მივიღეთ, რომელიც ძალიან არასასიამოვნო აღმოჩნდა.

**– შეგიძლიათ, დაგვისახელოთ, კონკრეტულად რომელი ფირმის ნაწარმში აღმოჩნდა ტრანსცხიმების ყველაზე მაღალი რაოდენობა?**

– უცხოურ სპრედებში ნორმალური შედეგი იყო. ყველაზე მაღალი – 5,8% „ტექსუნში“ აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ტრანსცხიმების ძალიან მაღალი შემცველობა დაფიქსირდა ქართულ სპრედებში – 20%, 23%. ამის შემდეგ, მომხმარებლებისგან მოვიდა მოთხოვნა, რომ სხვა კარაქოვანი პროდუქტებიც შეგვემოწმებინა და გავაგზავნეთ ქართული კარაქებისა და კარაქის შემცველი სპრედების ნიმუშები. პირველად მხოლოდ მცენარეული სპრედები გაიგზავნა, ხოლო მეორედ ცხოველურ ნაწილთან ნარევი სპრედებიც. პასუხები, ალბათ, ერთ-ორ კვირაში გვექნება.

**– თქვენი აზრით, 2011 წლის შემდეგ რამ გამოიწვია პროდუქტებში ტრანსცხიმების ასეთი მკვეთრი მატება?**

– ტრანსცხიმები ძირითადად მიიღება ზეთის ქიმიურად დამუშავების შედეგად, როცა მარგარინი იწარმოება. მარგარინის წარმოქმნისას, ჯერ წარმოიქმნება ტრანსცხიმებიანი მარგარინი, მაგრამ პროცესი უნდა მივიდეს ბოლომდე, რომ ტრანსცხიმები ნორმალურ ცხიმებად გარდაიქმნას. ეს არის უფრო გრძელი და ძვირი პროცესი და ეტყობა, ამიტომ შემოვიდა ქვეყანაში იაფიანი, უხარისხო და ფაქტობრივად, ნახევარფაბრიკატი მარგარინები, რომლის ჭამაც არ შეიძლება. მე ოპტიმისტი ვარ და მგონია, რომ მეწარმეებმა არ იცოდნენ, რას ყიდდნენ. ვფიქრობ, რომ რაღაც ზომებს მიიღებენ და ამოიღებენ ტრანსცხიმებიან პროდუქციას ქსელიდან, თუმცა ვალდებული არ არიან. საუბრის ბოლოს გეტყვით, რომ ტრანსფორმის ცხიმი ძალიან მავნეა ადამიანებისთვისაც და ცხოველებისთვისაც, ვინაიდან ჩვენ არ გაგვაჩნია მათი გადასამუშავებელი ფერმენტები და მათი რეგულირების საშუალება. ტრანსცხიმებს შეუძლია, უჯრედების მემბრანებებში ჩაშენდეს და შეცვალოს მათი მახასიათებელი. ბუნებრივია, ეს ძალიან ბევრ გართულებას იწვევს. დადასტურებულია, რომ პროდუქციაში ტრანსცხიმების 2%-ით გაზრდა გულის იშემიური დაავადებების ალბათობას ორჯერ ზრდის და წარმოიდგინეთ, რამდენად არის გაზრდილი რისკი 23%-ის პირობებში. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში არ რეგულირდება ტრანსცხიმები, არც რაიმე ნორმაა დადგენილი და არც ეტიკეტზე მათი რაოდენობის აღნიშვნის მოთხოვნა. სამაგიეროდ, არსებობს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაცია, რომ ტრანსცხიმები მოხმარებიდან ამოვიდეს ან ადამიანის მიერ მათი მოხმარება 2 გრამს არ აღემატებოდეს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ახლა ჩვენი ჯანდაცვის სამინისტრო მუშაობს საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომელიც ტრანსცხიმების შეზღუდვას ან ეტიკეტზე მათი რაოდენობის აღნიშვნას სავალდებულოს გახდის. ამჟამად ეს განხილვის სტადიაშია, მაგრამ როდის მიიღებენ და რა ბედი ეწევა, ვერ გეტყვით.



# უცხოეთი ექიმები

ევექსი

სამედიცინო კორპორაცია

სალომე ჯოლია

**ბათუმში, სასტუმრო „რედისონში“ ქართულ-ინტერნაციონალური სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციასა (GIMPHA) და „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ ორგანიზებით რიგით მეორე საერთაშორისო სამედიცინო კონფერენცია გაიმართა.**

„ევექსი“ უმსხვილესი სამედიცინო კორპორაციაა საქართველოში, რომელიც რამდენიმე წელია ინტენსიურად თანამშრომლობს GIMPHA-სთან. კორპორაცია საქართველოში ორმოცამდე კლინიკას აერთიანებს, რომლებიც სამეგრელოში, აჭარაში, იმერეთსა და თბილისში მდებარეობს. კორპორაციას აქვს როგორც რეფერალური, ისე ამბულატორიული კლინიკები და ფარავს მეციდინის ყველა ძირითად მიმართულებას. გარდა ამისა, „ევექსი“ აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან კლინიკებთან და უცხოეთში მოღვაწე ქართველ ექიმებთან.

კონფერენციაც, რომელიც ბათუმში ჩატარდა, მიზნად სწორედ საზღვარგარეთ მოღვაწე წარმატებული ქართველი ექიმებსა და ადგილობრივ მედიკოსებს შორის კომუნიკაციისა და გამოცდილების გაზიარებას ისახავდა.

დღეს „პრაიმტაიმის“ სტუმარია, ჰოლანდიაში მოღვაწე, წარმატებული ქართველი ექიმი, პათოლოგ-ანატომი ალექსი ბაიდოშვილი, რომელიც თბილისში სპეციალურად ამ კონფერენციისთვის ჩამოვდა.

ალექსი ბაიდოშვილი, ერთ-ერთი იმ პროფესიონალთაგანია, რომელმაც თავისი კარიერა საზღვარგარეთ ააწყო, თუმცა საკუთარი ქვეყანა არასდროს დაუვიწყებია. უცხოეთში მიღებულ გამოცდილებას ის აქტიურად უზიარებს საქართველოში მოღვაწე კოლეგებს და ამით ცდილობს საკუთარი წვლილი შეიტანოს სამედიცინო სფეროს განვითარებაში.

ალექსი ბაიდოშვილი საქართველოში დაიბადა და გაიზარდა. აქვე დაამთავრა სკოლა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩაირიცხა, თუმცა შემდგომ სწავლის გაგრძელება საზღვარგარეთ, კერძოდ კი ჰოლანდიაში გადაწყვიტა. დღევანდელ წარმატებამდე საკმაოდ რთული გზა გაიარა. მისი მიზანი იყო ამ სამედიცინო სფეროში სპეციალიზაცია და PHD, ანუ მეცნიერული სამუშაოების ჩატარება. ისე მოხდა, რომ მისი საქართველოში მიღებული ცოდნა ჰოლანდიაში არ დაფასდა, რადგან ის კრედიტები, რომელიც საქართველოში სწავლის პერიოდში დააგროვა, საერთოდ არ ულიარეს და ხელახლა მოუწია სამედიცინოზე ჩაბარება.

**ალექსი ბაიდოშვილი:**

„ისეთ პერიოდში ჩავედი ჰოლანდიაში, როცა იქ ჯერ კიდევ არ არსებობდა კანონი, თუ როგორ უნდა მოქცეოდნენ ჩემნაირ ხალხს, ანუ მათ ვისაც განათლება საკუთარ ქვეყანაში



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ში მოღვაწე წარმატებული ქართველი კოლეგებს გამოცდილებას უზიარებენ





აქვს მიღებული. ჰოლანდიაში ისე არ ხდებოდა, როგორც ამერიკაში - რამდენიმე გამოცდას ჩააბარებ და შეგიძლია აიღო იქაური სერტიფიკატი. ასეთი მიდგომა მაშინ არ იყო ჰოლანდიაში ჩამოყალიბებული“.

მიუხედავად ბევრი პრობლემისა, ალექსი ბაიდოშვილმა დაამთავრა ფრაის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. მიიღო სრული სამედიცინო განათლება და იქაური დიპლომიც აიღო. სწავლის დამთავრების შემდეგ კი სტაჟირებებს გადიოდა ჰოლანდიის წამყვან სამედიცინო დაწესებულებებში.

**ალექსი ბაიდოშვილი:** „სრულიად შემთხვევით, კვლევებთან დაკავშირებით, მოვხვდი პათოლოგიის განყოფილებაში. პათოლოგ-ანატომია - ასე ჰქვია საქართველოში და იქ ვაკეთებდი კვლევებს. ამ პერიოდში, უფრო ახლოდან ვნახე და გავეცანი თუ რას წარმოადგენს პათოლოგ-ანატომია. არასოდეს არ მიფიქრია, რომ პათოლოგ-ანატომი გავხდებოდი. თუმცა, იმდენად მომეწონა ეს პროფესია და ეს დარგი, რომ ძალიან დიდი სურვილი გამიჩნდა, რომ რეზიდენტურა, შემდგომი განათლება-სპეციალიზაცია გამევლო პათოლოგ-ანატომიაში. საბედნიეროდ, იმათაც ძალიან მოვეწონე და თვითონ შემომთავაზეს, რომ როგორც კი ექიმის დიპლომს აიღებ, ჩვენთან რეზიდენტურის ადგილი გექნებაო“.

მოხდა ისე, რომ რეზიდენტურაში ბატონი ალექსი უკონკურსოდ ჩაირიცხა, რადგან, სტაჟირების პერიოდში მაქსიმალურად კარგი შედეგი აჩვენა. სწორედ ასე მოხვდა პათოლოგიაში.

**ალექსი ბაიდოშვილი:**

„ძალიან რთული პროცესია. ბევრი კოლეგა მყავდა, რომელიც ან საერთოდ ტოვებდა რეზიდენტურას, ან სხვა ფაკულტეტზე გადადიოდა და სხვა პროფესიას ირჩევდა. ზიგიერთი მათგანი კი სპეციალიზაციას ტოვებდა და ჩვეულებრივ ექიმად აგრძელებდა მუშაობას. მე ბოლომდე მივიყვანე ჩემი საქმე, რადგან ძალიან მომწონდა ჩემი პროფესია. ბედნიერი ვარ, რომ ასე შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ პათოლოგ-ანატომია ზუსტად ის არის, რაც მე მინდოდა“.

## სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ მხარდაჭერით ბათუმში მეორე საერთაშორისო სამედიცინო კონფერენცია გაიმართა

ალექსი ბაიდოშვილი დღეს ჰოლანდიაში ერთ-ერთი ცნობილი და წარმატებული პათოლოგ-ანატომია... როგორც თავად ამბობს ევროპაში მასავით ბევრი ქართველია, რომელიც სამედიცინო სფეროში წარმატებით მოღვაწეობს და მათი გამოცდილება საქართველოს ძალიან სჭირდება.

**ალექსი ბაიდოშვილი:**

„გარდა იმისა, რომ გვესმის ცუდი რაღაცები ქართველებზე ემიგრაციაში, ძალიან კარგი იქნება, რომ ყურადღება ამაზეც გაამახვილონ, რამდენი წარმატებული ქართველი გვყავს ახლა, ამ პერიოდში, რომლებმაც დიდი წვალების ხარჯზე მიაღწიეს პროგრესს... დამერწმუნეთ, რომ ევროპაში ძალიან ფასობენ ექიმები“.

ჰოლანდიაში მყოფი ქართველი ექიმები იკრიბებოდნენ და უზიარებდნენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას და შეხედულებებს. სწორედ ერთ-ერთი მსგავსი შეხვედრის დროს დაიბადა იდეა გაერთიანებულიყვნენ და გაეკეთებინათ ისეთი რამ, რაც სარგებელს მოუტანდა ყველას, მათ შორის განავითარებდა სამედიცინო სფეროს საქართველოში. მსგავსი ტიპის გაერთიანება უკვე არსებობდა შეერთებულ შტატებში და სწორედ ამ გაერთიანების ანალოგის შექმნას გეგმავდნენ ჰოლანდიაში მოღვაწე ქართველი ექიმები.

**ალექსი ბაიდოშვილი:** „დავუკავშირდით ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში მყოფ ჩვენს კოლეგებს და ერთად, ერთობლივად გადავწყვიტეთ შეგვექმნა ასოციაცია, რომელსაც დავარქვით GIMPHA - Georgian International Medical and Public Health Association“.

ასოციაციის პირველი შეკრება, 3 წლის წინ, ამსტერდამში იყო. ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოდან ჩასულები იყვნენ ქართველი ექიმები, როლებსაც ერთი მიზანი აერთიანებდათ და ამოძრავებდათ. ეს მიზანი საქართველოს უკავშირდებოდა. მათი სურვილი იყო გაერთიანებულიყვნენ და დახმარებოდნენ საკუთარ ქვეყანას, მედიცინის განვითარების კუთხით.

ასოციაციის მუშაობა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა, რადგან ბევრი საინტერესო პროექტი განახორციელეს, რომელმაც საკმაოდ დადებითი შედეგები მოიტანა. მაგალითად, შარშან ასოციაციამ საქართველოში, კორპორაცია „ევექსთან“ ერთად, ჩაატარა კონფერენცია, რომელიც საკმაოდ საინტერესო და წარმატებულიც აღმოჩნდა. კონფერენციის მონაწილეებმა ახლოს გაიცნეს საქართველოში არსებული სამედიცინო სისტემა, გაიგეს რა პრობლემები არსებობდა და როგორ შეიძლებოდა მათი მოგვარება.

„ევექსი“ უკვე მეორე წელია GIMPHA-სთან ერთად ატარებს მსგავს კონფერენციას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც თითოეული ექიმისთვის, ასევე მთლიანად ქვეყნისთვისაც.

წლევანდელ კონფერენციაზე წარდგენილი თემები შერჩეული იყო იმის მიხედვით, თუ რა მოთხოვნაა საქართველოში.

**ალექსი ბაიდოშვილი:**

„წარმოიდგინეთ, რომ ონკოლოგიაში უნდათ დახმარება და გვყავს ონკოლოგები, მაგრამ მარტო ონკოლოგები ონკოლოგიაში ვერაფერს გააკეთებენ, თუ ქირურგები არ ეყოლებათ, ქირურგ-ონკოლოგები ან რადიოლოგები, რომლებიც დიაგნოსტიკაზე მუშაობენ, ან პათოლოგები, რომლებიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი არიან. თითქმის ყველა სპეციალობაში, მათ შორის მედიცინაში, ბევრი რამ წყდება ერთობლიობაში. ერთი სპეციალისტი მარტო ყველაფერს ვერ გააკეთებს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი გაერთიანება“.





რიგით მეორე საერთაშორისო კონფერენცია იმით არის საინტერესო, რომ მონაწილეობას იღებენ „3 ჯგუფის“ ექიმები. პირველ ჯგუფს შეადგენენ ქართველი ექიმები, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობენ. მეორე ჯგუფში არიან ისინი ვინც საზღვარგარეთ მოღვაწეობენ და მესამე ჯგუფს წარმოადგენენ უცხოელი ექიმები, რომლებიც თავიანთი ქვეყნის სამედიცინო სფეროში მიღწეულ წარმატებებს გაუზიარებენ ქართველ კოლეგებს.

**ნინო ჩიჩუა (კორპორაცია „ევექსის“ გენერალური დირექტორის მოადგილე):**

„მსგავსი ტიპის კონფერენციები ხელს უწყობს „ევექსს“ მოიზიდოს პროფესიონალი, წარმატებული ექიმები კორპორაციაში და გვქონდეს მათთან მჭიდრო კომუნიკაცია... მთავარი ის არის, რომ ჩვენს ექიმებს საშუალება ეძლევათ მოისმინონ თანამედროვე სამედიცინო ტენდენციები, მეთოდოლოგიები და უცხოელმა ექიმებმა, ასევე საზღვარგარეთ მოღვაწე წარმატებულმა ქართველმა კოლეგებმა, გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება“.

უკვე არსებობს რამდენიმე პრეცედენტი იმისა, რომ „ევექსმა“ უკვე მოიზიდა საზღვარგარეთ მოღვაწე 10-ზე მეტი წარმატებული ქართველი ექიმი, რომლებსაც საკმაოდ დიდი სამუშაო გამოცდილება აქვთ და დაასაქმა თავის ქსელში.

**ნინო ჩიჩუა (კორპორაცია „ევექსის“გენერალური დირექტორის მოადგილე):**

„კონფერენციის კიდევ ერთი მიზანია ის, რომ მოვიზიდოთ კაპიტალი უცხოეთიდან და საშუალება მივცეთ უცხოელ ექიმებს საქართველოში დაიწყონ მუშაობა. უკვე რამდენიმე უცხოელი სპეციალისტია, რომელიც ჩვენთან მუშაობს და სათავეში უდგას ქართული მედიცინის განვითარებას“.

Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გარევაჭრობა და





## „მოვუწოდებთ მომხმარებელს, არ შეიძინოს გარევაჭრობის დროს საფრთხის შემცველი პროდუქცია“

სალომე ჩადუნელი

**გარევაჭრობა, ზაფხულთან ერთად აქტუალური თემა ხდება. ქუჩებში გაშლილი დახლები და მტვერსა და ნაგავში გაყიდული პროდუქტები ხშირად გვჭრის თვალს. თუმცა, მას თავისი მყიდველი მაინც ჰყავს.**

ანტისანიტარია, ბუნებრივია, პროდუქტზეც მოქმედებს და ის ხშირად ხდება მოწამვლისა და ინფექციების გამომწვევი მიზეზი. ალბათ, დროა ამ პრობლემას შესაბამისმა უწყებებმა მიხედონ.

ის, რაც დეზერტირების ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ხდება, საგანგაშოა, გამომდინარე იქიდან, რომ საკვები პროდუქტები პირდაპირ ქუჩაშია დახლებზე გამოფენილი. ჩვენი ფოტორეპორტაჟისთვის თვალის ერთი გადავლებაც კი საკმარისია, რომ მკითხველი დარწმუნდეს, რამდენად სერიოზულად დგას დღეს გარევა-







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ანტისანიტარია



**გარევაჭრობის პრობლემით გამოწვეული დაავადებების სიხშირის დადგენა რთულია, ის ადამიანები, რომლებიც საკვებით მოიწამლებიან, აქტიურად არ მიმართავენ სამედიცინო დაწესებულებებს...**




ჭრობის პრობლემა დედაქალაქში.

**აქ ერთდროულად რამდენიმე პრობლემა ჩნდება:**

1. ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც უკვე წლებია, ითხოვს დეზერტირების ბაზრობის გარემოვაჭრეებისგან და კუსტარული დახლებისგან განთავისუფლებას;

2. ანტისანიტარიულ პირობებში საკვები პროდუქტების რეალიზაცია, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას;

3. მოტყუებული მომხმარებელი, რომელსაც, როგორც წესი, სპეციალურად დაყენებული სასწორით ატყუებენ...

სპეციალისტები, ექსპერტები, ექიმები მოსახლეობას მოუწოდებენ, არ შეიძინონ გარეთ სურსათი, განსაკუთრებით კი ხორცი და მალფუჭებადი საკვები.

**თენგიზ კალანდაძე, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე:**

„გარევაჭრობა საშიშია მომხმარებლისთვის. ჩვენ ყოველთვის ვაფრთხილებთ, რომ გარევაჭრობის შემთხვევაში განსაკუთრებით არ შეიძინონ ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, ისეთი როგორიცაა ხორცი, თევზი, ყველეული, ძეხვი და ა.შ. რა თქმა უნდა, ხილბოსტნეულის შეძენა შეიძლება და ნაკლებად საშიშია.

რა თქმა უნდა, არაერთი ორგანიზებული სავაჭრო ქსელი მათ სთავაზობს გაცილებით უკეთეს პირობებს. როგორც გამყიდველისთვის იქნება ეს გარემო სასურველი, ასევე მომხმარებლის ჯანმრთელობასაც არ მოუტანს ზიანს აქ ნაყიდი პროდუქტი. პროდუქცია გაიყიდება სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებში, ორგანიზებულ აგრარულ ბაზრებში, ჩვენ ამაზე ვმუშაობთ ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან ერთად, გვქონდა შეხვედრები, ვუწევთ რეკომენდაციებს, როგორ უნდა მოაწყონ სავაჭრო ობიექტები, როგორ უნდა დააკმაყოფილონ ეს პირობები. ამ საკითხზე ადგილობრივ თვითმმართველობასთან ვთანამშრომლობთ, მოვუწოდებთ მომხმარებელს არ შეიძინოს გარევაჭრობის გზით საფრთხის შემცველი პროდუქცია.

გარევაჭრობის პრობლემით გამოწვეული დაავადებების სიხშირის დადგენა რთულია, ის ადამიანები, რომლებიც საკვებით მოიწამლებიან, აქტიურად არ მიმართავენ სამედიცინო დაწესებულებებს.

„პრაიმტაიმმა" მოსახლეობაც გამოკითხა. მათ ერთი მხრივ, ესმით, რომ სიცხესა და ნაგავში დადებული ხორცი ან თევზი უვარგისია საკვებად, მაგრამ, მეორე მხრივ, აღნიშნავენ, რომ ბევრი ცდუნებას ვერ უძლებს – ხშირ შემთხვევაში გარემოვაჭრეები პროდუქტს უფრო იაფად ყიდიან, ამიტომაც ხშირად ყიდულობენ ასეთ პროდუქტს.

საავადმყოფოებში იყო მოწამვლით ბავშვების მიყვანის შემთხვევები. მეტწილად დადგინდა, რომ მოზარდებსა და ბავშვებში მოწამვლა საკვებმა პროდუქტმა გამოიწვია. ჯანდაცვის სამინისტრო კიდევ ერთხელ აფრთხილებს და მოუწოდებს მოსახლეობას, არ შეიძინონ გარეთ მალფუჭებადი პროდუქტი. მოსახლეობა კი დიდი ხანია ითხოვს გარევაჭრობის აკრძალვას.











© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მირიან ბოქოლიშვილი

# სოფო ხორგუანი: „დღეიდან ჩემთვის გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტი აღარ არის“

გასულ კვირას გიორგი მარგველაშვილმა კიდევ 226 მსჯავრდადებული შეიწყალა, მათგან 180-მა პატიმარმა სასჯელაღსრულების დაწესებულება დატოვა, 46-ს კი სასჯელი სხვადასხვა ვადით შეუმცირდა.






შეწყალების კომისიის რეკომენდაციის მიუხედავად, პრეზიდენტმა ამჯერადაც უარი თქვა თელასის ყოფილი გენერალური დირექტორის, გია გვიჩიანის შეწყალებაზე, რასაც საზოგადოების ნაწილის უკმაყოფილება მოჰყვა. მათ შორის გახლავთ სახალხო დამცველის ყოფილი მოადგილე სოფო ხორგუანი, რომელიც „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ მარგველაშვილს პრეზიდენტად აღარ მიიჩნევს.

**სოფო ხორგუანი, სახალხო დამცველის ყოფილი მოადგილე:**

– როდესაც სახალხო დამცველის მოადგილე ვიყავი, ჩვენთან შემოვიდა გია გვიჩიანის ადვოკატის განცხადება. ეს საქმე სიღრმისეულად შევისწავლეთ. იმდროინდელი პროპაგანდის წყალობით, საზოგადოების დიდ ნაწილს ეჭვი მართლაც ეპარებოდა გვიჩიანის უდანაშაულობაში, სწორედ ამიტომ სახალხო დამცველის ოფისში გამოვყავით ყველა კვალიფიციური იურისტი, რომ ეს საქმე შეესწავლათ. მთელი ჯგუფი მუშაობდა ამაზე და პრაქტიკულად ყველა ნიუანსი შევისწავლეთ.

**– რა დასკვნამდე მიხვედით მაშინ?**

– აშკარა იყო, რომ გვიჩიანი გახლდათ უკანონო პატიმარი. საქმეში არ არსებობდა არც ერთი უტყუარი მტკიცებულება, გარდა რამდენიმე მოწმის ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებისა. ძალიან კარგად ჩანდა, რომ საქმე შეკერილი იყო. ამიტომაც ეს საქმე მოხვდა სახალხო დამცველის მოხსენებაში. ჩემი დამოკიდებულება გია გვიჩიანის ბრალეულობაზე ემყარება იმ ინფორმაციას, რომელიც მე მაქვს, როგორც სახალხო დამცველის მაშინდელ მოადგილეს და ადამიანს, რომელმაც სიღრმისეულად იცის ეს საკითხი. როგორც ვიცი, პროკურატურაში მიდის გამოძიება, როგორ მოხდა ამ საქმის ფაბრიკაცია. პარალელურად ადვოკატები ახლად აღმოჩენილ გარემოებებზე დაყრდნობით კიდევ ერთხელ მიმართავენ ზემდგომ ინსტანციას და იმედი მაქვს, ადრე თუ გვიან, სამართალი იზეიმებს. არ შეიძლება ამდენი წელი უკანონო პატიმრობაში გყავდეს ადამიანი, თანაც ასეთი მძიმე ბრალდებით. ჩვენ ვიცით, სააკაშვილის ხელისუფლების დროს სამართლიანობაზე საუბარიც კი არ იყო, მაგრამ ჩემთვის წარმოუდგენელია, რომ ეს გია გვიჩიანი, ხელისუფლების შეცვლიდან 3 წლის შემდეგაც კვლავ უკანონო პატიმრობაში იმყოფება და პირდაპირ ვამბობ, რომ ამაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს პრეზიდენტს. ყოველი დღე, რომელსაც გია გვიჩიანი ატარებს პატიმრობაში, გიორგი მარგველაშვილის სინდისზეა. ყველაზე მძიმე არის ის, რომ გვიჩიანს უკვე ორჯერ



## EXCLUSIVE

## კახა კოჟორიძე: „ბატონმა გიამ მთხოვა ამ თემაზე პრეზიდენტს დაველაპარაკებოდი და მე მისი თხოვნა შევასრულე“

გაუწია რეკომენდაცია შეწყალების კომისიამ, ასევე, სახალხო დამცველმა, პრეზიდენტი კი ჯიუტად უარს ამბობს მის შეწყალებაზე. კახა კოჟორიძე, რომელიც დღეს პრეზიდენტის მრჩეველია, ძალიან კარგად იცნობს მის საქმეს, სწორედ მის სინდისზეც არის ის, რომ გვიჩიანი კვლავ უკანონო პატიმრობაში რჩება. კოჟორიძე პირადად ესწრებოდა სასამართლო პროცესებს და საკუთარი თვალით აქვს ნანახი მთელი ეს სიყალბე.

**– როგორ ფიქრობ, რა ინტერესი აქვს პრეზიდენტს?**

– მარგველაშვილი, უბრალოდ, უპასუხისმგებლო ადამიანია და არა აქვს გააზრებული ის ვალდებულებები და უფლებები, რომელიც მას აკისრია. სასახლეში ჯდომა არ არის პრეზიდენტობა. ერთადერთი მას აქვს დისკრეცია, რომ შეიწყალოს ან არ შეიწყალოს პატიმარი, სხვას ამის უფლება არ აქვს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, დღეიდან ჩემთვის გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტი აღარ არის.

„პრაიმტაიმი“ დაინტერესდა, რას ფიქრობს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე და ამჟამად პრეზიდენტის მრჩეველი **კახა კოჟორიძე:**

„ამ საქმეზე მე მაქვს იგივე პოზიცია, რაც მქონდა საია-ს თავმჯდომარეობის დროს. დღესაც ვფიქრობ, რომ ამ საქმეში არის სერიოზული კითხვის ნიშნები, ის სტანდარტი, რასაც სისხლის სამართლის საქმე უნდა აკმაყოფილებდეს, დაცული არ იყო. მე ამის შესახებ დამირეკა გია გვიჩიანმა ციხიდან, პირველად მაშინ, როცა საია-ს თავმჯდომარე გახლდით, და მეორედ, როდესაც პრეზიდენტის მრჩეველი გავხდი. ჩვენ ვისაუბრეთ ამის შესახებ. ვუთხარი, რომ ჩემი პოზიცია კვლავაც უცვლელია. ბატონმა გიამ მთხოვა, ამ თემაზე პრეზიდენტს დაველაპარაკებოდი და მე მისი თხოვნა შევასრულე. ვუთხარი ბატონ პრეზიდენტს, რას ვფიქრობდი და როგორი იყო ჩემი პოზიცია, მაგრამ ჩემს უფლებამოსილებაში შეწყალების საკითხები არ შედის. რა სტანდარტით იმოქმედა შეწყალების კომისიამ, ან პრეზიდენტმა, ჩემთვის უცნობია. შეწყალების დროს დასაცავია შესაბამისი სტანდარტები პრეზიდენტის მხრიდან. ეს არ არის იმის გადაწყვეტა, არის თუ არა პირი დამნაშავე. ეს სასამართლოს უფლებამოსილებაა. შესაძლებელია, პრეზიდენტმა სწორედ ამ სტანდარტის მიხედვით იმოქმედა“.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა ხდება შიდ



# კასპის გამგებელი: „ნაციონალურ მოძრაობაში“ ყოფნა სირცხვილია, თუ რა ხდება?!“

მირიან ბოქოლიშვილი

**გასულ კვირას რედაქციაში კასპიდან წერილი მივიღეთ, რომელიც ერთი მცირე მაგალითია იმისა, რა ხდება, ზოგადად, შიდა ქართლის რეგიონში. წერილს ხელს აწერს სოფელ წინარეხის მოსახლეობა, სადაც ინფრასტრუქტურული პროექტების არაკეთილსინდისიერად შესრულებაზე, კორუფციულ გარიგებებსა და საეჭვო ტენდერების შესახებაა საუბარი.**

„2013–2014 წელს განხორციელდა სასმელი წყლის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა წყალმომარაგების ქსელის დამონტაჟება-რეაბილიტაციას. აღნიშნული პროექტი არ აკმაყოფილებდა არც ერთ სატენდერო მოთხოვნას და ხელშეკრულების პირობებს. მოვიწვიეთ სამოქალაქო მონიტორინგის ჯგუფი, მათ ჩაატარეს გამოკვლევა, რის საფუძველზეც მოსახლეობამ შევიტანეთ საჩივარი კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. საკრებულომ შეისწავლა ეს საკითხი და დაადასტურა პროექტის უვარგისობა, საქმის გამოსასწორებლად მოითხოვა გამოცდილი ექსპერტების ჩართვა, მაგრამ კასპის გამგებელ გოჩა გოჩიტაშვილის მიერ არანაირი ქმედითი ნაბიჯი არ გადადგმულა. საგულისხმოა, რომ ამ რეგიონში ტენდერებს სხვა ობიექტებზეც ერთი და იგივე პიროვნება იგებს, ოღონდ სხვადასხვა ფირმის იურიდიული სახელით.

სარეაბილიტაციო სამუშაოები რამდენიმე მილიონი ლარის ღირებულებისაა, რომლებიც შესრულებულია უხარისხოდ. პროექტი ხორციელდება ფულის გასათეთრებლად და არა მოსახლეობისთვის წყლის მიწოდების მიზნით. ამის შედეგად, რეგიონში დისკრედიტებულია პარტია „ქართული ოცნება“ და მოსახლეობა უკვე ღიად გამოხატავს უკმაყოფილებას არსებული ხელისუფლების მიმართ“, – გვწერენ კასპელები.

რატომ იბარებს გამგეობა უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებს? რა კავშირი აქვს რაიონის გამგებელს ტენდერებთან და ვისი რეკომენდაციით დაინიშნა ყოფილი ნაციონალი გოჩა გოჩიტაშვილი გამგებლის პოსტზე? ამ საკითხზე „პრაიმტაიმი“ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ დამფუძნებელს, თენგიზ ჯავახიშვილს ესაუბრა, რომლის კანდიდატურა გამგებლის თანამდებობაზე განიხილებოდა, თუმცა ბოლო დღეს „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს დახურულ სხდომაზე გადაწყვეტილება შეიცვალა და არჩევანი ექსნაციონალზე გაკეთდა.

**თენგიზ ჯავახიშვილი, „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი:**

– კასპის გამგებლის თანამდებობაზე ჩემი კანდიდატურა ნამდვილად დასახელდა თავად პარტიის მიერ, მათ შორის მაჟორიტარი დეპუტატის მიერ. აქტიურად ვიყავი ჩართული „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიაში, ჯერ კიდევ მაშინ, სანამ პარტიად ჩამოყალიბდებოდა. თემატური ჯგუფების წევრი გახლდით. სხვადასხვა ეტაპების გავლის შემდეგ, იქნება ეს გასაუბრებები, თუ წარსული გამოცდილების ანალიზი, პარტიამ დამასახელა გამგებლის კანდიდატად. პრაქტიკულად ეს საკითხი გადაწყვეტილი იყო პარტიის ხელმძღვანელობასთან, მაგრამ ბოლო მომენტში გადაწყვეტილება შეიცვალა. ეს ხდება ჯერ კიდევ თვითმმართველობის არჩევნებამდე, 2013 წლამდე. საკრებულოს უნდა მიეღო ჩემი დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება, თუმცა წინა დღეს შეიკრიბა პარტიის პოლიტსაბჭო, სადაც დავით საგანელიძემ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე თენგო ჯავახიშვილი არ უნდა დანიშნულიყო გამგებლის თანამდებობაზე და ეს პოსტი უნდა დაეკავებინა გოჩა გოჩიტაშვილს.



გოჩა გოჩიტაშვილი

**– რატომო?**

– მიზეზები ჩემთვისაც უცნობი და ძალიან გასაკვირია. ბევრი კითხვა დატოვა ამ გადაწყვეტილებამ, რადგან გოჩიტაშვილი გახლდათ პიროვნება, რომელიც 2012 წლის არჩევნებამდე „ნაციონალურ მოძრაობას“ გულშემატკივრობდა და ამ პარტიის კოორდინატორიც იყო. შეგიძლიათ ნახოთ 5-ნომრიან მაისურში მისი ფოტოებიც. საგანელიძემ რეკომენდაცია გაუწია ნაციონალების წარმომადგენელს და გვერდით გასწია ადამიანი, რომელიც თავიდანვე ჩართული იყო „ქართული ოცნების“ კამპანიაში, ზეწოლები და რა აღარ გადავიტანეთ. სხვა ღირსეული კანდიდატი რომ შეერჩიათ, ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამ ის, რაც ახლა კასპის რაიონში ხდება, წარმოუდგენელია, ამიტომაც ჩავთვალე, რომ გაჩუმება აღარ შეიძლება. მე ვარ „ქართული ოცნების“ წევრი, ამ პარტიის დამფუძნებელი და გული მტკივა, რომ დღეს ადგილობრივ დონეზე მმართველობა კვლავ ნაციონალების კადრებმა აიღეს ხელში და პირდაპირ შემიძლია გითხრათ, გოჩიტაშვილის მსგავსმა კრიმინალებმა.

**– რას გულისხმობთ კრიმინალში?**

– ეს პიროვნება გახლდათ გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. არსებობს დოკუმენტები, რითაც დასტურდება, რომ გოჩიტაშვილი თავის კოლეგა მოსამართლეს სძალავდა ფულს. ამას აკეთებდა კონკურენტის ჩამოსაშორებლად, რათა დაეკავებინა სასამართლოს თავმჯდომარის პოსტი. ეს მისი წარსულია და სიმართლე გითხრათ, ნაკლებად მაინტერესებს, მე ის უფრო მანაღვლებს, რაც დღეს რაიონში ხდება. მინდა მივმართო „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოსა და პრემიერ-მინისტრს: დაინტერესდნენ ამ ადამიანის საქმიანობით. ყველა ტენდერი, რომელიც კასპის მუნიციპალიტეტში ტარდება, სერიოზულ კორუფციულ სქემებთან არის დაკავშირებული. ინფრასტრუქტურული პროექტები შესრულებულია უხარისხოდ და არასრულად, სანაცვლოდ კი ხდება მნიშვნელოვანი თანხების მითვისება.



თენგიზ ჯავახიშვილი

**– ჩვენ მოგვმართა სოფელ წინარეხის მოსახლეობამ, რომელიც დაახლოებით იგივე პრობლემაზე საუბრობს...**

– დიახ, ამ სოფლის მოსახლეობა გაუსაძლის მდგომარეობაშია. მათი პრობლემა ჩემთვის ნაცნობია, იგივე ხდება ქვემო გომში. სულ ბოლო ინფორმაციას მოგახსენებთ: ივანე ჯავახიშვილის მშობლიურ სოფელ ხოვლეში გაკეთდა მისასვლელი გზა, დაიხარჯა 2 მილიონ ლარზე მეტი თანხა. გოჩიტაშვილმა გადაწყვიტა, რომ 25 მაისს ეს გზა საზეიმოდ გაეხსნა, მიწვეულნი იყვნენ შიდა ქართლის გუბერნატორი, მაჟორიტარი დეპუტატი და სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები. გააბეს ლენტი, მაგრამ ეს ლენტი არ გაიჭრა. ადგილზე მისულმა გუბერნატორმა ნახა, რომ გზა უვარგისია, მისი გახსნა არ შეიძლებოდა, სამშენებლო ნაგვით იყო სავსე მთელი გზა. ჩაჯდა მანქანაში გუბერნატორი და უკან წავიდა, ეს არის უზარმაზარი ცინიზმი. ამიტომაც მივმართავ პარტიის ხელმძღვანელობას, ყურადღებით მოეკიდონ ამ საკითხს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნდობის ხარისხი გაზაფხულის თოვლივით დნება. თუ ასე გაგრძელდა, მომავალ არჩევნებზე შეიძლება 5 პროცენტიც სანატრელი გახდეს „ქართული ოცნებისთვის“. ეს არის „ქართული ოცნების“ მიზანმიმართული დისკრედიტაცია და საბოტაჟი. ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს გოჩიტაშვილი, იმედი მაქვს, შესაბამისი პირები ამ საკითხს ყურადღებით მოეკიდებიან, თუ სიტუაცია არ შეიცვლება, მაშინ მე და კიდევ არაერთი ადამიანი, იძულებულნი ვიქნებით, დავტოვოთ „ქართული ოცნება“.

**„ქართული ოცნების“ დამფუძნებელი: საგანელიძემ რეკომენდაცია გაუწია „ნაციონალების“ წარმომადგენელს და გვერდით გასწია ადამიანი, რომელიც თავიდანვე ჩართული იყო „ქართული ოცნების“ კამპანიაში“**

არსებული პრეტენზიების შესახებ „პრაიმტაიმი“ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელს, გოჩა გოჩიტაშვილს დაუკავშირდა. მისი თქმით, ტენდერებთან დაკავშირებულ საკითხს პროკურატურა სწავლობს და თუ რაიმე დარღვევა იკვეთება, ამას საგამოძიებო ორგანო დაადგენს. წარსულში ნაციონალებთან კავშირს კი გოჩიტაშვილი არც ამჟამად უარყოფს.

**გოჩა გოჩიტაშვილი, კასპის გამგებელი:**

– ტენდერების საკითხს პროკურატურა სწავლობს. თუ რაიმე დარღვევაა, ისინი გაარკვევენ. აქედანვე შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის აბსოლუტურად უსაფუძვლო ბრალდებები. იმედია, პროკურატურა კვალიფიციურ დასკვნას დადებს. ხალხს, ვინც თქვენ დაგიკავშირდათ, სავარაუდოდ, პოლიტიკური ინტერესები აქვს.

**– რაც შეეხება იმას, რომ თქვენ 2012 წლამდე იყავით „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური მხარდამჭერი....**

– გეუბნებით, რომ ეს ხალხი არის პოლიტიკურად ანგაჟირებული და მათ ნათქვამზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. მე პარტიის წევრი არ ვყოფილვარ. ისე კი, „ნაციონალურ მოძრაობაში“ ყოფნა სირცხვილია, თუ რა ხდება?!

**– სირცხვილი არ არის, უბრალოდ, ფაქტია. დაზუსტება მაინტერესებდა....**

– 2003 წელს ხმა ნამდვილად მივეცი „ნაციონალურ მოძრაობას“, ვგულშემატკივრობდი კიდეც, მაგრამ 2008 წლიდან ამ პარტიასთან შეხება აღარ მქონია.

**– ამბობენ, რომ გამგებლის თანამდებობაზე თქვენს დანიშვნას, უშუალოდ, დავით საგანელიძე ლობირებდა...**

– დავით საგანელიძისთვის ხელიც კი არ მაქვს ჩამორთმეული, საერთოდ არ ვიცნობ.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ა ქართლში?



## „სადარბაზოებში შარდავს ტურისტი იმის გამო, რომ მერიამ ერთი ტუალეტის დადგმას თავი ვერ მოაბა“

# გზა მერაბიშვილის სათბურებიდან გორის მერიამდე

**კასპის მსგავსად პრობლემებია გორის რაიონშიც. მოსახლეობა ადგილობრივი ხელისუფლების უუნარობაზე საუბრობს. მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა და მძიმე სოციალური პირობები – ეს ყველაფერი განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა დიდი ბელადის მშობლიურ ქალაქში, სადაც, როგორც საკრებულოს დეპუტატები ამბობენ, ტუალეტის არარსებობის გამო, ტურისტები პირდაპირ სადარბაზოებში შარდავენ. ამ ფონზე მერიამ მხოლოდ ერთ თვეში ადგილობრივ მაღალჩინოსნებზე 70 ათას ლარამდე პრემია გასცა, ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად კი ერთჯერადად მხოლოდ 150 ლარი გამოყო.**

ქალაქ გორის საკრებულოს წევრი „ქართული პარტიიდან“ ლერი ლაფაჩი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ ამ შემთხვევაშიც ქალაქს „ნაციონალური მოძრაობის“, კერძოდ კი, ვანო მერაბიშვილის კადრი მართავს. საუბარია გორის მერზე, ზურაბ ჯირკველიშვილზე. ეს უკანასკნელი წარსულში გორის სათბურებს ხელმძღვანელობდა, რომელიც ქალაქში ვანო მერაბიშვილის სახელთან ასოცირდება და როგორც ამბობენ, ე.წ. პარნიკები მერაბიშვილის ოჯახის ბიზნესს წარმოადგენდა.

**ლერი ლაფაჩი, გორის საკრებულოს წევრი:**

– ძალადობის მსხვერპლებზე გორის ბიუჯეტიდან გამოყოფილია ერთჯერადი დახმარება, 150 ლარის ოდენობით. ჩვენ ვთავაზობდით მერიას, რომ გაგვეყიდა მერიის ბალანსზე არსებული ძვირადღირებული ავტომობილები, რომელიც შსს-ს ადგილობრივი სამმართველოს სარგებლობაშია და ამ თანხით გაგვეზარდა ძალადობის მსხვერპლთა და სხვა სოციალური ფენებისთვის კომპენსაციების ოდენობა.

**– რატომ არის მერიის ბალანსზე შსს-ს სარგებლობაში მყოფი ავტომობილები?**

– ეს ავტომობილები სააკაშვილმა 2008 წელს არჩევნების მოგებაში შეტანილი წვლილისთვის გადასცა შსს-ს თანამშრომლებს, ანუ მათ, ვინც თავი „გამოიჩინეს“ არჩევნებზე. ეს მანქანები შეიძინეს გორის ბიუჯეტიდან და, შესაბამისად, აღირიცხა მერიის ბალანსზე, თუმცა არც ერთი დღე მერიის სარგებლობაში არ ყოფილა. ეს პოლიციელები დღესაც ამ მანქანებით მოძრაობენ, საუბარია საკმაოდ ძვირადღირებულ, 2008 წლის ჯიპებზე. მხოლოდ ერთ „GX“-ში 48 ათასია გადახდილი. საერთო ჯამში, მინიმუმ 150 ათას ლარზეა საუბარი, რომელიც შეგვიძლია, მოსახლეობის კეთილდღეობას მოვახმაროთ, მით უმეტეს, რომ ამ ავტომობილებით არ სარგებლობს მერია. მათ შემოიტანეს საკითხი, რომ გაუგრძელდეთ ხელშეკრულება ამ პირებს. ჩვენი ინიციატივა იყო, რომ ეს მანქანები დაბრუნებოდა მერიას, გაგვეყიდა და დავხმარებოდით თუნდაც ძალადობის მსხვერპლ ადამიანებს. მერის არგუმენტი კი იყო ის, რომ ამით ბიუჯეტს ვაზარალებთ, რადგან ამ შემთხვევაში დასაჩუქრებული პოლიციელებისთვის შსს-ს ახალი ავტომობილების ყიდვა გაცილებით ძვირად მოუწევსო. კანონი არეგულირებს, რომ მერიის ბალანსზე არსებულ ქონებაზე პასუხისმგებელია თავად მერია. როცა საკრებულოს ერთი ავტომობილიც კი არ გააჩნია, მოსახლეობას რომ შეხვდეს, რატომ უნდა დადიოდნენ მერიის კუთვნილი ავტომობილებით სააკაშვილის მიერ დაჯილდოებული სხვა უწყების მაღალჩინოსნები. კომბინატის დასახლებაში 100 ოჯახით დასახლებულ კორპუსს ელემენტარული საკანალიზაციო სისტემა არ გააჩნია, რომელ ავტომობილებზეა საუბარი?! არსებობს საბავშვო ბაღები, რომლებსაც საკუთარი შენობაც კი არ აქვთ და ქირაობენ. იმის ნაცვლად, რომ ერთი კაპიტალური ბაღი მაინც ააშენონ, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავენ, დაწყებული პრემიებით და დამთავრებული, თუნდაც იმ ავტომობილებზე ხელშეკრულებების გაგრძელებით.

**– ადგილობრივები ინფრასტრუქტურის გაუმართაობაზეც საუბრობენ... რა მდგომარეობა ამ მიმართულებით?**

– ერთ-ერთ უბანში დაიწყეს გზის დაგება, 7 მილიონი დახარჯეს, ერთი წელი გავიდა და ჯერ გრუნტიც კი არ დაუსხამთ. ქალაქში ელემენტარულად ტუალეტი არ არსებობს.

**ლერი ლაფაჩი: „ნაციონალების დროსაც გადასარევად გრძნობდა თავს და მით უმეტეს ახლა, როდესაც ერთ თვეში ხელფასის ოდენობის პრემიებს იწერს“**



ლერი ლაფაჩი

ასეა თუ ისე, გორი მაინც სტალინის სახელთან ასოცირდება და უცხოელი ტურისტებიც ამ მიზნით ჩამოდიან აქ, მაგრამ არა მგონია, მათ უკან მობრუნების სურვილი გაუჩნდეთ. ბოდიში და, სადარბაზოებში შარდავს ტურისტი იმის გამო, რომ მერიამ ერთი ტუალეტის დადგმას თავი ვერ მოაბა. ალარაფერს ვამბობ წყლის პრობლემაზე, ქალაქში ერთი სასმელი ფანტანის გაკეთება შეუძლებელი აღმოჩნდა, უცხოელი იქნება თუ სხვა, ალბათ, დაიხრჩობა, მაღაზიაში წყალი თუ არ იყიდა. აღარაფერს ვამბობ მოუწესრიგებელ ქუჩებზე. შეგიძლიათ წვიმის დროს ჩაბრძანდეთ გორში და ვენეცია გეგონებათ, პრაქტიკულად პარალიზებული დაგხვდებათ ქალაქი, გადაადგილება ამ დროს ძალიან ჭირს. ელემენტარულად ნაგავს მიაქვს ქალაქის ქუჩები, ნაგვის ურნები მუდმივად სავსეა და პატრონი არავინ ჰყავს. იმის ნაცვლად, რომ მერიამ ამ პრობლემების გამოსწორებაზე იფიქროს, მერი ამბობს, რომ მისთვის ზემოხსენებული ავტომობილები და მისი გაყიდვა ღირებული არ არის. ანუ მისთვის გორის მოსახლეობის კეთილდღეობა ღირებული არ არის. სამაგიეროდ, თანხებს არ იშურებს საკუთარ კეთილდღეობაზე.

**– რას გულისხმობთ?**

– ეს ადამიანი მუდმივად საკუთარ კეთილდღეობაზე გახლდათ ორიენტირებული. ჯერ კიდევ ნაციონალების დროს საკმაოდ უდარდელად ცხოვრობდა და არც მაშინ ანაღვლებდა ხალხის გასაჭირი. მაშინ გორში ვანო მერაბიშვილის სათბურებს ამუშავებდა. ყველამ იცის, რომ სათბურები გორში ვანო მერაბიშვილმა გააშენა და ეს პიროვნება გახლდათ ამ სათბურების დირექტორი. დამეთანხმებით, რომ ასეთ პოზიციაზე მას არავინ განამწესებდა მერაბიშვილის თანხმობის გარეშე. ამით იმის თქმა მინდა, რომ ნაციონალების დროსაც გადასარევად გრძნობდა თავს და მით უმეტეს ახლა, როდესაც ერთ თვეში ხელფასის ოდენობის პრემიებს იწერს.

**– კონკრეტულად როდის დარიგდა მერიაში პრემიები და რა ოდენობით?**

– ხელთ მაქვს დოკუმენტი, სადაც პირდაპირ წერია, რომ გორის მერმა მხოლოდ ერთ თვეში აიღო 2000 ლარამდე პრემია, ანუ ხელფასზე ოდნავ ნაკლები. ასევე, მსუყე პრემიები ჩამოურიგა მოადგილეებსა და სამსახურის უფროსებს. ეს მხოლოდ აპრილში. კიდევ გასაგები იქნებოდა, ეს ადამიანები რამის გამკეთებლები მაინც რომ იყვნენ, მაგრამ რაში იღებენ ამხელა პრემიებს – უსაქმურობასა და უუნარობაში? ნაგავს მიაქვს მთელი ქალაქი და ამათ რა საქმიანობა გასწიეს ისეთი, რომ საკუთარი თავი ამგვარად წაახალისეს. საერთო ჯამში, მერსა და მერიის სხვა მაღალჩინოსნებზე გაცემულია 70 ათასი ლარამდე პრემია მხოლოდ ერთ თვეში.

თავად გორის მერი ზურაბ ჯირკველიშვილი პრემიების გაცემაში პრობლემას ვერ ხედავს და ამბობს, რომ ეს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდის მიზნით ხდება.

„შეცდომაა, კარგად გაკეთებული საქმისთვის თანამშრომელს რომ არ ჰქონდეს მოტივი, რომ ის წახალისდება? ჩვენ არ გავიცია 100-პროცენტიანი პრემია. არიან თანამშრომლები, რომლებმაც საერთოდ ვერ მიიღეს პრემია. ჩვენ თვალდახუჭული არ ჩამოგვიწერია 100-100-პროცენტიანი პრემიები ყველასთვის“, – **აცხადებს გორის მერი ზურაბ ჯირკველიშვილი.**

რაც შეეხება მერიის ბალანსზე არსებულ და შსს-ს სარგებლობაში მყოფ ავტომობილებს, ჯირკველიშვილი ამბობს, რომ ამ საკითხის გადახედვას არ აპირებს.

„ეს ავტომობილები ჩვენი წინამორბედების მიერ შსს-ს გადაეცა ხელშეკრულებით. ამ ხელშეკრულების ვადა არ ამოწურულა და არ მაქვს არანაირი საფუძველი, რომ ხელშეკრულებას ვადაზე ადრე გადავხედო. თუ ის მანქანები დავიბრუნეთ, იმ ადამიანებს ბიუჯეტის ფულით ახალი მანქანები უნდა შეუძინონ. ჩემთვის ერთნაირად საფიქრალია არა მარტო ქალაქის, არამედ ქვეყნის ბიუჯეტიც“, – **აცხადებს ჯირკველიშვილი.**



ზურაბ ჯირკველიშვილი



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სანდრო ცნობილაძე - არავის და არაფრის ზემოქმედების ქვეშ არ ვყოფილვარ




მაგდა კლდიაშვილი

**სანდრო ცნობილაძე, გამოცდილი და კომპეტენტური კომენტარი დღეს სამსახურის გარეშეა. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მისი დათხოვნის გადაწყვეტილება რამდენიმე დღის წინ მიიღო. მიზეზი კი 31 მაისს, პირდაპირ ეთერში მომხდარი კურიოზი გახდა. კომენტატორს საქართველოსა და პორტუგალიის 19-წლამდელთა ნაკრებების დაპირისპირებისას გუნდები აერია. ეს ყველაფერი ეთერში ოთხი წუთი გრძელდებოდა, შემდეგ კი ცნობილაძემ მაყურებელს მოუბოდიშა და ჩვეულებრივ განაგრძო კომენტირება. შეხვედრის შემდეგ არხის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით კომენტატორი ეთერიდან მოხსნეს, შემდეგ კი საერთოდ დაითხოვეს სამსახურიდან. რამდენად მოულოდნელი იყო მისთვის არხის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება და რა მოხდა ეთერში - ინტერვიუ სანდრო ცნობილაძესთან.**

**- სანდრო, ახლა რომ გაიხსენო, რა მოხდა მაშინ ეთერში, როგორ აგერია გუნდები?**

- ეს არის კურიოზი. რამდენიმე დღის წინაც დავწერე და დღესაც იგივეს ვამბობ. საერთოდ ვერ ვხსნი რა მოხდა. ჩემს თავს ვეკითხებოდი 48 საათის განმავლობაში, სანდრო, რა მოგივიდა, ჩემი პასიურობა ამით იყო გამოწვეული „ფეისბუქზე“. მესმის, რომ ადამიანები ელოდებოდნენ რაღაც განმარტებას, მაგრამ პასუხი ვერ გავეცი ჩემს თავსაც, როგორ მოხდა. ერთადერთი, რაც ახსნა-განმარტებაშიც დავწერე და მინდა ყველამ იცოდეს - არავის და არაფრის ზემოქმედების ქვეშ არ ვყოფილვარ. ეს არის ძალიან მარტივად დასადგენი ფაქტი. შესაბამისად, მზად ვარ, ვუპასუხო ნებისმიერი ფორმით, ვისაც ეჭვი შეეპარება.

**- ახსნა-განმარტებაში რატომ დაწერე ეს, არხის ხელმძღვანელობას შეეპარა ეჭვი?**

- არა, უბრალოდ, მე ჩავთვალე საჭიროდ ამის დაწერა, გამოხმაურებებიდან გამომდინარე. ჩავწერე ეს წინადადება, რომ არავის და არაფრის ზემოქმედების ქვეშ არ ვყოფილვარ.

**- მოედანს როგორ ხედავდი იმ მომენტში და საერთოდ, როგორი სამუშაო პირობები აქვთ ქართველ კომენტატორებს?**

- ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც ჩვენთან არსებობს. ვინც ახლოს არის ფეხბურთთან, ყველამ კარგად იცის, რომ არ ვართ განებივრებული კარგი საფეხბურთო ინფრასტრუქტურით. არავინ ჩამითვალოს, რომ თავს ვიმართლებ, მაგრამ რაც ხდება „მესხზე“, მთლად შესაბამისი არ უნდა იყოს კომენტატორისთვის. ფეხბურთის ფედერაციის მესვეურების სურვილი, რომ გახადონ უფრო კომფორტული სტადიონი, გასაგებია. ვერანდა, რომელიც გაკეთდა დაჯილდოების ცერემონიალებისთვის, შევთანხმდეთ, რომ არის იმისთვის, რომ აქ ეს ცერემონიალები ჩატარდეს. სხვა რამე იქ გამორიცხულია, რადგან იქ დგანან სხვა ადამიანები, რომლებიც თავიანთ სამუშაოს აკეთებენ, საუბარი მაქვს ოპერატორებზე, მაგრამ, როდესაც იქ დგას სამი ოპერატორი, მოედნის ნახევარი უკვე აღარ ჩანს. მეორე საკითხი კი საერთოდ სალაპარაკო არ არის. საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც საფეხბურთო მატჩების ტრანსლირება ხდება ოთხი კამერით, რაც, ჩემი აზრით, არის აბსოლუტური ნონსენსი, შესაბამისად, არ ჯდება არანაირ პარამეტრში. ამან თავის ზეგავლენა იქონია. ვასახელებ მიზეზებს და 99,9 პროცენტი არის ჩემი ბრალი, მაგრამ დანარჩენი რომ არ ყოფილიყო, ეს არ მოხდებოდა.

**- როდის მიხვდი რომ შეცდი?**

- როდესაც, 11 მეტრიანის შემდეგ, გახარებულმა პორტუგალიელებმა გადაწყვიტეს, რომ ალენიშნათ ეს ამბავი. იქ დავინახე შავკანიანი ადამიანი და მაშინ მივხვდი, რომ ამერია. წინადადება და აზრი უნდა დამესრულებინა, მომენტალურად მოხდა ჩემგან რეაგირება ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩემთვისაც ამოუხსნელია, რატომ არ მითხრეს ამის შესახებ, რადგან, ბუნებრივია, არსებობს კავშირი ადამიანებთან, რომლებიც, ჩემ გარდა ამ შეხვედრის რეპორტაჟზე მუშაობდნენ.

**- ტრანსლაციას რეჟისორი ჰყავდა, რატომ არ გითხრა არაფერი?**

- არ ვიცი. ჩემთვის როგორი ამოუხსნელიც არის, რა მომივიდა, ასევე, ვერ ვიძლევი პასუხს იმაზე, რატომ არ მოხდა მათი მხრიდან რეაგირება.

**- მაისურის ფორმამ ხომ არ შეგიყვანა შეცდომაში?**

- ზოგადად, ყველამ იცის, რომ მასპინძელი ირჩევს ფორმას. მასპინძელი კი საქართველოს ნაკრებია და სათამაშო პირველი ფორმა არის თეთრი. პორტუგალია ძალიან ხშირად თამაშობს წითელი მაისურით. ამიტომ განწყობა ჩემი, რომ სწორედ თეთრი ფორმით თამაშობდნენ ქართველები, პორტუგალიელები კი - წითლით, განაპირობა ამან.

**- ამ ფაქტის შემდეგ არხის ხელმძღვანელობასთან თუ გქონდა საუბარი, გადაწყვეტილება როგორ შეგატყობინეს?**

- ეს ამბავი ჩემი მეგობრებისგან გავიგე. შესაბამისად, ოფიციალური სარჩული რა უდევს ამ ამბავს, არ ვიცი. როგორ არის ფორმულირებული. იმას ვიტყვი, რომ ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო.

**- კონტრაქტი როდემდე გქონდა, სასამართლოში ხომ არ აპირებ დავას?**

- თვის ბოლოს მიმთავრდებოდა.




**„ოფიციალური სარჩული რა უდევს ამ ამბავს, არ ვიცი. როგორ არის ფორმულირებული. იმას ვიტყვი, რომ ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო“**

ამ იურიდიულ ნიუანსებში კარგად გარკვეული არ ვარ. არც ისე დიდი დროა გასული მომხდარიდან. გარკვეულ კონსულტაციებს აუცილებლად გავივლი და შესაბამისად, ჩემი მოქმედებები ამაზე იქნება დამყარებული.

**- იმის გამო, რომ შენს პოლიტიკურ შეხედულებებს საჯაროდ აფიქსირებდი, ადამიანების დიდმა ნაწილმა ჩათვალა, რომ შენი გათავისუფლება პოლიტიკური ხასიათის იყო...**

- ეჭვების დონეზე ვერ ვილაპარაკებ. მით უმეტეს, კულუარული საუბრების წარმართვა არ მჩვევია. ყველას თავისი შეხედულება აქვს. დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ყველას თავისი მოსაზრების გამოთქმის უფლება აქვს და შესაბამისად, მათ ამის გამო პასუხს არავინ მოსთხოვს.

**- შენი კოლეგა, დავით მინაშვილი თუ გამოგეხმაურა და რა აზრისაა ამ გადაწყვეტილებაზე?**

- დათომ დამირეკა და გამოხატა ის პოზიცია, რომელიც მას აქვს და ეს ჩემთვის მისაღებია. ის იზიარებს მთელ ჩემს ტრაგედიას არ მინდა ვიხმარო, მაგრამ მთელ ჩემს მდგომარეობას.

**- სპორტულმა ჟურნალისტებმა სოლიდარობა გამოგიცხადეს, სპეციალური პრესკონფერენციას გამართეს, ეს ქართულ სპორტულ სივრცეში პირველია...**

- ყველა მათგანს ვუხდი დიდ მადლობას. ყველას ვერ ვპასუხობ, რადგან შეუძლებელია პასუხის გაცემა. არ მეგონა, ამ მასშტაბის რეაქცია თუ მოჰყვებოდა. აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ კონკრეტულმა ადამიანებმა გამოხატეს თანადგომა. საფეხბურთო კლუბებმაც და მიუღებლად მიიჩნიეს ეს გადაწყვეტილება. მადლობას ვუხდი ყველას იმ მხარდაჭერისთვის, რომელიც დღეს მაქვს და მქონდა მას შემდეგ, რაც ჩემი პირველი პოსტი გამოჩნდა „ფეისბუქზე“. ყველა ამ ადამიანს მინდა ვუთხრა, რომ მათთვის ვმუშაობდი და მათთვის ვიმუშავებ კიდევ მრავალი წელი.

**- პეტიციაც კი გავრცელდა, რომ არხზე დაგაბრუნონ. თუკი არხის მენეჯმენტი შეცვლის გადაწყვეტილებას, დაბრუნდები?**

- ცალკე მინდა აღვნიშნო სპორტული ჟურნალისტები, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით იმ თანადგომაში, რომელიც ჩემ ირგვლივ არსებობს. მოხდება თუ არა დაბრუნება საზოგადოებრივ მაუწყებელზე, კარგად მესმის, რომ საზოგადოებრივი აზრი მიმართული იქნება იქით, რომ დავბრუნდე. ძალიან მინდა, რომ საზოგადოებრივ აზრთან ადეკვატურ მოქმედებაში მოვიდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის გადაწყვეტილება.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბოლნისში ფეხბურთი ბრუნდება



## ლადო ბურდულმა კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა

## EXCLUSIVE

მაგდა კლდიაშვილი

**ნაციონალური ბიზნესრეიტინგების კავშირმა ბოლნისის „სიონი“ ქვემო ქართლის რეგიონში, მენეჯმენტის კუთხით საუკეთესოდ, ხოლო საქართველოს მასშტაბით მესამე ადგილზე დაასახელა. როგორ მოახერხა მუნიციპალურ დაფინანსებაზე მყოფმა გუნდმა ამ წარმატების მიღწევა, როდის დაბრუნდება ბოლნისში ფეხბურთი და როგორ აჯამებს გასულ სეზონს, გუნდის გენერალური დირექტორი, ვლადიმერ ბურდული, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**

**- ბოლნისის „სიონმა“ ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირის პრიზი მიიღო. რა მნიშვნელობა აქვს ამას თქვენთვის?**

- სასიხარულოა, რომ ასე დაგვიფასდა შრომა. სამი წელია, რაც „სიონში“ ვმოღვაწეობ და ჩემი მხრიდან, მაქსიმალურად ვცდილობდით მუდამ, რომ „სიონი“ სოლიდურ საფეხბურთო კლუბს დამსგავსებოდა. რა თქმა უნდა, ბევრი გვიკლია, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ კლუბს არ გააჩნია სათამაშო მოედანი, ბაზა, საცხოვრებელი, ყველაზე საჭირო პირობები, მაგრამ დასაფასებელია, რომ ფინანსურ, ხარჯვით ნაწილში, მენეჯმენტი უმაღლეს დონეზე გამოსწორდა და ერთ-ერთი საუკეთესოა ქვეყანაში. ეს არის სწორი სელექცია იმ პროფესიონალების შერჩევაში, ვინც დასაქმებულია კლუბში და ორმაგად სასიხარულოა, რომ ეს გუნდი ჩემი ხელმძღვანელობით შეიქმნა, ფეხბურთელებს არ ვგულისხმობ, სტაფს ვგულისხმობ, თითოეული მათგანის მადლიერი ვარ, რომ ეს შრომა დაგვიფასდა.

**- როგორ უნდა გაიმართოს საფეხბურთო მენეჯმენტი?**

- ყველაზე მთავარი და გასათვალისწინებელია, როდესაც სახელმწიფო კლუბი ხარ, თუნდაც კერძო, უნდა იცოდე, თუ საიდან მოდის საარსებო წყარო, თანხა და იმ თანხის სწორი განკარგვა უნდა იცოდე. სწორ განკარგვაში ვგულისხმობ, მაგალითად, სახელმწიფომ გამოგიყო მილიონი ლარი, თითოეული თეთრი დახარჯული უნდა იყოს სწორად, ვის რა კომპეტენცია აქვს, ვის რამდენი უნდა ჰქონდეს. ჩვენს გუნდში ეს გამჭვირვალეა, რაც ამ ორგანიზაციამაც დააფასა და სწორი კვლევით დაადგინა, რომ ერთ-ერთი საუკეთესოები ვიყავით საქართველოში. მით უმეტეს, როდესაც შენ სახელმწიფო კლუბი ხარ და ფულს სახელმწიფო გაძლევს, უფლება არ გაქვს, ერთი თეთრიც კი სხვა მიმართულებით გაუშვა. დოკუმენტი, ხელშეკრულება უნდა გქონდეს. ეს იმის შედეგია, თუ როგორ კარგად და სუფთად ვმუშაობთ ჩვენ.

**- გასულ სეზონში კლუბში შემადგენლობის დიდი ნაწილი შეიცვალა, თუმცა მაინც მაღალი მიზნები დაისახეთ. საბოლოო ჯამში, გუნდმა ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლა და ეს მოახერხა. როგორ შეაფასებ განვლილ სეზონს?**

- ორ და სამ თვეში გუნდი არ კეთდება. წინა წელს, გუნდი მესამე ადგილზე გავიდა, ეს კი იმის შედეგი იყო, რომ ორი წლის განმავლობაში ბირთვს ვინარჩუნებდით. გვქონდა ამის საშუალება. იწერებოდა, რომ ყველაზე ცოტა ტრანსფერი ჩვენს გუნდში განხორციელდა. ორი-სამი ფეხბურთელი გვტოვებდა და ამდენი მოდიოდა. შევინარჩუნეთ შემადგენლობა, შეთამაშდა გუნდი და შედეგი მივიღეთ. წელს, მოხდა უფროსობასთან ერთად შეთანხმება, შევიმუშავეთ გეგმა, რომ სრულიად შეგვეცვალა გუნდის შემადგენლობა, რომ უფრო მეტ ახალგაზრდა და ადგილობრივ ფეხბურთელს ეთამაშა, იყო ლაპარაკიც, რომ შედეგი არ გვექნებოდა. გვინდოდა, ცხრილის შუაში გვეტრიალა, მაგრამ ბევრი სხვა მიზეზი იყო. თუნდაც ის, რომ ყველა საშინაო მატჩს სხვის მოედანზე, გასვლაზე ვატარებდით. გუნდს არ ჰქონდა პირობები, ბიუჯეტიც საგრძნობლად შეუმცირდა. გუნდი 15-მა ფეხბურთელმა დატოვა და ამდენივე ახალი მოვიდა. საფეხბურთო სეზონი ოთხთვიანი იყო. ყველა თამაშს უმაღლეს დონეზე ვერ ჩაატარებ. ჩემი ბიჭების შესაქებად ვიტყვი, რომ მათ ბევრი მაღალი დონის თამაში ჩაატარეს.

## ბოლნისის „სიონში“ ახალ მწვრთნელს ეძებენ

მათ შორის, ლიდერებთან უპირატესობით ვითამაშეთ და კარგი თამაში ვაჩვენეთ, მხოლოდ გორის „დილასთან“ დავმარცხდით ლიდერებიდან. ახალგაზრდებს ეს ახასიათებთ. ორ თამაშს კარგად ითამაშებენ, შემდეგ კი ჩააგდებენ, ესეც გამოცდილებიდან გამომდინარე მოხდა. ეს მარტო ჩვენს გუნდში არ ხდებოდა, სხვა გუნდებშიც იყო ამის მაგალითი. ვფიქრობ, ამისთვის მზად ვიყავით, რომ რთული სეზონი გვექნებოდა.

**- „სიონში“ გენერალურ დირექტორთან ერთად, მთავარი მწვრთნელის ფუნქციაც გქონდა. კონტრაქტი დაგიმთავრდა, ახლა რა ფორმით გააგრძელებ კლუბთან თანამშრომლობას?**

- ჩვენ გვქონდა შეხვედრა გამგებელთან, გოგიტა მეშველიანთან და შევთანხმდით, რომ ერთი წლით გახანგრძლივდება ჩემი კონტრაქტი, მაგრამ ვიქნები, უშუალოდ გენერალური დირექტორი. ვფიქრობთ, ვინ იქნება მთავარი მწვრთნელი. მოსაძებნია კარგი სპეციალისტი, რომელიც კარგად თუ არა, ცუდად არ გააგრძელებს „სიონის“ გამოსვლას მომდევნო სეზონში და კარგი თამაშით გაახარებს ბოლნისელ გულშემატკივარს.

**- რამდენი იქნება გუნდის ბიუჯეტი?**

- ჩვენ საბიუჯეტო გუნდი ვართ. მილიონ ორასიათასი გვქონდა ბიუჯეტი. აქედან, 700 ათასი გახარჯულია და დარჩა 500 ათასი. ვეცდებით, მაქსიმალურად შემოვიჭიროთ ქამრები. ეს ნამდვილად არ ყოფნის იმას, რომ გუნდმა მაღალი მიზნებისთვის გააგრძელოს ბრძოლა, მაგრამ იმ ახალგაზრდა ფეხბურთელების რესურსი, რაც გაგვაჩნია, ვეცდებით, რამდენიმე ფეხბურთელის დამატებასაც, თუნდაც დეკემბრამდე ცხრილის შუაში ვიტრიალოთ. ამ თემაზეც გვქონდა გამგებელთან შეხვედრა. გუნდი 25 ივნისიდან პირველ ივლისამდე შეიკრიბება და სამედიცინო შემოწმებას გაივლის. დაიწყება ვარჯიშები. ეს დღეები, რაც არის დარჩენილი პირველ ივლისამდე, ერთიანი ძალებით ვეცდებით, მე და ბოლნისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, რომ მხარის გუბერნატორს შევხდეთ, პრემიერამდე მივაწვდინოთ ხმა მოედნის საფარის გაუმჯობესებაზე. სპონსორებს შევხვდეთ, რომ ბოლნისში ორასი-სამასი ათასით მეტი ბიუჯეტი გამოიძებნოს და ისეთი გუნდი გავაკეთოთ, რომელიც მაღალ მიზნებზე იბრძოლებს.

**- სპონსორები ახსენე. ვიცით, რომ მოლაპარაკება მიმდინარეობდა სპონსორთან. რა ეტაპზეა მოლაპარაკებები და ვინ არიან ისინი?**

- ამ ეტაპზე, კონკრეტული დასახელებისგან თავს შევიკავებ. ერთ-ერთი სოლიდური კომპანიაა. ქართველები არ არიან, მაგრამ უნდათ საქართველოში ფულის დაბანდება, კერძოდ კი, ფეხბურთში. ისინი ჩემი მეგობრები არიან და თუ კარგად დასრულდა მოლაპარაკებები, გავაჟღერებ მათ ვინაობას. თუ არ დასრულდა, იმასაც ვიტყვი, ვისთან გვქონდა მოლაპარაკებები და რამ შეუშალა ხელი. სურვილი დიდი აქვთ. თავის ქვეყანაში მცირე პრობლემებია, რომელზეც ფიქრობს, რომ საქართველოში გააგრძელოს. ინტერესი აქვს საქართველოს ბაზარზე შემოსვლის. ხელს შევუწყობთ და მივესალმებით, თუნდაც 50/50-ზე გაკეთდეს პაკეტი, სახელმწიფო და სპონსორი. თუ მას სურვილი ექნება, რომ 100%-ით აიღოს გუნდი, საუკეთესო იქნება და „სიონს“ მიეცემა შესაძლებლობა, საუკეთესო ფეხბურთელებით დაკომპლექტდეს.

**- სპონსორის საკითხი თუკი დადებითად გადაწყდება, ველოდოთ „სიონში“ ლეგიონერების გამოჩენას?**

- გააჩნია, სპონსორობიდან გამომდინარე მოხდება. თუკი მას 100%-იან მფლობელობაში ექნება გუნდი, შესაძლოა სტაფიც მთლიანად შეცვალოს. ის ადამიანი გადაწყვეტს, ვინ დარჩება გუნდში და ვინ წავა. ვინ იქნება, გენერალური დირექტორი, მთავარი მწვრთნელი, სპორტული დირექტორი და ა.შ. კიდევ ერთხელ ვამბობ, მას კარგი გამოცდილება აქვს თავის ქვეყანაში და დარწმუნებული ვარ, ისეთ არჩევანს გააკეთებს, რომელიც მხოლოდ წაადგება გუნდს.

**- სად გაივლის გუნდი შეკრებას?**

## „დღე-დღეზე გადაწყდება „სიონი“, თავის ახალ ჩემპიონატს დაიწყებს თუ არა ქვემო ქართლში“

- კიდევ ერთხელ ვამბობ, ვარკვევთ ფინანსებს. საბოლოოდ, რამდენი გვექნება ბიუჯეტი, იმის მიხედვით დავიწყებთ ფეხბურთელებთან ლაპარაკს. პირველი ნაბიჯი იქნება მთავარ მწვრთნელზე ჩამოყალიბება. მისი კომპეტენცია იქნება შერჩევა და მის საქმეში არავინ ჩაერევა.

**- სტადიონს რაც შეეხება, როდის დაბრუნდება ფეხბურთი ბოლნისში?**

- თქვენთვის პატარა ექსკლუზივი მინდა ვთქვა. დღე-დღეზე გადაწყდება „სიონი“, თავის ახალ ჩემპიონატს დაიწყებს თუ არა ქვემო ქართლში. მიდის მოლაპარაკება ფედერაციასთან. ზაფხულში, ბოლნისის სტადიონის საფარი იდეალურ მდგომარეობაში იმყოფება. უსაფრთხოების ზომებს დავაკმაყოფილებთ ისე, როგორც არის ზუგდიდში. ის რკინის ბარიერები, რომელიც არის მოედნის სიახლოვეს, შეიფუთება და დაცული იქნება. აგვისტოდან ოქტომბრის ბოლომდე გუნდი ითამაშებს ბოლნისში, თუკი ამ შეთანხმებას მივაღწევთ. გვექნება სარეზერვო მინდორიც მითითებული გორსა და „მესხზე“. თუ ფედერაცია გადაწყვეტს, რომ მოედანი გაფუჭდა და თამაში აღარ შეიძლება, დავბრუნდებით „მიხეილ მესხზე“, სადაც აქამდე თამაშობდა „სიონი“.

**- საწვრთნელ პროცესს სად გააგრძელებთ?**

- თუკი გადაწყდება, რომ „სიონი“ ბოლნისში ითამაშებს, იქ მხოლოდ თამაშებს ჩავატარებთ და შევინახავთ სტადიონს, რომ საფარი იდეალურ მდგომარეობაში იყოს და ყველა გუნდმა ისიამოვნოს ამ მოედანზე თამაშით. სავარჯიშოდ რამდენიმე ვარიანტს განვიხილავთ. მათ შორის „მერანის“ სტადიონიცაა, რომელზე ვვარჯიშობდით. ზაფხულში, მოედანი საგრძნობლად უმჯობესდება, რადგან ბუნებრივი საფარია და ბალახი ამოდის. მინდა, ისევ ბალახზე გავაგრძელოთ ვარჯიში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ოდესა – ომი თუ რეფორმა



ქეთი ხატიაშვილი

**მიხეილ სააკაშვილი, უკვე როგორც ოდესის გუბერნატორი, ირწმუნება, რომ ოდესაში ის მებრძოლიც იქნება და რეფორმატორიც. ანუ მოსკოვთან მწვავე დაპირისპირებასაც მოიგებს და რეგიონის მოდერნიზაციასაც მოახდენს. ბევრი ექსპერტისთვის ორივე ერთად შეუძლებელია. ომი მძიმე პასუხისმგებლობაა, რეფორმებს კი სტაბილური და მშვიდი გარემო სჭირდება.**

ამიტომაც მიხეილ სააკაშვილის ინიციატივამ, გადაკეტოს დნესტრისპირეთისკენ მიმავალი ყველა გზა, ჩაკეტოს იმპორტიც და ექსპორტიც, საქართველოში ბევრს ცხინვალი და 2004 წელი გაახსენა. მაშინ, ცხინვალის გზების ჩაკეტვის შემდეგ, სააკაშვილის ხელისუფლებამაც რუსეთთან მცირე ომი მიიღო და 16 მებრძოლი დაკარგა.

დნესტრისპირეთში, როგორც უკვე წერენ, ვითარება უკიდურესად დაიძაბა. მედია წერს, რომ ჩაიკეტა როგორც ექსპორტი, ისე იმპორტი და რომ დნესტრისპირეთი სერიოზულ ბლოკადაში აღმოჩნდა.

როგორ უპასუხებს ბლოკადას რუსეთი? ლევან ალაფიშვილის განმარტებით, რუსეთისგან ყველაფერია მოსალოდნელი. მისივე თქმით, ის, რაც 2004 წელს ცხინვალში მოხდა, სააკაშვილის ხელისუფლების გადაწყვეტილება იყო. დღეს კი, ის, რაც სააკაშვილმა დნესტრისპირეთთან გზების ჩაკეტვით თქვა, დასავლეთის გადაწყვეტილებაა. ალაფიშვილი მიიჩნევს, რომ ამით ახალი გეოპოლიტიკური თამაში იწყება, სადაც სააკაშვილი და პოროშენკო რუსეთის ცივილიზაციასთან დაპირისპირებისწინა, ფრონტის ხაზზე დგანან.

ფრონტის ხაზი გახსნილია. რეფორმები – დაანონსებული, რუსეთისთვის გამოწვევა – გაგზავნილი...

პოლიციის მოდერნიზაცია, კორუფციასთან ბრძოლა, ბიზნესკლიმატის გაუმჯობესება – ეს მიხეილ სააკაშვილის მისიაა ოდესაში.

მიხეილ სააკაშვილის განმარტებით, პრობლემები, რომელიც მას ოდესაში დახვდა, მისთვის ცნობილია. „ეს ჩემთვის ცნობილი პრობლემებია, კორუფცია, ოლიგარქები, ერთგვარი დეჟავიუც კი მქონდა ამასთან დაკავშირებით“, – განმარტა უკვე გუბერნატორმა სააკაშვილმა და ის წარსული გაიხსენა, როდესაც, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, ამ პრობლემებს საქართველოში ებრძოდა.

მართალია, უკრაინაში პრეზიდენტმა პოროშენკომ სხვა უცხოელებიც წაიყვანა მაღალ თანამდებობებზე, მაგრამ სააკაშვილი მაინც სულ სხვაა. დასავლეთის მედიისთვის ის რეფორმატორია, რუსეთისთვის – ლამის მტერი, ადგილობრივი ოლიგარქებისთვის კი – ხელშემშლელი ფაქტორი.

ასეა თუ ისე, ოდესით დაინტერესებული ოლიგარქებიდან რადიკალური მხოლოდ კოლომოისკი იყო. მისი წინასწარმეტყველება ასეთია: სააკაშვილი ოდესას რუსეთს ჩააბარებს.

ბიზნესმენის ამ წინასწარმეტყველებას საქართველოში ძირითადად პრორუსები და ზოგიერთი ექსპერტი ეთანხმება. პრორუსები დარწმუნებულები არიან რომ სააკაშვილი ოდესას დაღუპავს და იქ აუცილებლად გამოიწვევს აგრესიას მისი ანტირუსული პოლიტიკა. მით უფრო, რომ ოდესაში რუსულენოვანი მოსახლეობა საკმაოდ ძლიერია.

ქართველი ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე აქცენტს ძირითადად მაინც პროგრესულ და აქტიურ მოსახლეობაზე აკეთებს და ამბობს, რომ ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, „მოსახლეობის უკრაინული ნაწილია უფრო მობილიზებული, აქტიური და პროგრესული ოდესაში თუ პრორუსული ნაწილი“.

მანამდე კი ბილბორდი – „ყირიმი უკრაინაა“ ააფეთქეს. დივერსიას უკავშირებენ უკრაინაში ნავთობსაცავებს აფეთქებასაც.

ბევრმა სააკაშვილის პრესკონფერენციასაც მიაქცია ყურადღება. რისკების კონტექსტში მიხეილ სააკაშვილმა თქვა, რომ მას დასაკარგი არაფერი აქვს, რაზეც ერთ-ერთი, სავარაუდოდ, ჟურნალისტის რეპლიკა ისმის: სამაგიეროდ ჩვენ გვაქვს დასაკარგიო.

პროვოკაციებთან დაკავშირებით ქართველი ექსპერტების შეხედულებები ზომიერია. სააკაშვილი თუ ოდესას გააძლიერებს, რუსეთი იქ პროვოკაციებს ვერ მოაწყობს, – ასე ფიქრობს თორნიკე შარაშენიძე.

რუსი ექსპერტები კი დარწმუნებულები არიან, რომ მოსკოვმა სააკაშვილის მართვის სტილი იმდენად კარგად გაიცნო საქართველოში მისი ყოფნის დროს, რომ ოდესაში მისი პროვოკაციაზე წამოკიდება არ გაუჭირდება.

დნესტრისპირეთი რუსეთისთვის უკვე სერიოზული პროვოკაციაა...



# სკანდალი სოხუ

ნელი თორდია

**სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მმართველს, მიხეილ რატიანს, თანამდებობიდან განთავისუფლებული თანამშრომლები სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობასა და ოჯახურ-კლანური ტიპის მმართველობაში ადანაშაულებენ. ყველაფერი კი 2014 წელს თეატრის თანამშრომლებთან სამთვიანი ხელშეკრულებების დადებით დაიწყო. მიხეილ რატიანმა თანამშრომლები დაამშვიდა, რომ ეს უბრალო ფორმალობა იყო და სამსახურს არავინ დაკარგავდა, თუმცა ხელშეკრულებების ვადის გასვლისთანავე, თეატრში საკადრო „წმენდა“ განახორციელა. სამსახურიდან გაუშვეს თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგე, მთავარი ბუღალტერი და მსახიობები. სულ ათამდე ადამიანი. განთავისუფლებულ თანამშრომელთა ნაწილი ბედს შეურიგდა. თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგემ და მთავარმა ბუღალტერმა კი თეატრის დირექტორის ბრძანების გაუქმების მოთხოვნით, სასამართლოს მიმართეს. შემდგომ განვითარებული მოვლენების შესახებ ნონა ქარდავასა და ნანა ჭანტურიას ინტერესების დამცველი, ადვოკატი, სამართლის დოქტორი და პროფესორი თამარ სადრაძე გვიამბობს:**

„2014-2015 წლებში ვაწარმოებდი სამოქალაქო დავას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ მყოფ – სსიპ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრთან „თეთრი ტალღა“, რომლის დირექტორი და მმართველი მიხეილ რატიანი გახლავთ. 2014 წელს რატიანმა თეატრის თანამშრომლებს სამთვიან შრომით ხელშეკრულებებზე ხელის მოწერა შესთავაზა, თან დაამშვიდა, რომ ეს უბრალო ფორმალობა იყო. ერთ მშვენიერ დღეს კი სამსახურში მისულ თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგეს, მთავარ ბუღალტერს და კიდევ რამდენიმე თანამშრომელს გამოუცხადეს, რომ მათი სამთვიანი კონტრაქტის ვადა ამოიწურათ და განთავისუფლებულები არიან. ნანა ჭანტურიამ და ნონა ქარდავამ ამ თეატრში ძალიან ბევრი წელი იმუშავეს. სამსახურის ასეთი ფორმით დაკარგვას არ დაეთანხმნენ და მომხდარის მიზეზების გასარკვევად მაშინვე აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში დიმიტრი ჯაიანთან წავიდნენ. ბატონმა ჯაიანმა ქალბატონებს მოუსმინა, მაგრამ სრულიად ნეიტრალური პოზიცია დაიჭირა, თითქოს ეს მას არ ეხებოდა. ბოლოს რჩევა მისცა, წაბრძანდით სასამართლოში და თქვენი სიმართლე დაამტკიცეთო“.

ნონა ქარდავასა და ნანა ჭანტურიას სასამართლოში „წაბრძანება“ იმით დამთავრდა, რომ 2015 წლის 1-ელ აპრილს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულმა სასამართლომ მათი სარჩელი დააკმაყოფილა და თეატრის მმართველის ბრძანება ბათილად ცნო. თავის გადაწყვეტილებას მოსამართლემ საფუძვლად შრომის კოდექსი დაუდო, რომელშიც წერია, რომ არ შეიძლება გაფორმდეს ხელშეკრულება ერთ წელზე ნაკლები ვადით, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, რომლებსაც ეს შემთხვევა არ განეკუთვნებოდა.

**თამარ სადრაძე:** „როგორც ველოდით, სასამართლომ დააკმაყოფილა ნონა ქარდავასა და ნანა ჭანტურიას სარჩელი. ბათილად იქნა ცნობილი ნონა ქარდავასა და სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრ „თეთრ ტალღას“ შორის 2014 წლის 20 თებერვალს დადებული შრომითი ხელშეკრულების 4.1. ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა, რომ ხელშეკრულება სამი თვით იყო დადებული. ასევე, ბათილად იქნა ცნობილი 2014 წლის 19 მაისის #96 ბრძანება, რომლითაც ნონა ქარდავა ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ანალოგიური გადაწყვეტილებები იქნა მიღებული ნანა ჭანტურიასთან მიმართებაშიც. სასამართლო პროცესები 9 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, ამიტომ სასამართლომ მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ თეატრს დაავალა, 9 თვის ვადით აღედგინა სამსახურში ორივე ქალბატონი. თეატრს დაეკისრა მათთვის 9 თვის განაცდური ხელფასის ანაზღაურებაც. ნონა ქარდავას შემთხვევაში ეს 6300 ლარი იყო, ნანა ჭანტურიას შემთხვევაში კი – 2250 ლარი“.

განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, 2015 წლის 5





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მის მოზარდ მაყურებელთა თეატრში



> „მზია ჩხიკვაძე ნამდვილად გაათავისუფლეს თანამდებობიდან, მაგრამ მისთვის მაშინვე შექმნეს ახალი შტატი იგივე ხელფასით და დღემდე თეატრში აგრძელებს მუშაობას, როცა მისი მეუღლის მიერ უკანონოდ განთავისუფლებული ადამიანები ქუჩაში რჩებიან“

## რას ელოდებიან თეატრის მმართველს სამსახურიდან განთავისუფლებული თანამშრომლები?

მაისს გამოიცა სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც მოსამართლემ ეს საქმე იძულებით აღსრულებაში გაუშვა, ვინაიდან თეატრის ხელმძღვანელობა სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებას აჭიანურებდა. საქმის მიმდინარეობისას, თანამდებობიდან განთავისუფლებული თანამშრომლების მხრიდან თეატრის ხელმძღვანელობის მისამართით კიდევ ერთი ბრალდება გაისმა – მიხეილ რატიანს თეატრში მამისა და ცოლის დასაქმება გაუხსენეს და ოჯახურ-კლანური მმართველობის შექმნაში დასდეს ბრალი.

**თამარ სადრაძე:** „სანამ მიხეილ რატიანი სხვადასხვა მიზეზებით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას აჭიანურებს, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ 2010 წლიდან მოყოლებული, თეატრში მუშაობს რატიანების ოჯახის სამი წევრი. ეს არის გიორგი რატიანი, რომელიც 2010-2012 წლებში იყო თეატრის მმართველი, მისი შვილი მიხეილ რატიანი, რომელიც მამის მმართველობის დროს რეჟისორად მუშაობდა და მიხეილ რატიანის ცოლი მზია ჩხიკვაძე. მოგვიანებით, გიორგი რატიანი თანამდებობას ჩამოშორდა და სხვა პოზიციაზე გადაინაცვლა. მისი ადგილი კი შვილმა, მიხეილ რატიანმა დაიკავა. სხვადასხვა თანამდებობებს იკავებს რატიანის მეუღლე მზია ჩხიკვაძეც, რაც საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულების შემთხვევაში სხვა არაფერია, თუ არა ინტერესთა კონფლიქტი“.

ადვოკატის მონაყოლიდან ირკვევა, რომ თეატრში შექმნილი მდგომარეობის შესახებ სამინისტროს აცნობეს, რასაც ჯაიანის უწყებიდან თეატრის მისამართით გარკვეული დირექტივები მოჰყვა. მალე მიხეილ რატიანის ცოლი თანამდებობიდან გაათავისუფლეს, თუმცა მაშინვე დანიშნეს იგივე ანაზღაურების მქონე, სხვა თანამდებობაზე. თამარ სადრაძის თქმით, გარკვეული სახის დოკუმენტაციის სრულად შესწავლის შემდეგ, თეატრში შექმნილი ვითარების გასაცნობად, აპირებს აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელს ვახტანგ ყოლბაიას შეხვდეს.

**თამარ სადრაძე:** „დაახლოებით ერთი წლის წინათ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს და პირადად მინისტრს ეცნობა სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრ „თეთრ ტალღაში“ შექმნილი მდგომარეობის შესახებ. როგორც ვიცი, სამინისტრომ თეატრს მზია ჩხიკვაძის თანამდებობიდან განთავისუფლება მოსთხოვა. მზია ჩხიკვაძე ნამდვილად გაათავისუფლეს თანამდებობიდან, მაგრამ მისთვის მაშინვე შექმნეს ახალი შტატი იგივე ხელფასით და დღემდე თეატრში აგრძელებს მუშაობას, როცა მისი მეუღლის მიერ უკანონოდ განთავისუფლებული ადამიანები ქუჩაში რჩებიან. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა და მთავრობის ხელმძღვანელმა მშვენივრად იციან, რა ხდება სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრში, მაგრამ ჩემთვის უცნობი მიზეზების გამო, სირაქლემას პოზაში იმყოფებიან. არადა, თანამდებობრივად სწორედ ისინი არიან პასუხისმგებლები ამ სსიპ-ის ხელმძღვანელის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე. ამ დროისთვის ყველა დოკუმენტის მოძიებისა და შესწავლის პროცესი არ დამისრულებია და შემდეგ ვაპირებ, რომ რატიანების ოჯახური ბიზნესად ქცეულ თეატრში მიმდინარე პროცესებზე სასაუბროდ მთავრობის ხელმძღვანელს ვახტანგ ყოლბაიას შევხვდე. თუ არ იცის, უნდა იცოდეს, რომ თეატრს ხელმძღვანელობს ადამიანი, რომელსაც სასამართლომ ოთხი სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტი გაუბათილა და უთხრა, რომ მან, შრომითი ხელშეკრულების გარდა, საქართველოს კონსტიტუციის შრომის თავისუფლების მუხლიც დაარღვია. სამწუხაროა, რომ მდგომარეობის გამოსწორების ნაცვლად, თეატრის მმართველი დროის გაყვანისა და გაჭიანურების პოლიტიკას აწარმოებს“.

სოხუმის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის დირექტორთან მიხეილ რატიანთან საუბარში გავარკვიეთ, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას ნანა ჭანტურიასა და ნონა ქარდავას თანამდებობებზე ახალი თანამშრომლების დანიშვნის გამო ვერ ახერხებს, ხოლო ფულადი კომპენსაციის გაცემა თეატრის ბიუჯეტში საჭირო თანხების არარსებობის გამო ფერხდება. რაც შეეხება საოჯახო ბიზნესს, მიხეილ რატიანის თქმით, ეს მათი პიროვნული და ემოციური შეხედულებაა, ვინც ამაზე საუბრობს.

**მიხეილ რატიანი:** „სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება იმიტომ ვერ ხერხდება, რომ ქარდავასა და ჭანტურიას თანამდებობებზე სხვა ადამიანები არიან დანიშნული და სანამ შრომითი ხელშეკრულება არ ამოეწურებათ, უფლება არა მაქვს, გავუშვა. თუ იმ ადამიანების გაშვება უკანონობა იყო, მეორე უკანონობა როგორ დავუშვათ? მე შემიძლია იგივე სასამართლოს დავუსაბუთო, რატომ ხდება ამ საკითხის გაჭიანურება. რაც შეეხება კომპენსაციას, ნონა ქარდავა ჩვენი მთავარი ბუღალტერი იყო და ძალიან კარგად იცის ჩვენი ფინანსური მდგომარეობის შესახებ. 9000 ლარი, რისი გადახდაც სასამართლომ დაგვაკისრა, ერთდროულად არასოდეს გვქონია. მათ აქვთ უფლება, სააღსრულებოში შეიტანონ განცხადება. ოჯახურ კლანსა და ბიზნესზე საუბარი კი მათი პიროვნული შთაბეჭდილებაა, ვინც ამ ინფორმაციას ავრცელებს. ეს თეატრი შექმნა და ჩამოაყალიბა მამაჩემმა, საქართველოს სახალხო არტისტმა გიორგი რატიანმა. როცა ის ოფიციალურად გადადგა დაკავებული თანამდებობიდან, ამირჩიეს მე. გავიარე კომისია და წარვადგინე პროგრამა (თუმცა, კონკურენტი არ მყოლია) და დავინიშნე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად. მეუხერხულება, რომ გითხრათ, რამდენი ოჯახური წყვილი მოღვაწეობდა და მოღვაწეობს საქართველოს თეატრებში და საერთოდ, ამ თემაზე საუბარი არაეთიკურად მიმაჩნია. მამაჩემი წლების განმავლობაში იყო კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი და დღესდღეობით ამ თეატრის რიგითი მსახიობია. თუ ვინმე იტყვის, რომ გიორგი რატიანი ერევა რამე შემოქმედებით ან ადმინისტრაციულ საკითხებში, მზად ვარ გადავდგე დაკავებული თანამდებობიდან. რაც შეეხება ჩემს მეუღლეს, ის წლების განმავლობაში მუშაობდა ადმინისტრატორად. როცა ეს საკითხი პრობლემატური გახდა, მისი თანამდებობა შეიცვალა და ის დღეისთვის რეჟისორის თანაშემწეა, რისი იურიდიული უფლებაც აქვს. საუბრის ბოლოს გეტყვით, რომ მე კანონმორჩილი ადამიანი გახლავართ და ტყუილად ნურავინ ნურაფერს დამაბრალებს“.

ბუნებრივია, სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრში მიმდინარე პროცესებზე აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის პოზიციითაც დავინტერესდით და კომენტარისთვის დიმიტრი ჯაიანს დავუკავშირდით.

**დიმიტრი ჯაიანი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი:**

– სამწუხაროდ, ამ საკითხთან დაკავშირებით, ბოლომდე საქმის კურსში არ ვარ, იმიტომ რომ ჩემთვის არავის მოუმართავს. მე მომმართეს, როცა იქ იყო რაღაც თანამდებობრივი შეუთავსებლობა, რაც ამჟამად მოგვარებულია. იმ ადამიანმა დატოვა თანამდებობა და წავიდა, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილების გაჭიანურების შესახებ ჩემთვის არავის უცნობებია. დავიბარებ თეატრის ხელმძღვანელობას, გავერკვევი და შემდეგ მოგახსენებთ ჩემს აზრს. სასამართლოს გადაწყვეტილებას ყველა უნდა დაექვემდებაროს. რიგითი მოქალაქე, გლეხი თუ ინტელიგენტი, ამას არა აქვს მნიშვნელობა. სასამართლოს გადაწყვეტილება ყველასთვის კანონია და ის აუცილებლად აღსრულდება.

# EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „დანერგე მომავალი“





**გიორგი ურუშაძის რეპორტაჟი**

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულმა პროექტმა „დანერგე მომავალმა“ ქართველი ფერმერის მომავალზე ზრუნვა უკვე დაიწყო. 14 იღბლიანი ფერმერი პროექტის ფარგლებში 575 000 ლარით დაფინანსდა. თანამედროვე ქართული ბაღები, ეს უკვე არა მომავალი, არამედ, აწმყოა, რომელიც პროექტის პირველ ეტაპზე ქართლისა და გურიის წარმომადგენლებმა საჩუქრად მიიღეს.**

3-4 წელიწადში ქართული ბაზარი 5 000 ტონამდე ახალი ჯიშის კულტურებს მიიღებს. მაღალი ხარისხის ვაშლი, ბალი, ქლიავი და ატმის კულტურა მთლიანად ჩაანაცვლებს იმპორტს და ქართველ გლეხს წელში გამართვის საშუალებას მისცემს. ასე რომ, საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი დარგის, სოფლის მეურნეობის აყვავების ხანა დგება.

პროექტი, რომელმაც საზოგადოების დადებითი გამოხმაურება გამოიწვია, წარმატებით აგრძელებს ფუნქციონირებას და რიგით მეორე, საშემოდგომო ეტაპს, 15 ივლისიდან გახსნილად გამოაცხადებს.

„პრაიმტაიმი“ პროექტის ხელმძღვანელს, ლევან დოლიძეს ესაუბრა. მისი თქმით, თანამედროვე ტიპის ინტენსიური ბაღები ჯამში 89 ჰა მიწაზე გაშენდება.

**ლევან დოლიძე:**

„პროექტი 2012 წლის 6 მარტს დაიწყო, პირველ აპრილს პირველი განაცხადი მივიღეთ, სულ საგაზაფხულო სამუშაოების ფარგლებში, მრავალწლიანი კულტურების თანადაფინანსების კომპონენტში 15 განაცხადი შემოვიდა და აქედან 14 ბენეფიციართან გაფორმდა ხელშეკრულება. რაც შეეხება მე-15 განაცხადს, მოთხოვნილ იქნა დამატებითი დოკუმენტი, რომელიც ბენეფიციარმა ვერ წარადგინა. ამ ეტაპზე მოთხოვნილი დაფინანსება 575 000 ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხა 14 ბენეფიციარს თითქმის სრულად აქვს ათვისებული, დარჩენილია მხოლოდ 55 ლარის ფარგლებში გასაცემი თანხები, რომლის ათვისებაც უახლოეს დღეებში მოხდება. აღსანიშნავია, რომ განაცხადები შიდა ქართლსა და გურიაში მივიღეთ. ისე აღმოჩნდა, რომ საგაზაფხულოდ უფრო მომზადებული იყო შიდა ქართლი და შესაბამისად, აქტიურობა მაღალი იყო. ახალი თანამედროვე ტიპის ინტესიური ბაღები, ჯამში 89 ჰექტარზე გაშენდება. აქედან, ძირითადად 83 ჰექტარზე, ცოტა მეტი ვაშლის კულტურაა, დანარჩენი კი შერეული - ბალი, ქლიავი და ატმის კულტურები“.

მისივე თქმით, პირველ ეტაპზე სანერგე მეურნეობის მოწყობის კომპონენტში იყო შემოტანილი განცხადებები, თუმცა პროექტით დაინტერესებულთა რიცხვი გაათმაგებულია.

**ლევან დოლიძე:** „მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტში იყო შემოტანილი თხუთმეტივე განაცხადი, სანერგე მეურნეობის მოწყობის კომპონენტში განაცხადები არ შემოსულა, აქ თვითონ ტექნიკურადაც გვიან მოხდა ამ კომპონენტის გამართვა, თუმცა ბევრი არის დაინტერესებული და საშემოდგომოდ ველოდებით მოთხოვნას ამ მიმართულებითაც.

ორივე კომპონენტის მიმართულებით, განაცხადების მიღებას 15 ივლისიდან დავიწყებთ“.

როგორ წესი, კულტურები მოსავალს მესამე წელს იძლევიან და სწორედ ამ დროიდან შეიძლება საუბარი შედეგებსა და კომერციულ სარგებელზე.

**ლევან დოლიძე:**

- ეს კულტურები კომერციულ მოსავალს ძირითადად მესამე წელს იძლევა. დღეიდან მაქსიმუმ 3 წელიწადში ბენეფიციარები მოსავალს ეფექტურად მიიღებენ. მოლოდინი გათვლების მიხედვით არის, რომ სადღაც 5 000 ტონამდე მოსავალი უნდა მიიღონ. ძირითადად ვაშლის კულტურაა, რაც ამ ეტაპზე იმპორტით შემოდის და იმედია, ჩანაცვლდება.

პროდუქტი კონკურენციას უცხოურ პროდუქციას გაუწევს და მას ქართულ ბაზარზე ჩაანაცვლებს. ასევე შესაძლებელია, რომ გარკვეული ნაწილი ექსპორტზეც გავიდეს.

**ლევან დოლიძე:**

- გასაღებას რაც შეეხება, ამის პოტე-



## „მე თვითონაც გაკვირვებული ვარ, ისე მალე და მარტივად მოხდა ყველაფერი“

## „სამ წელიწადში ბენეფიციარები 5 000 ტონამდე მოსავალს უნდა ელოდონ“

## „არანაირი დაბრკოლება, არანაირი წინაღობა, ყველანაირი ნაცნობობა გამორიცხულია!“



# 14 დაფინა
# და უპრეც
# ქართული

ნციალი ბაზარზე არსებობს, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროდუქტის იმპორტი ფიქსირდება და ამასთან, ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ უფრო მაღალხარისხიანია, ვიდრე ქართული ვაშლი. თუმცა, ექსპორტის პოტენციალიც აქვს აღნიშნულ პროდუქციას, იქიდან გამომდინარე, რომ ეს არის თანამედროვე ძირებზე დამყნობილი ბაღები და უზრუნველყოფილი წვეთოვანი სარწყავი სისტემით, რაც ასევე პროდუქტზეც აისახება და ბაზრისთვის მისაღებია, თუნდაც ევროპის ბაზრისთვის. ასეთი ბაღებიდან მიღებული პროდუქცია თავისი ხარისხითაც, ვიზუალითაც და საგემოვნო თვისებებითაც გამოირჩევა და აუცილებლად ექსპორტის მიმართულებითაც გაიზრდება მაჩვენებელი.

ივანე ლაზარაშვილო ქარელის რაიონ, სოფელ ლღვევის მკვიდრია. იგი ერთ-ერთი ის იღბლიანი გახლავთ, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დააფინანსა და თანა-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პირველი „მოსავალი“

## ქართული პროდუქცია ადგილობრივ ბაზარზე იმპორტს ჩაანაცვლებს



EXCLUSIVE

## ...ნსებული ფერმერი ...ედენტო თანამედროვე ბაღები აწმყოშია

მედროვე ბაღის გაშენების შესაძლებლობა მისცა, „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ემოციებს ვერ მალავს - „მე თვითონაც გაკვირვებული ვარ, ისე მალე და მარტივად მოხდა ყველაფერი“.

**ივანე ლაზარაშვილი:**

- ინფორმაცია ყველგან იყო, რეკლამები, გაზეთები, ტელევიზიები, თუმცა მე ინტერნეტში ვნახე. ვინაიდან სურვილი მქონდა თანამედროვე ბაღის გაშენებისა, გადავწყვიტე პროექტში მონაწილეობა. 12 ჰექტარის მიწის ნაკვეთი მაქვს ქარელის რაიონში, სოფელ ღვლევში. ძირითადად ვაშლი მომყავს. პროექტმა ძალიან ბევრი რამ შეცვალა ჩემს ცხოვრებაში. ადრე ასეთი იდეის განხორციელებისთვის ბანკიდან სესხი უნდა აგეღო, რომელსაც ან მოგცემდნენ, ან არა, მაგრამ როდესაც სახელმწიფო გეხმარება, მაშინ უფრო მშვიდად ხარ. მანამდე სიმინდი, კარტოფილი, ბოსტნეული მომყავდა. ვფიქრობ, სერიოზული გვერდში დგომა არის მთავრობის მხრიდან. მე თვითონ გამიკვირდა, ისე მალე გადაწყდა, თვითონ თანამშრომლებიც, „დანერგე მომავალში“ რომ მივდიოდი ხოლმე, ისეთი მონდომებულები იყვნენ, რომ დამხმარებოდნენ და ხელი შეეწყოთ. ძალიან მარტივად მოხდა ყველაფერი, ძალიან კმაყოფილი ვარ. მთავარია პროდუქტი იყოს და მერე გამოჩნდება სად წავიღებ. ასეთი ტექნოლოგიებით, წესით, ძალიან ხარისხიანი მოსავალი უნდა მივიღოთ. დანარჩენი ახლა ჯერ არ ვიცი, აგერ გვერდზე აზერბაიჯანის, სომხეთის ბაზარია. შეიძლება ევროპაც, ვნახოთ, ყველაფერი წინ არის.

ივანე სხვა ფერმერებსაც აძლევს რჩევებს, მისი აზრით დროა გადალახონ კომპლექსები და ირწმუნონ, რომ სამინისტროში ნაცნობობა არ არის საჭირო და ყველაფერი მათი სარგებლობისთვის კეთდება.

„პირველ რიგში, თუ სურვილი აქვს ადამიანს, უნდა გადალახოს კომპლექსი, რომ თითქოს იქ ვილაცა უნდა გყავდეს, გეხმარებოდეს ნაცნობი. მე თვითონ გაკვირვებული ვარ, ისე კარგად გვემსახურებოდნენ და ისეთი მონდომებულები იყვნენ. ყველას ვურჩევდი მიიღონ პროექტში მონაწილეობა. გარშემო ხალხი რომ უყურებს, ძალიან მოსწონთ ეს პროექტი, მეკითხებიან მეზობლები, თუ როგორ მივიღოთ მონაწილეობაო. თითქმის ყველას პროექტში ჩართვა უნდა. მჯერა, რომ „დანერგე მომავალი“ ქვეყანას წარმატებას მოუტანს.

შემდეგი ბენეფიციარი თამარ მურალოვიც შიდა ქართლიდანაა, იგი ორ ძმასთან ერთად მართავს საოჯახო ბიზნესს. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად საჯარო მოხელეა, არ ეთაკილება მუშების გვერდით მუშაობა. პროექტს ძალიან დადებითად აფასებს და ამბობს, რომ „დანერგე მომავალი“ სამუშაო ადგილების შექმნასაც უწყობს ხელს.

**თამარ მურალოვი:**

- პროექტის შესახებ ინტერნეტიდან გავიგე, მერე გავიკითხე, როგორც ხდება ხოლმე და დავიწყე პროცედურები. 5 ჰექტარი მიწა მაქვს და ძირითადად ვაშლი მომყავს. რა თქმა უნდა, პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია და არა მარტო იმ ბენეფიციარისთვის, ვინც აშენებს, სხვა ადამიანებიც ხომ დასაქმდებიან. მაგალითად, ჩვენ ამ პროექტში ძალიან ბევრი ადამიანი გვყავს დასაქმებული. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, თუ ხილი იქნება ხარისხიანი და ადგილობრივ ბაზარს დაიკავებს, კონკურენციას გაუწევს უცხოურ პროდუქციას. ეს ძალიან კარგი საშუალება იქნება სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის.

ჩვენი ოჯახი წლების განმავლობაში მივდევთ სოფლის მეურნეობას, მეცხოველეობას, მეხილეობასაც, მაგრამ ეს ახალი ჯიშები ჯერჯერობით არ გვქონდა. მოლოდინი დიდი გვაქვს. რა თქმა უნდა, თუ ამინდმა შეგვიწყო ხელი. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.

თამარის თქმით, ყველა ფორმალობა გასაოცრად სწრაფად გაიარა. ჩვენი რესპონდენტი სოფლის მეურნეობის სააგენტოს მომსახურებით აღფრთოვანებულია. „ყველანაირი დაბრკოლება გამორიცხულია“, - ამბობს თამარი.

**თამარ მურალოვი:**

- ძალიან მარტივია პროცესის გავლა, არანაირი დაბრკოლება, არანაირი წინალობა, გამორიცხულია, ნაცნობობა, მეგობრობა. თუ ყველაფერს გაივლი, რაც პროგრამაშია მოთხოვნილი, საქმეები ძალიან კარგად წავა. პროექტების მართვის სააგენტოში პირიქით ხელს გიწყობენ, რაც შეიძლება მეტი გაგიკეთონ... ძალიან კმაყოფილი ვარ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# „ნუ წარმოვიდგენთ ისე, თითქოს მხოლოდ შემთხვევით შერჩეული საზოგადოება წყვეტს ამა თუ იმ ბრალდებულის ბედს“

მირიან ბოქოლიშვილი

**ლაშა მახარაძის მკვლელობის გახმაურებულმა საქმემ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსებობის საკითხი. არადა ეს ინსტიტუტი საქართველოში სწორედ ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს და ცხადია, ხარვეზებიც ახლავს, თუმცა საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოს მსგავს პატარა ქვეყანაში, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს, ეს ინსტიტუტი არ გაამართლებს. ამის დასტურად კი სწორედ ლაშა მახარაძის საქმე მოჰყავთ, სადაც მკვლელობაში ბრალდებულ გიორგი ოქროპირიძეს მსაჯულებმა განაჩენი ვერ გამოუტანეს. ითქვა, რომ მათ, უბრალოდ, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების შეეშინდათ.**

„პრაიმტაიმმა“ თვალი გადაავლო, როგორ დასრულდა ნაფიცი მსაჯულების მიერ განხილული სხვა საქმეები. ლაშა მახარაძის მკვლელობა რიგით მე-10 საქმეა, რომელიც ნაფიც მსაჯულთა განხილვის საგანი გახდა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი შესაბამისი ცვლილებების შემდეგ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით პირველი საქმის განხილვა 2011 წლის 9 ნოემბერს დაიწყო და 17 ნოემბერს გამამტყუნებელი განაჩენით დასრულდა. მსაჯულები 1994 წელს მინასიანების ოჯახზე განხორციელებულ ჯგუფურ ყაჩაღობასა და განაზრახ მკვლელობაში ბრალდებულ რევაზ დემეტრაშვილს ასამართლებდნენ, რომელსაც დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახით, საბოლოოდ, 14 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. მსაჯულებმა გამამტყუნებელი ვერდიქტი მიიღეს 10 ხმით ორის წინააღმდეგ.

სხვათა შორის, ადვოკატი დავით მოდებაძე, რომელიც ნაფიც მსაჯულთა პირველ სასამართლო პროცესზე ბრალდებული დემეტრაშვილის ინტერესებს იცავდა, დღეს გიორგი ოქროპირიძის ინტერესების დამცველი გახლავთ. მასთან ერთად დემეტრაშვილის ინტერესებს წარმოადგენდა ადვოკატი გიორგი ტურაზაშვილი, რომელსაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ექსპერტადაც შეიძლება მოვიხსენიოთ, ვინაიდან მას ამ ინსტიტუტის ამოქმედებამდე არაერთი ტრენინგი აქვს გავლილი. ტურაზაშვილის შეფასებებს ოდნავ ქვემოთ გაგაცნობთ, მანამდე კი მივყვეთ ქრონოლოგიურად.



ნაფიცი მსაჯულების მიერ განხილული რიგით მეორე საქმე პატიმარ ნოდარ მატიაშვილის მკვლელობას უკავშირდება. ეს საქმე მსაჯულებმა 2011 წლის დეკემბერში განიხილეს და, ასევე, გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოიტანეს. საუბარია 2004 წლის 7 სექტემბერს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი ნოდარ მატიაშვილის განზრახ მკვლელობაზე, რის გამოც ბრალი წარედგინათ რომეო სარქისოვს, ლევან კიკაბიძესა და ვახტანგ ბეჟანიშვილს. მსაჯულების მიერ გამამტყუნებელი ვერდიქტი რომეო სარქისოვისა და ვახტანგ ბეჟანიშვილის მიმართ მიღებულ იქნა ერთხმად, ხოლო ბრალდებულ ლევან კიკაბიძის მიმართ გამამტყუნებელი ვერდიქტი მიღებულ იქნა 10 ხმით 2-ის წინააღმდეგ. საბოლოოდ, კიკაბიძეს – 22 წლით, რომეო სარქისოვს – 17 წლით და ვახტანგ ბეჟანიშვილს 16 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრათ.

ნაფიცმა მსაჯულებმა 2012 წლის 4 ივნისს დაიწყეს ზურაბ ტარყაშვილის მკვლელობის საქმის განხილვა. 10 დღეში კი მკვლელობასა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვაში ბრალდებულ დავით რუსიშვილს ნაწილობრივ გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოუტანეს.

თორმეტმა ნაფიცმა მსაჯულმა ბრალდებული დავით რუსიშვილი დამნაშავედ ცნო 2011 წლის 17 ოქტომბერს ზურაბ ტარყაშვილის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობაში. აღნიშნულ ბრალდებაზე გამამტყუნებელი ვერდიქტი მიღებულ იქნა 9 ხმით 3-ის წინააღმდეგ. თუმცა მსაჯულებმა გამამართლებელი ვერდიქტი მიიღეს საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდების ნაწილში. საბოლოოდ, ტარყაშვილის მკვლელობაში ბრალდებულს 21 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

**ლილი გელაშვილი: „ეს ინსტიტუტი საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნებაა ჩვენნაირი ეკონომიკურად არცთუ ისე ძლიერი ქვეყნისთვის“**

2013 წლის 31 ივლისს ნაფიცმა მსაჯულებმა ნაწილობრივ გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოუტანეს ვაჟა ახალკაციშვილსაც. მსაჯულებმა ახალკაციშვილი დამნაშავედ ცნეს ციალა ნ-ს განზრახ მკვლელობაში, ასევე, ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობაში, თუმცა საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ნაწილში გამამართლებელი ვერდიქტი გამოიტანეს. სასჯელთა შთანთქმის პრინციპით ბრალდებულს 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

ნაფიცმა მსაჯულებმა 2013 წლის 25 აგვისტოს დაიწყეს ბიზნესმენ ავთანდილ ადუაშვილის გახმაურებული მკვლელობის საქმის განხილვა. 6 სექტემბერს მსაჯულებმა ბრალდებულ ვახტანგ ჩხაპელიას, გელა უბილავასა და კობა ყურუას მიმართ, ასევე, ნაწილობრივ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანეს. ბრალდებულები ვახტანგ ჩხაპელია, გელა უბილავა და კობა ყურუა დამნაშავედ ცნეს ადუაშვილის განზრახ მკვლელობაში. გამამართლებელი ვერდიქტი მიიღეს ბრალდებულ გელა უბილავას მიმართ საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებაში, კობა ყურუა კი დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ნაწილში გაამართლეს.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულების – ვლადიმერ და რამაზ ქარჩავების მიმართ სისხლის სამართლის საქმეები ცალკე წარმოებად გამოიყო და ის მოსამართლემ არსებითად, ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშე განიხილა.

ეს ის შემთხვევა იყო, როცა ნაფიცმა მსაჯულებმა სრულად გამოიყენეს ვერდიქტზე მსჯელობისთვის კანონით მინიჭებული პირველადი 3, შემდგომ 6 და კიდევ 3 საათი (სულ 12 საათი). ვინაიდან აღნიშნულ 12 საათში ნაფიცმა მსაჯულებმა ვერ შეძლეს ვერდიქტის მიღება, სასამართლომ მათ მართლმსაჯულების განსახორციელებლად დამატებით გონივრული დრო განუსაზღვრა. ღამის საათების გათვალისწინებით სასამართლომ გონივრულ ვადად 1 საათი მიიჩნია. საბოლოოდ აღნიშნულ ბრალდებაზე გამამტყუნებელი ვერდიქტი მიღებულ იქნა 8 ხმით, 4-ის წინააღმდეგ. სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის საფუძველზე, ვახტანგ ჩხაპელიას, გელა უბილავასა და კობა ყურუას ავთანდილ ადუაშვილის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისთვის თითოეულს 20-20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

2013 წლის 2 დეკემბერს დაიწყო და 18 დღე გაგრძელდა ნაფიცი მსაჯულების მიერ გიორგი და ნიკოლოზ ბეჟაშვილების გასამართლება. ნიკოლოზ მენთეშაშვილის მკვლელობის საქმეში მსაჯულებმა უდანაშაულოდ ცნეს ბეჟაშვილები, თუმცა ერთ-ერთის, კერძოდ, გიორგი ბეჟაშვილის მიმართ წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლზე (მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით), რაშიც ბრალდებული დამნაშავედ იქნა ცნობილი და 3 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

ორკვირიანი განხილვის შემდეგ 2014 წლის 22 იანვარს მსაჯულებმა უდანაშაულოდ ცნეს თაღლითობაში ბრალდებულები: ანდრია ჭულუხაძე, კახა გოჩაშვილი, გულნარა კახნიაშვილი და თამაზ კასრაძე. სისხლის სამართლის აღნიშნულ საქმეზე გამამართლებელი ვერდიქტი მიღებულ იქნა ერთხმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სათათბიროდ გასვლიდან პირველ სამ საათში. სახელმწიფო ბრალდება მათ ბრალს სდებდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისთვის გასაცემი კომპენსაციის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებაში.

ასევე, გამამართლებელი განაჩენით დასრულდა სერგეი ბაბოიანის საქმე, რომელსაც სახელმწიფო ბრალდება ანა ბაბოევის განზრახ მკვლელობაში სდებდა ბრალს. ბაბოიანი ვერდიქტის საფუძველზე, უდანაშაულოდ იქნა ცნობილი წარდგენილ ყველა ბრალდებაში და განთავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან. სისხლის სამართლის აღნიშნულ საქმეზე გამამართლებელი ვერდიქტი მიღებულ იქნა 11 ხმით, ერთის წინააღმდეგ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სათათბიროდ გასვლიდან ექვსსაათიან დამატებით დროში.

ნაწილობრივ გამამტყუნებელი და ნაწილობრივ გამამართლებელი ვერდიქტით დასრულდა ვახტანგ წერეთლის საქმე, რომელსაც რამდენიმე პირის განზრახ მკვლელობის მცდელობას, ძალადობას, ნარკოტიკული საშუალების უკანონო



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლთა დილემა

# EXCLUSIVE

მოხმარებასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა-ტარებას ედავებოდნენ. მსაჯულებმა ვახტანგ წერეთელი ერთხმად ცნეს დამნაშავედ მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღისა მართლსაწინააღმდეგო შენახვა-ტარებასა და ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებაში. მას სასჯელის ზომად 4-წლიანი პატიმრობა განესაზღვრა.

ყველაზე ხმაურიანი კი ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილული ბოლო საქმე აღმოჩნდა. ლაშა მახარაძის მკვლელობაში ბრალდებულ გიორგი ოქროპირიძის მიმართ მსაჯულებმა ვერდიქტის გამოტანა ვერ შეძლეს. ხმები გაიყო, რის გამოც მოსამართლემ ნაფიცი მსაჯულების ახალი შემადგენლობის დაკომპლექტების გადაწყვეტილება მიიღო. ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ სათათბიროდ 13 საათი გამოიყენა, თუმცა კენჭისყრისას, ვერდიქტის მისაღებად საჭირო ხმათა კანონით განსაზღვრული რაოდენობა ვერ იქნა მიღწეული.

იმის გამო, რომ მკვლელობაში ბრალდებულ გიორგი ოქროპირიძეს წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადა 12 ივნისს ეწურებოდა, მას საპატიმროს დატოვება მოუწევდა, რომ არა პროკურატურის მიერ წარდგენილი ახალი ბრალდება, რომლის მიხედვითაც ოქროპირიძე ამჯერად ცრუ დასმენაში ამხილეს.

ამ საქმეს დიდი რეზონანსი მოჰყვა... საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ლაშა მახარაძის საქმე ადასტურებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გაუმართაობას. ამ მოსაზრების მხარდამჭერები, საერთოდ, მსაჯულთა ინსტიტუტის გაუქმებას ითხოვენ, თუმცა არსებობს სხვა შეხედულებაც. ადვოკატი გიორგი ტურაზაშვილი, რომელიც, როგორც ზევით მოგახსენეთ, ნაფიც მსაჯულთა პირველ სასამართლო პროცესზე, ბრალდებულის ინტერესებს იცავდა, მიიჩნევს, რომ კონკრეტულ საქმეზე დამდგარი შედეგი კითხვის ნიშნის ქვეშ არ უნდა აყენებდეს ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსებობას.

**გიორგი ტურაზაშვილი, ადვოკატი:**

– პირველ რიგში, შეგახსენებთ, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტი 1921 წელს კონსტიტუციით იქნა საქართველოში დამკვიდრებული და ჩატარდა კიდეც პროცესები. ჩვენმა ქვეყანამ ჯერ კიდევ მაშინ მიიღო ამის თაობაზე გადაწყვეტილება, ეს იყო საზოგადოების მოთხოვნის საფუძველზე. ამ ინსტიტუტის წყვეტა მოხდა ანექსიის შედეგად. შემდეგ უკვე 2010 წელს მივიღეთ ახალი საპროცესო კოდექსი, სადაც აღდგენილ იქნა ეს ინსტიტუტი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო – ეს არის მართლმსაჯულების მაღალი სტანდარტი, რომელიც ითხოვს ბრალდებისა და დაცვის მხარის საკმაოდ მაღალ პროფესიონალიზმს. ვერდიქტი დგება არა მხოლოდ საზოგადოების წარმომადგენლების, არამედ მოსამართლის მიერ, რომელიც უშუალოდ იღებს გადაწყვეტილებას მტკიცებულებების დაშვება-არდაშვების, მოწმეთა სიის დამტკიცებისა და სხვა საკითხების შესახებ. ასე რომ, ნუ წარმოვიდგენთ ისე, თითქოს მხოლოდ შემთხვევით შერჩეული საზოგადოება წყვეტს ამა თუ იმ ბრალდებულის ბედს. კი ბატონო, საზოგადოების როლი გაზრდილია ამ პროცესში, რაც, ჩემი აზრით, მისასალმებელია.

**– საქმეც ეს არის – არის თუ არა საზოგადოება მზად, იტვირთოს ეს როლი?**

– მოდით, კონტრკითხვით გიპასუხებთ – როდის გაირკვა, რომ საზოგადოება ამისთვის მზად არ არის?

**– თუნდაც ლაშა მახარაძის საქმეემ გააჩინა მოსაზრება, რომ საზოგადოებას უჭირს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება... არსებობს გარკვეული შიშის ფაქტორიც...**

– სად ჩანს ეს შიშის ფაქტორი? სად გამოიკვეთა? რომელიმე მსაჯულმა განაცხადა, რომ შეშინებულია და თავს დაუცველად გრძნობს? გარდაცვლილის ოჯახი არის დაინტერესებული მხარე და სწორადაც არის დაინტერესებული, მაგრამ გადაწყვეტილება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გაუქმების შესახებ არ შეიძლება მივიღოთ ემოციურ დონეზე, ერთ კონკრეტულ საქმეზე დაყრდნობით. კანონში წერია, რომ შეიძლება მსაჯულები ვერ მივიდნენ კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე, ამიტომაც არსებობს მეორე შემადგენლობის დანიშვნის შესაძლებლობა. არ ვიქნებით სერიოზულები, თუ რამდენიმე ადამიანის მოსაზრებების გამო უარს ვიტყვით იმ ინსტიტუტზე, რომელიც გახლავთ ძალიან მაღალი სტანდარტი.

**– თავად ადვოკატთა კორპუსი რამდენად მზად არის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის?.. მესმის, რომ თქვენ სპეციალური მომზადების კურსებიც გაქვთ გავლილი, მაგრამ სხვა ადვოკატებზე რას იტყვით?**

– ამის მაგალითია ჩემი კოლეგა დავით მოდებაძე, რომელიც ჩემთან ერთად გამოდიოდა ნაფიც მსაჯულთა პირველ სასამართლო პროცესზე და ამჟამად იცავს ბრალდებულ გიორგი ოქროპირიძის ინტერესებს. მოდებაძეს არ აქვს გავლილი ტრენინგები, მაგრამ უკვე მესამე საქმეზე გამოდის.





**ადვოკატი ლილი გელაშვილი ერთ-ერთია მათ შორის, ვისი დაცვის ქვეშ მყოფიც ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს. ხანდაზმული ქალბატონის მკვლელობაში ბრალდებული სერგეი ბაბოიანი მსაჯულებმა უდანაშაულოდ ცნეს.**

**– ქალბატონო ლილი, გქონდათ თუ არა იმედი, რომ მსაჯულები სწორ გადაწყვეტილებას გამოიტანდნენ?**

– რთულია პასუხის გაცემა: თავისთავად, ის, რომ უდანაშაულო ადამიანს ვიცავდით, გამარჯვების რწმენას გვაძლევდა, მაგრამ ასევე განცდა იმისა, რომ გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ ადამიანებს, რომლებსაც არანაირი შეხება არ ჰქონიათ იურისპრუდენციასთან, რა თქმა უნდა, ცოტა გვაშინებდა. მით უფრო, თუ სტატისტიკას გადავხედავდით, უმრავლეს შემთხვევაში საქმეს ბრალდების მხარე იგებდა.

**– რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მსაჯულების შერჩევის ეტაპს?**

– ნაფიცი მსაჯულების შერჩევის ეტაპი ყველაზე ხანგრძლივი, შრომატევადი, რთული და მნიშვნელოვანი ეტაპია. ვერც წარმოვიდგენდი, ეს პროცესი თუ ასეთი რთული იქნებოდა. იყო სხდომები, სადაც ერთი მსაჯულიც კი ვერ შევარჩიეთ. ამ ბოლო დროს ყველა ამახვილებს ყურადღებას ე.წ. ქართულ მენტალიტეტზე, თითქოსდა ჭირს ბრალის დადება სხვისთვის, მაგრამ ცალსახად ასეც ვერ ვიტყვით, ძალიან ბევრია შემთხვევა, როდესაც კანდიდატთა უმრავლესობას დასაწყისშივე აპრიორი დამნაშავედ მიაჩნია ის პიროვნება, რომელიც უკვე დაკავებულია და ბორკილებით ზის რამდენიმე თვე. ტყუილად ხომ არ დაიჭერდნენო. ეს მათი ლოგიკაა. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ უმრავლესობას არ სურს, იყოს ნაფიცი მსაჯული. ისინი თვითაცილებას აყენებენ. თუმცა იყო შემთხვევები, როცა შერჩევის ეტაპზევე, გამოკითხვებში მონაწილეობის დროს, დისკუსიაშიც შემოვიდნენ და თავიდან რომ უარი თქვეს, შემდეგ თავად გამოთქვეს სურვილი, მონაწილეობა მიეღოთ. გამოდის, რომ ინფორმაციულად საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის მომზადებული ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის როლსა და მნიშვნელობაზე. ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ძალიან პატარაა საქართველო და გამოთქმა – „აქ ყველა ერთმანეთის ნათესავია“, არც ისე შორსაა რეალობიდან. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ეს ინსტიტუტი საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნებაა ჩვენნაირი ეკონომიკურად არცთუ ისე ძლიერი ქვეყნისთვის.

**– ანუ მაინც ფიქრობთ, რომ ეს ინსტიტუტი გასაუქმებელია?**

– მე პირადად მომხრე ვარ ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტისა, მაგრამ აქვე აღვნიშნავ, რომ ძალიან ბევრი საკითხია დასახვეწი და დასაზუსტებელი. მომხრე ვარ ცვლილებების შეტანის და არა გაუქმებისა. უბრალოდ, ჩვენ, ქართველებს, ესეც გვახასიათებს: რაღაც მოვლენის პირდაპირ გადმოტანა ჩვენს რეალობაში, ისე, რომ არ იქნას გათვალისწინებული ქვეყნისთვის დამახასიათებელი მთელი რიგი სპეციფიკები. კანონი მხოლოდ მისი მიღება ხომ არაა. მთავარია, როგორ იმუშავებს ის, რამდენად მოქნილი, მობილური, გამართლებული და ეფექტური იქნება პრაქტიკაში!

# რა განაჩენებით დასრულდა ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილული სისხლის სამართლის 10 საქმე?



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



მაგდა კლდიაშვილი

# წლის ყველაზე ლამაზ წყვილს ბავშვი შეეძინა





**წლის წყვილად აღიარებული ლაშა კალანდაძე და მარიამ ხორგუაშვილი მშობლები გახდნენ.**
ახალშობილი, რომელიც სამი კილო და 200 გრამი დაიბადა, 9 ივნისს გაჩნდა და სახელად დემეტრე დაარქვეს.
ლაშა ფეხბურთელია და ბოლოს ქობულეთის „შუქურაში“ ირიცხებოდა. მარიამი კი სამოდელო საქმიანობაშია ჩართული.
ლაშამ და მარიამმა ოჯახი ერთი წლის წინ შექმნეს და მათი ქორწილის ფოტოებმა მთელი ქვეყანა აალაპარაკა.

bazarr

# ლაკო ბუკიას ქორწილში ფეხბურთელების ცოლებიც გამოჩნდნენ

**დიზაინერმა ლაკო ბუკიამ, რომელიც ხობის მილიონერი მაჟორიტარი დეპუტატის, გოდერძი ბუკიას ქალიშვილია, ჩაქვში, სასტუმრო „ოაზისში“ მდიდრული ქორწილი გადაიხადა.**
დიზაინერი ცოლად რეზიკო მანჯგალაძეს გაჰყვა. მის საქორწინო წვეულებას კი, გარდა ცნობილი პოლიტიკური სახეებისა (მათ შორის პრემიერი და ვიცე-პრემიერი კალაძე), საზოგადოებისთვის ცნობილი სახეებიც იმყოფებოდნენ.
როგორც ჩანს, ქორწილში კარგად მოილხინეს საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების წევრების მეუღლეებმაც. წვეულებაზე იმყოფებოდა ზურა ხიზანიშვილი, მეუღლესთან, მოდელ სალომე ღვინიაშვილთან ერთად, ნინი ზარქუა (ალექსანდრე ამისულაშვილი) და გვანცა გეწაძე (ლაშა სალუქვაძე) კი მეუღლეების გარეშე ერთობოდნენ, რადგან სალუქვაძე და ამისულაშვილი, ორივე ეროვნულ ნაკრებში იყო გამოძახებული და საქართველოში არ იმყოფებოდნენ.









# გიორგი ხიდეშელი ახლა უკვე ქალიშვილის მამაც გახდა

**გორის „დილას“ მცველი, გიორგი ხიდეშელი, მეორე ბავშვის მამა გახდა. გიორგის ამჯერად ქალიშვილი შეეძინა, რომელსაც მარტა დაარქვეს.**
„ხიდეშამ“ მეუღლე, ანასტატია გაფრინდაშვილი მაშინ გაიცნო, როდესაც ის 14 წლის იყო, მას შემდეგ შეყვარებულები არიან, 2013 წლის იანვარში კი იქორწინეს და მალე სანდროც გაჩნდა.
ტასო ახალგაზრდა დედაა და ახლა უკვე ორი შვილის გაზრდა მოუწევს.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ჯაბა დვალი გაურკვეველი მომავლით



**როგორც „პრაიმტაიმმა“ შეიტყო, ქართველ თავდამსხმელს, ჯაბა დვალს, ქუთაისის „ტორპედო“ ეპატიჟება.**

გამოცდილმა ფორვარდმა გასული სეზონის მეორე ნახევარი კიშინოვის „დაჩიაში“ გაატარა, მაგრამ მოლდოვაში დაბრუნება მისთვის წარმატებული არ გამოდგა. გასული თამაშებიდან, თავდამსხმელმა მხოლოდ 4 მატჩში მიიღო მონაწილეობა და ერთადერთი გოლი 11 მეტრიანის ნიშნულიდან გაიტანა.

ფეხბურთელს „დაჩიასთან“ კიდევ წელიწადნახევრიანი კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ გუნდში დაბრუნებას ალარ აპირებს. სამაგიეროდ, „დაჩია“ არ აპირებს ფეხბურთელის გამოშვებას, თუმცა გუნდის მთავარ მწვრთნელს, ფეხბურთელიც არ ესიმპათიურება და მისი დატოვება არ უნდა.

როგორც ჯაბა დვალის აგენტმა, სოსო გრიშიკაშვილმა განაცხადა, დვალის ტრანსფერის გამოსასყიდ თანხას ვერც ერთი ქართული გუნდი ვერ გადაიხდის, ამიტომ მოლაპარაკებები ჩიხშია შესული და კლუბები და მენეჯერი გამოსავლის ძიებაში არიან.

მიუხედავად იმისა, რომ გრიშიკაშვილს მოლაპარაკების წარმატებით დასრულების იმედი არ აქვს, ყველაფერი ცნობილი რამდენიმე დღეში გახდება.

# ტელეკომპანია „ტვს“-მა ცხრა თანამშრომელი დაითხოვა



**სპორტული ტელეკომპანია „ტვს“ პროფილის შეცვლას აპირებს და პოლიტიკურად უნდა გადაკეთდეს.**

სწორედ ეს მიზეზი უთხრეს იმ 9 ადამიანს, რომელიც რამდენიმე დღის წინ არხიდან დაითხოვეს.

დათო ხვადაგიანი ოლიმპიურ ცეცხლს კვალდაკვალ დაჰყვებოდა, სამსახურში დაბრუნების შემდეგ თათბირი გაიმართა, სადაც მასაც და თანამშრომლებსაც ემცნო, რომ რეორგანიზაცია იგეგმებოდა და ეტაპობრივად, დღის განმავლობაში, დათხოვნის შესახებაც გააგებინეს. ტვს-დან გამოშვებული ჟურნალისტები ხმაურის ატეხვას არ აპირებნენ, რომ არა მათ არხზე გასული სიუჟეტი, რომელიც სხვა არხის მიერ დათხოვნილ სპორტულ კომენტატორს მიეძღვნა.

**დათო ხვადაგიანი, ტვს-ის ყოფილი ჟურნალისტი:**

„ტვს“-დან გამოშვებული 9 ადამიანი არ ვაპირებდით რაიმე სახის პროტესტი გამოგვეთქვა და მათი უმრავლესობა არც ახლა აპირებს ხმაურის ატეხვას. უბრალოდ, სულ მცირე იმ პატივისცემის გამო, რაც იქ დარჩენილი ადამიანების მიმართ გაგვაჩნდა. პირადად მე და დარწმუნებული ვარ გაშვებულთა უმრავლესობას, ძალიან დაგვწყვიტა გული 11 ივნისს ამ არხზე გასულმა გადაცემამ „სანაიას ეთერი“ , რომელიც ჩვენი კოლეგა სანდრო ცნობილაძის „საზოგადოებრივი მაუწყებლიდან“ გაშვების თემას მიეძღვნა... სანდრო კოლეგაცაა და მეგობარიც და, რ თქმა უნდა, მას მხარს ვუჭერთ და სოლიდარობას ვუცხადებთ, მაგრამ გული მატკინა და ძალიან შეურაცხყოფილი დავრჩი იმით, რომ არხის ხელმძღვანელობამ, რომელმაც ზუსტად იმავე დღეს, როცა სანდრო სამსახურიდან გაათავისუფლეს, თავისი რიგებიდან 9 ადამიანი სრულიად უმიზეზოდ დაითხოვა და ამაზე გადაცემის მსვლელობისას ხმაც არ ამოუღიათ, თითქოს პრობლემა მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელზე ყოფილიყო. ასეთმა ორმაგმა სტანდარტმა და მორალთან ცოტა არ იყოს და მწყრალად ყოფნამ, ვინც ეს გადაცემა დაგეგმა მათ მიმართ ჩემი პატივისცემა, თითქმის ნულამდე დაიყვანა“.

სპორტულ არხზე, „სანაიას ეთერში“ უკვე გავიდა პირველი პოლიტიკური გადაცემა, რომელიც მარიხუანას დეკრიმინალიზაციას შეეხო.

# გიორგი ივანიშვილის ულამაზესი ქორწილი



**ცნობილი ფეხბურთელის, მიხეილ ყაველაშვილის გერმა და ლიზა ბაგრატიონის დის შვილმა, ასევე ფეხბურთელმა გიორგი ივანიშვილმა, ქორწილი გადაიხადა.**

მისი რჩეული ნინუკა გაბრიჩიძეა. ახალგაზრდებმა ქორწილი რამდენიმე დღის წინ, საგურამოში გადაიხადეს. რამდენიმეწლიანი სიყვარულის შემდეგ, გიორგიმ და ნინუკამ ურთიერთობას ოფიციალური სახე მისცეს, თუმცა დიდი ხანია ერთად ცხოვრობენ და ცოლ-ქმრის სტატუსს ატარებენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

# დათო დარჩია:





## „ადრე დავქორწინდით, მაგრამ ქვეყანაში არეული სიტუაციის გამო თავს ვიკავებდით შვილის ყოლისგან“

## „47 წლის ვარ და ზოგჯერ ახლაც ვერ ვხვდები რატომ შორდება ქალი და კაცი ერთმანეთს“

## „ისეთი მამინაცვალი შემხვდა, რომელმაც გამიადვილა ეს ყველაფერი. ისე მოახერხა, რომ ტრავმა არ მიმიღია“

my View

ნინო მჭედლიშვილი

**მსახიობმა მამებმა თეატრისკენ უბიძგეს (დავით დარჩიას მამა მსახიობი, ვაჟა დარჩია გახლდათ, მამინაცვალი კი - გურამ ფირცხალავა). სხვა პროფესიაზე არც უფიქრია. რუსთაველის თეატრის მსახიობმა არაერთი როლი შექმნა სცენაზე და კინოში.**

ახლა სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ მირიან ბარათეონს თამაშობს. მისი გმირი პრეზიდენტობის კანდიდატია.

მსახიობს მეუღლე და ორი შვილი: 17 წლის გუგა და 15 წლის ელენე ჰყავს. შვილებთან მეგობრულ ურთიერთობას არჩევს.

დღეს დათო დარჩიას ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე ვესაუბრეთ.

### დედა და მამები

- დედა პროფესიით ინჟინერია, მამები - (მამა და მამინაცვალი) მსახიობები. ნამდვილმა მამამ, ვაჟა დარჩიამ მსახიობობას თავი დაანება და სხვა პროფესიით დაკავდა. მამინაცვალი, გურამ ფირცხალავა ბოლომდე მსახიობად გარდაიცვალა.

**- ნამდვილ მამასთან რამდენ ხანს იცხოვრეთ?**

- ბევრად ცოტა ხანი, ვიდრე მამინაცვალთან. 6 წლის ვიყავი, როცა ჩემი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ. სკოლა რომ დავამთავრე, მამა გარდაიცვალა, მაგრამ მის მშობლებთან ყოველთვის მქონდა ურთიერთობა. აქედან მოდის ჩემი მსახიობობისადმი ლტოლვაც.

**- განსაკუთრებული ტრადიციები გქონდათ ოჯახში?**

- როგორ გითხრათ, ისეთი, რაც ყველას აქვს, დღესასწაულების აღნიშვნა, სტუმართმოყვარეობა...

**- მირიან ბარათეონისეული ტრადიციები, საგვარეულო დღესასწაულები?**

- არა (იცინის), ეს მოგონილი ტრადიციები ჩვენ არ გვქონია.

**- განსაკუთრებული დარიგება გახსენდება მშობლების მხრიდან?**

- მშობლების მხრიდან კი არა, მე ჩემს შვილს რას ვარიგებ, შეიძლება ის ვერ გაიხსენო. ეს იმ მომენტში გამახსოვრდება, ითვალისწინებ, ან არ ითვალისწინებ. ვუყურებდი როგორ ცხოვრობდნენ ჩემი მშობლები და ეს იყო დარიგება ჩემთვის. მშობლის მიმბაძველობა არის შვილებში მაინც, რაც არ უნდა ეცადო არ დაემსგავსო, მაინც გამოგდის. ასე იყო ჩემ შემთხვევაშიც. ვცდილობდი ამელო მამისგან ჯენტლმენობა, დედისგან სინაზე და შემდეგ შვილებისთვის გამეზიარებინა.

**- შეიძლება მშობლების დაშორების მიზეზი გკითხოთ?**

- შეიძლება, უბრალოდ, პასუხი არ მაქვს. მაშინ 6 წლის ვიყავი, 6 წლის კი არა, 47 წლის ვარ და ზოგჯერ ახლაც ვერ ვხვდები რატომ შორდება ქალი და კაცი ერთმანეთს.

**- არც არასდროს გიკითხავთ დედისთვის?**

- არა. რა ჩემი საქმეა. მშობლები კი არიან, მაგრამ მათი ცხოვრება მათი ცხოვრებაა, ჩემი - ჩემი და ჩემი შვილის ცხოვრება - ჩემი შვილის.

**- თქვენზე როგორ აისახა მშობლების დაშორება?**

- იმ მომენტში, ალბათ, ასაკიდან გამომდინარე, ნაკლებად განვიცადე, მერე ისეთი მამინაცვალი შემხვდა, რომელმაც გამიადვილა ეს ყველაფერი. ისე მოახერხა, რომ ტრავმა არ მიმიღია.

**- მაგრამ შვილებს მაინც უჩნდებათ ხოლმე პროტესტი იმ ადამიანის მიმართ, რომელიც მათი მამის ადგილს იკავებს.**

- კი, უჩნდებათ, მაგრამ ჩემ შემთხვევაში ასე არ მოხდა. ისე გააკეთა გურამმა ყველაფერი, რომ არ დავძაბულიყავი, სიცოცხლის ბოლომდე (ერთი წელი არც არის გასული მისი გარდაცვალებიდან) ერთად ვიყავით.

> „მათი ცხოვრება მათი ცხოვრებაა, ჩემი - ჩემი და ჩემი შვილის ცხოვრება - ჩემი შვილის“

**- სოციალური ფონი, ფინანსური მდგომარეობა როგორი იყო ოჯახში, გაჭირვება გინახავთ?**

- კომუნისტების დროს გაჭირვებული ადამიანები მე არ მახსენდება. თუ ზარმაცი არ იყავი, არც გიჭირდა. ყველა ბედნიერი იყო კომუნისტების დროს. ასეთი ამბავი სად ხდებოდა, დღეს ხალხი რომ შიმშილობს და ტირის?! დედა მუშაობდა და არ გვიჭირდა. პრეტენზიულიც არ ვიყავი არასდროს. ჩაცმა-დახურვაზე პრეტენზია არასდროს გამომითქვამს. მობილურები და კომპიუტერები მაშინ არ იყო, რომ მომეთხოვა.

**- სამაგიეროდ იყო სათამაშოები, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან ჩამოტანილი სათამაშოები.**

- ესეც მქონდა, არ გვიჭირდა, გურამიც მუშაობდა. 143 ფილმშია გადაღებული. იცით რომელიმე მსახიობი ამდენ ფილმში გადაღებული?

**- პროფესიის არჩევაში, ალბათ, დიდი როლი მამებმა ითამაშეს...**

- სანამ მამები მოახდენდნენ გავლენას მანამდეც მინდოდა. ბავშვობაში ფილმებს რომ ვუყურებდი, ხან ინდიელი ვიყავი, ხან ვესტერნის, „შესანიშნავი შვიდეულის“ გმირი, ხან ტარზანი. სხვა პროფესიაზე არასდროს მიფიქრია.

### ბაზარში დახარჯული ოთხი წლის ჰონორარი

**- პირველი ხელფასი, პირველი სამსახური...**

- ეს იყო ლევან თუთბერიძის ისტორიული ფილმის „წარსულის აჩრდილების“ გადაღებები, სადაც თამაშობდა ჩემი მამინაცვალიც, გურამი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გივი ხახიძე. ოთხი წელი ვიღებდით ამ ფილმს, 1991 წელს დავიწყეთ და 94-ში დავამთავრეთ. აფხაზეთი, სამოქალაქო ომი, ყველაფერმა ჩვენს თავზე გადაიარა. ტყვიების ქვეშ ვიღებდით ფილმს. პირველ კადრში სულ სხვანაირი ვარ და რადიკალურად სხვანაირი - ბოლოში (იცინის). მაშინ უკვე ცოლიც მყავდა... თავიდან ათი ათას მანეთზე იყო მოლაპარაკება. ეს კარგი ფული იყო, მანქანასაც იყიდდი. დაიწყო ომი, შეიცვალა ფული. მოკლედ, ბევრი კუპონები მომცეს. ვიფიქრე, ა, კაცი, ავშენდი-მეთქი. მე და ვიკა ბაზარში შევედით. შევიძინეთ პროდუქტები, ცოტაოდენი ხილი და გაქრა ჩემი ოთხწლიანი ჰონორარი.

**- და ვიკა, მიხვდა, რომ მსახიობის ცოლობა არ ვარგა...**

- მაშინ არა, ცოტა გვიან მიხვდა (იცინის).

### მეტროთი მოყვანილი ცოლი

**- ამბობენ, მსახიობის ცოლობა ცალკე პროფესიააო, ვიკაც ასე თვლის?**

- არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. უბრალოდ, ზედმეტად ემოციურები ვართ, ალბათ. მძიმე ხასიათის ექიმი არ გინახავთ? ინჟინრებს ისეთები უკეთებიათ... რა მსახიობი, რის მსახიობი...



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „მირიან ბარათეონი მე გამოვიგონე“



**„შეიძლება მსგავსება მართლაც დაინახეს ლევანსა და ბარათეონს შორის, ამბობენ, რომ ორივეს სკოლა აქვს თავისი, მაგრამ“**



**„აფხაზეთი, სამოქალაქო ომი, ყველაფერმა ჩვენს თავზე გადაიარა. ტყვიების ქვეშ ვიღებდით ფილმს“**



**- მაგრამ ინჟინერი ქმარი ყოველდღე სხვადასხვა ქალის საწოლში არ წვება სცენაზე, არ კოცნის, არ ეფერება...**

- საქართველოში სად არის ასეთი სცენები? ცოლისთვის, ალბათ, მაინც რთულად სანახავია, მაგრამ, ამ კუთხით პრობლემა ნამდვილად არ გვქონია.

**- ვიკა რა პროფესიის არის?**

- კინომცოდნეა. მერე მიატოვა თავისი საქმე და სხვა პროფესიაზე გადაინაცვლა. არ განვითარდა კინომცოდნეობა მაშინ იმ დონეზე, რომ გასარჩევი ყოფილიყო. მეც ვურჩიე, არ არის კინო და „მაგდანას ლურჯა“ რამდენჯერ უნდა გაარჩიო-მეთქი. დამიჯერა.

**- როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

- თეატრალურში ვნახე პირველად, ძალიან მომეწონა. ჩემსას ვეცადე და ისე ვეცადე, გამომივიდა. 2 წელი დავდიოდით, ოჯახები გავაცანით ერთმანეთს. ერთხელაც ვაკის პარკში ვსეირნობდით, ვიკა თავის ძაღლს ასეირნებდა. უცებ გადავწყვიტეთ, რომ ერთად გვეცხოვრა და წავედით. მეტროთი წამოვიყვანე სახლში. ტაქსი არ იყო მაშინ, მანქანა არ მყავდა, მეტრო ყველაზე კარგი საშუალება იყო გადაადგილებისთვის.

**- როცა რუსთაველის თეატრში დაიდგა „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი“, თბილისის თინეიჯერი გოგონები შეყვარებული იყვნენ თქვენს გმირზე, ჯიოზე. ვიკა არ ეჭვიანობდა?**

- მაშინ უკვე მყარი ოჯახი გვქონდა, საეჭვიანოც არაფერი იყო. პირიქით, ამაყობდა ამით.

**- თავად ხართ ეჭვიანი?**

- არა.

**- რა გაქვს ქართული, აზიატური?**

- ვცდილობ, რომ არ მქონდეს არაფერი, ის, რაც არ მოწონს ქართველებში, მაგრამ ხშირად არ გამომდის...

**- სადილი ან გაუთავებული პერანგი რატომ არ დამახვედრეო, ამის გამო შეიძლება იჩხუბოთ?**

- ჩხუბით არ მგონია, მაგრამ მომთხოვნი, ამ მხრივ, ვარ.

**- „სად მიდიხარ“, „როდის მოხვალ“ და „რატომ დაიგვიანე“?...**

- „სად მიდიხარ“ - კი, მაგრამ „ძალიან მოკლე ხომ არ გაცვია“ - გამორიცხულია.

**- თავად რა გამოცდილებას უზიარებთ შვილებს, განსაკუთრებული აკრძალვა ან მოთხოვნა თუ გაქვთ?**

- განსაკუთრებული მოთხოვნა მაქვს, ეს არის საუბარი სიყვარულზე. რომ იყვნენ კარგები, კეთილები, გულწრფელები. მთავარია, არ მომატყუონ, სხვისგან არ გავიგო. სხვა მხრივ, ყველაფრის გაგება შემიძლია. მგონი მივაღწიე შედეგს, მემეგობრებიან. მათ აღზრდაშიც მიმიძღვის წვლილი, პასიური მამა არ ვყოფილვარ. მათ დაბანაშიც ვმონაწილეობდი, პამპერსის გამოცვლაშიც, გამოკვებაშიც. მიხაროდა, მომწონდა მამის პოზიცია. 28 წლის ვიყავი პირველი შვილი რომ გაგვიჩნდა. ადრე დავქორწინდით, მაგრამ ქვეყანაში არეული სიტუაციის გამო თავს ვიკავებდით შვილის ყოლისგან.

### ბარათეონის შანსები პრეზიდენტობაზე

**- მირიან ბარათეონზეც მინდა გკითხოთ, ბევრი მას ლევან ვასაძეს ამსგავსებს. იცნობთ მას?**

- არა. ყველა თავის ვერსიას ამბობს. შეიძლება მსგავსება მართლაც დაინახეს ლევანსა და ბარათეონს შორის, ამბობენ, რომ ორივეს სკოლა აქვს თავისი, მაგრამ მე მაინც არავის ვთამაშობ, ვთამაშობ პერსონაჟს, რომელიც დათო დარჩიამ მოიგონა. ტექსტი სცენარისტებს ეკუთვნის, დანარჩენი ჩემზეა დამოკიდებული.

**- პრეზიდენტობის კანდიდატი ბრძანდებით.**

- (იცინის) დიახაც და ფრთხილად იყავით!

**- როგორ გგონიათ, რამდენად აქვს შანსი ბარათეონს გახდეს პრეზიდენტი?**

- საქართველოში ბარათეონის მსგავს ადამიანებს რა შანსი უნდა ჰქონდეთ?



**- ერთი ბარათეონი ხომ გვყავდა სათავეში...**

- ჰო, არ ვიცი, რა გითხრათ. ამ ქვეყანაში ყველაფერს უნდა ელოდო, შეიძლება ბარათეონი გახდეს პრეზიდენტი, შეიძლება ცოტნე ცოტაშვილი და შეიძლება კატა ჯიქიაც.

**- თქვენ რომელ მათგანს მისცემდით ხმას?**

- არც ერთს?

**- სხვა არჩევანი რომ არ გქონდეთ?**

- არ ვუღალატებ ჩემს გმირს, ბარათეონს მივცემ ხმას.

**- თეატრზეც გკითხავთ, ახლა რა სპექტაკლზე მუშაობთ?**

- ახლა ვმუშაობთ ირაკლი სამსონაძის პიესაზე „კლინიკური ქორწინება“. მოქმედება ხდება კლინიკაში. მე კლინიკის მთავარ ექიმს, ვალტერ ჩიჩუას ვთამაშობ. რეჟისორი დათო ნიკოლაძე გახლავთ. ბატონი რობერტის ჩამოსვლას ველოდებით, ჩაიბარებს სპექტაკლს და იქნება დახურული ჩვენება. პრემიერა, სავარაუდოდ, სექტემბერში შედგება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




# ავიაკომპანია „ატლასგლობალი“ თბილისიდან საერთაშორისო ფრენებს იწყებს

**თურქული ავიაკომპანია „ატლასგლობალი“ ტრანზიტულ ფრენებს იწყებს ათათურქის აეროპორტიდან (საერთაშორისო) 5 ახალი მიმართულებით: პარიზი, ამსტერდამი, დიუსელდორფი, კიოლნი და ბიშკეკი.**

შეგახსენებთ: ფლოტისა და გლობალური ცნობადობის გაზრდის მიზნით, ავიაკომპანია „ატლასჯეტმა“ კორპორატიული იდენტობის შეცვლა გადაწყვიტა და საერთაშორისო ავიაბაზარზე „ატლასგლობალის“ ბრენდის სახელით განაგრძობს ოპერირებას.

ავიაკომპანია „ატლასგლობალის“ რებრენდინგის შედეგად შემუშავდა ახალი კორპორატიული იდენტობა სლოგანით „სამყარო ოცნებებს მიღმა“.

ავიაკომპანიის რებრენდინგი 2015 წლის 1 მაისს დასრულდა.

კორპორატიული იდენტობის გარდა, ავიაკომპანიამ ბიზნეს მოდელიც შეიცვალა. „ატლასგლობალი“ ფრენების განხორციელებას ევროპის მიმართულებით აფართოებს.

ტრანზიტული რეისები ათათურქის აეროპორტიდან ხორციელდება და ადგილობრივი და საერთაშორისო მიმართულებებით ფრენისას, ტრანზიტული დრო მაქსიმალურად კომფორტულია.

• პარიზი:10 ივლისიდან, ყოველდღიური ფრენები, სტამბულიდან 13:25 წუთზე, პარიზიდან 17:10 წუთზე. საწყისი ფასი თბილისიდან სტამბულის გავლით, პარიზში: 120 ევრო (ერთი გზა).

• ამსტერდამი: 18 ივნისიდან, ყოველდღიური ფრენა, სტამბულიდან 10:00 წუთზე, პარიზიდან 13:30 წუთზე. ბილეთის ფასი თბილისიდან სტამბულის გავლით, ამსტერდამი: 134 ევრო (ერთი გზა).

• დიუსელდორფი: 11 ივნისიდან, ყოველდღიური ფრენა, სტამბულიდან 09:30 წუთზე, პარიზიდან 12:50 წუთზე. ბილეთის ფასი თბილისიდან სტამბულის გავლით, დიუსელდორფი: 134 ევრო (ერთი გზა).

• კიოლნი: 11 ივნისიდან, ყოველდღიური ფრენა, სტამბულიდან 13:25 წუთზე, პარიზიდან 17:20 წუთზე. ბილეთის ფასი თბილისიდან სტამბულის გავლით, კიოლნი: 122 ევრო (ერთი გზა).

• ბიშკეკი: 11 ივნისიდან, კვირაში 5 დღე (სამშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა) სტამბულიდან 18:55.

**„ატლასგლობალის“ მფლობელმა, მურატ ერსოიმ აღნიშნა:** „ჩვენი გლობალური პროექტის ფარგლებში დავიწყეთ ახალი საერთაშორისო პროექტების განხორციელება. სტრატეგიული წარმატების მიღწევა ახალი მიმართულებების დამატების გარეშე შეუძლებელია. ჩვენ ვაგრძელებთ ავიაკომპანიის განვითარებას და ქსელის გაფართოებას აღმოსავლეთიდან დასავლეთით. მნიშვნელოვანია მომსახურების ყველა დეტალის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფა და რაც მთავარია, ხარისხის შენარჩუნება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მგზავრებს მთელი ფრენის პროცესში კომფორტი შევუქმნათ. გასულ წელს ლონდონისა და კუვეიტის მიმართულებით დანერგილმა ჩვენმა ახალმა სერვისმა „Flying Chef“ დიდი მოწონება დაიმსახურა და ამიტომ გადავწყვიტეთ მისი შეთავაზება ჩვენს ახალ მიმართულებებზეც.

### „Flying Chef“- სერვისი

თუკი ფრენის დრო სტამბულიდან 3 საათს აღემატება, ავიაკომპანია მგზავრებს „Flying Chef“ - სერვისს სთავაზობს. შეფ-პოვარი ბორტზე ამზადებს სპეციალურად შერჩეულ კერძებს, საერთაშორისო და თურქული სამზარეულოდან.

### Full Service - სტანდარტი

კლასიკური ევროპული ავიახაზების მსგავსად, „ატლასგლობალი“ მგზავრებს ბორტზე მაღალი კლასის მომსახურებასა და კომფორტს სთავაზობს. ეკონომპლუსის სერვისის სტანდარტის ფარგლებში მგზავრები მრავალი პრივილეგიით სარგებლობენ: ტყავის სავარძლები, 77 სანტიმეტრიანი დაშორება სავარძლებს შორის. 30 კილოგრამი ბარგის გადატანის შესაძლებლობა, მრავალფეროვანი საკვები და სასმელები, ბორტზე დასაჯდომი ადგილის შერჩევა უსასყიდლოდ.

### ბიზნეს კლასი

მგზავრებს ავიაკომპანია ბიზნეს კლასის მომსახურებასაც სთავაზობს. ბიზნეს კლასში სავარძლები ეკონომ კლასის სალონისგან მხოლოდ ფარდით არ იყოფა. ბიზნეს კლასის სალონში სავარძლები დამზადებულია სპეციალური სტანდარტის დაცვით, 100 სანტიმეტრიანი დაშორებით. მრავალფეროვანი ცხელი კერძები, 35 კილოგრამი ბარგი და სხვა უპირატესობანი: ვიპ ტრანსპორტით გადაადგილება და ბიზნეს კლას ლაუნჯი.

საქართველოში უკვე დაიწყო ბილეთების გაყიდვა ავიაკომპანიის ოფიციალური წარმომადგენლობის ოფისში, მისამართზე: აბაშიძის 26 და ასევე ტურისტული სააგენტოების ქსელსა და ავიაკომპანიის ვებ-გვერდზე.

Ⓐ


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# EXCLUSIVE • EXCLUSIVE



# კრიშტიანო რონალდო სომხეთისთვის საქართველოში მოემზადა









მაგდა კლდიაშვილი

**მიმდინარე წელს საქართველოში მსოფლიო საფეხბურთო ვარსკვლავების ცვენაა. ჯერ იყო და მარტში გერმანიის ნაკრები გვესტუმრა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ატარებს და ყველა ვარსკვლავი თან იახლა. რამდენიმე დღის წინ კი საქართველოში პორტუგალიის ნაკრები იყო ჩამოსული, რომელიც ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მორიგი მატჩისთვის მოემზადა, ეს მათჩი 13 ივნისს სომხეთში გაიმართა.**

პორტუგალიის ნაკრები და მათი ყველაზე გამორჩეული, კაშკაშა ვარსკვლავი, კრიშტიანო რონალდო საქართველოს 8 ივნისს ესტუმრნენ. პორტუგალია და „რეალის" ვარსკვლავი, რონალდო სასტუმრო „რადისონში" დაბინავდნენ. ფეხბურთელს სასტუმროსთან გულშემატკივრების დიდი ჯგუფი დახვდა, თუმცა კონტროლი საკმაოდ მკაცრი იყო და ფანებს რონალდოსთან მიახლოვების საშუალება არ მიეცათ. წასვლის დღეს, რამდენიმე გულშემატკივარმა მაინც მოახერხა ფეხბურთელისგან ავტოგრაფის მიღება. რამდენიმე იღბლიანმა კი მასთან „სელფის" გადაღებაც მოახერხა.

მკაცრი შეზღუდვები იყო ქართული მედიისთვისაც. ქართველმა ჟურნალისტებმა პორტუგალიელების პრესკონფერენციასა და ვარჯიშზე აკრედიტაცია შეზღუდვებით და სპეციალური სიით მიიღეს. პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ კი „მიხეილ მესხზე" ახლადმიშენებულ ვერანდაზე გაამწესეს, საიდანაც მხოლოდ ვიდეო და ფოტოკამერების მუშაობა იყო ნებადართული. ეს, ოთხი დღის განმავლობაში ასე გაგრძელდა.

აღსანიშნავია, რომ პორტუგალიელთა მზადების პროცესზე უსაფრთხოების ზომები მკაცრად იყო დაცული და ყველა მისთვის განკუთვნილ ადგილზე მუშაობდა. მიუხედავად ამისა, „პრაიმტაიმის" ფოტოგრაფმა მაინც მოახერხა რონალდოს ახლოდან გადაღება.

11 ივნისს პორტუგალიელებმა საქართველო კმაყოფილებმა დატოვეს.









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# როგორ ვარდება პარ

ქეთი ხატიაშვილი

**პროცედურული დემოკრატია, ბოიკოტი თუ ულტიმატუმი. შეფასებები სხვადასხვაგვარია. თუმცა, როგორიც არ უნდა იყოს მოსაზრებები, ფაქტი ერთი რჩება – ოპოზიციას სრული უფლება აქვს, იჯდეს სხდომათა დარბაზში და რეგისტრაცია არ გაიაროს.**

საპარლამენტო ოპოზიციის შეფასებით, ამ მეთოდს მათ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ მიმართეს, რომ სახელისუფლებო კოალიცია აიძულონ, თანამშრომლობაზე წამოვიდეს.

თავად კოალიცია ირწმუნება, რომ ნაციონალების მოქმედება „მაწაკობას" უფრო ჰგავს, ვიდრე პოლიტიკურ ქმედებას.

ასეა თუ ისე, ოპოზიციამ სამჯერ მოახერხა პარლამენტში კვორუმის ჩაგდება. ოპოზიცია, ალბათ, ცდილობს, მოსახლეობა პარლამენტის უუნარობასა და არაეფექტურობაში დაარწმუნოს.

კვორუმის ჩაგდების შემდეგ მათ განაცხადეს, რომ პარლამენტში კვორუმი ძირითადად მხოლოდ და მხოლოდ ოპოზიციის დახმარებით დგება. ჩვენ აღარ შევუდგენთ კვორუმს უმ-



# ქართველ ქალ რეჟისორთა დინასტია გრძელდება

სალომე ჩადუნელი

**ლანა ღოღობერიძისა და ნუცა ალექსი-მესხიშვილის ფილმები მიანმარის კინომემკვიდრეობის ფესტივალზე (Memory Film Festival) აჩვენეს. საფესტივალო ჩვენებებს ქართველი რეჟისორები თავად ესწრებოდნენ. ფესტივალის 50 ფილმს შორის იყო ლანა ღოღობერიძის „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე" და ნუცა ალექსი-მესხიშვილის „კრედიტის ლიმიტი", ასევე ნუცა ღოღობერიძის ფილმი „ბუბა". კინომემკვიდრეობის ცნობილ ფესტივალზე საქართველო ერთი ოჯახის რეჟისორთა სამმა თაობამ წარადგინა.**




Memory Film Festival - კინომემკვიდრეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფესტივალია აზიაში, რომელიც წელს ქალებს მიეძღვნა. მსოფლიო კინოსამყაროს არა ერთ ცნობილ წარმომადგენელთან ერთად ფესტივალს სპეციალური სტუმრის რანგში ფრანგული კინოსვარსკვლავი - კატრინ დენევი ესწრებოდა.

Memory Film Festival მიანმარში 28 ივნისს გაიხსნა და 7 ივლისს გრანდიოზული საზეიმო ცერემონიით დაიხურა.

**ლანა ღოღობერიძე:**

- ფესტივალს ძალიან საინტერესო ფორმატი აქვს. მეხსიერება, მემკვიდრეობა - ეს მის სახელწოდებაშიც ფიგურირებს და ხაზს უსვამს იმას, რაც მსოფლიოში გაკეთებულა. ჩემი და დედაჩემის ფილმები, როგორც კინოკლასიკა ისე აჩვენეს, ხოლო ნუცას ფილმი, როგორც ახალი ნამუშევარი. ნამდვილად არ ველოდი ასეთ დასწრებას და ინტერესს. ფესტივალს ორგანიზებას ფრანგები უწევენ, ამიტომ მას ფრანგული კინოს ელიტა ესწრება. თვითონ მიანმარიც საინტერესო ქვეყანაა, 2000 წლიანი კულტურული ძეგლებით. გარდა იმისა, რომ ფესტივალზე მთავარ რუბრიკაში - „დინასტია" - ჩვენი ფილმები აჩვენეს, ჩვენ ასევე საშუალება გვქონდა ჩაგვეტარებინა ვორქშოპი, რამაც ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია.

**- როგორი განცდაა, როდესაც საქართველოს კინომემკვიდრეობის საერთაშორისო ფესტივალზე დედასთან და შვილთან ერთად წარმოადგენთ?**

- ეს უკვე ტრადიციად ჩამოყალიბდა. მანამდე ასეთი შემთხვევა ლონდონში, ნიუ-იორკში, სან-ფრანცისკოში, ვაშინგტონში და სამხრეთ კორეაშიც კი მოხდა. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ დედაჩემის ფილმი „ბუბა", რომელიც 30-იანი წლების შემდეგ მივიწყებული იყო, კვლავ გაიხსენეს და კინოკლასიკად აღიარეს.

**ნუცა ალექსი-მესხიშვილი:**

- ამ ფესტივალის მთავარი ხიბლი არის ის, რომ იგი კინომემკვიდრეობის ფესტივალია. მას არქივების, საცავებისა და კინოსკოლების წარმომადგენლები ესწრებიან. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც იმ წლის ყველაზე გლამურული ფილმების ირგვლივ კი არ ტრიალებენ, როგორც პეპლები სინათლის გარშემო, არამედ მსოფლიო კინოს ისტორიას ინახავენ. მაგალითად, არჩევენ ფილიპინელი რეჟისორის 60-იან წლებში გადაღებულ ფილმს და იციან, რომ იგი ტარანტინოს „Kill Bill"-ის ინსპირაცია იყო.

ნუცა ღოღობეიძის ფილმმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ეს არ არის პირველი შემთხვევა, მაგრამ ყოველ ჯერზე ძალიან საინტერსო და ამაღელვებელია ეს რეაქციები. ასევე ძნელი დასაჯერებელი გახდა ის ფაქტი, რომ ლანა ღოღობერიძის „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე" 80-იანი წლების საქართველოშია გადაღებული და რომ თუნდაც სოფიკო ჭიაურელის პერსონაჟი ამ პერიოდში არსებობდა.








© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლამენტში კვორუმი



რავლესობას, კეთილი ინებონ და თავად იზრუნონ კვორუმზე, – ასეთია მათი პოზიცია, რომელიც როგორც ნაციონალებმა, ისე ალასანიას პარტიამ დააფიქსირა.

ვახტანგ ხმალაძის შეფასებით, ოპოზიციას რეგლამენტი აძლევს უფლებას, არ გაიაროს რეგისტრაცია. მისივე განმარტებით, გუშინ უმრავლესობას კვორუმამდე, ანუ 76-მდე მხოლოდ ერთი დეპუტატის რეგისტრაცია დააკლდა.

ჩვენი ინფორმაციით, ეს მურმან დუმბაძის ხმა იყო. მან პირველად გაიარა რეგისტრაცია. თუმცა მეორედ ოპოზიციის ბოიკოტს შეუერთდა. უმრავლესობას კი ბოლომდე სწამდა, რომ კვორუმი შედგებოდა. როგორც ირკვევა, ერთ-ერთ დეპუტატთან პარლამენტის სამდივნო მუდმივ სატელეფონო კავშირზე იყო. დეპუტატი მათ არწმუნებდა, რომ ის ქუთაისს უახლოვდებოდა, ამიტომაც რეგისტრაციის დრო ოთხშაბათის სხდომაზე რამდენჯერმე გადაიდო. ბოლოს, დეპუტატმა ქუთაისამდე ვერ ჩააღწია, მობილურიც გამორთო და კვორუმიც ჩავარდა.

**ვახტანგ ხმალაძის განმარტებით, ბოლო დროს უმცირესობა ტაბლოს მუდმივად აკონტროლებს და რეგისტრაციას იმის მიხედვით გადის, აგროვებს თუ არა უმრავლესობა კვორუმს:**

– თუ ტაბლოზე დაინახეს, რომ კვორუმი ვერ გროვდება, მაშინ რეგისტრაციას არ გადიან, დარბაზში სხედან და არ გადიან რეგისტრაციას. ასეთი შემთხვევა, როცა ჩვენ ვერ მოვახერხეთ კვორუმის დაფიქსირება, სულ სამჯერ მოხდა და მათ სხდომა სამივეჯერ ჩააგდეს. ახლა ძალიან მნიშვნელოვანი კანონები ჩავარდა, თანაც ისეთი კანონები, რომელსაც ოპოზიცია მხარს უჭერდა. მაგალითად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი; მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში იმ ნორმის შემოღება, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს, თუ პირი დაპატიმრებულია, ორ თვეში ერთხელ განიხილოს აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის საკითხი და დოკუმენტურად დაასაბუთოს მისთვის პატიმრობის აუცილებლობა; მაგალითად, ნარკოტიკების გასაღებასა და შენახვისთვის სასჯელი იყოს განსხვავებული. ეს კანონპროექტები მესამე კენჭისყრით უნდა მიგველო.

დეპუტატი მიიჩნევს, რომ უმრავლესობა ყოველთვის შეეცდება საკუთარი რესურსების მობილიზებას, რათა სხდომა არ ჩავარდეს და მნიშვნელოვანი პროექტები პარლამენტმა მიიღოს.

თუმცა, ოპოზიცია, თავის მხრივ, დარწმუნებულია, რომ კვორუმი უმრავლესობამ მხოლოდ სამჯერ მოაგროვა საკუთარი ძალებით. ორჯერ, როცა პრეზიდენტის ვეტო ჰქონდათ დასაძლევი და ერთხელაც, როცა მთავრობას ნდობას უცხადებდნენ. ოპოზიციის ამ არითმეტიკას აბსურდულს ვახტანგ ხმალაძე უწოდებს და არ ეთანხმება. მისი განმარტებით, სულ პირიქით, ეს ოპოზიციამ მოახერხა და ისარგებლა ჩვენი ნაკლებობით დარბაზში, რეგისტრაცია არ გაიარა და კვორუმი ჩააგდო.

**როგორც ჩანს, უმრავლესობაში გაცდენებზე სერიოზული ამბავი ატყდა. პარლამენტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ ეს მისი სისუსტე კი არა, პროცედურების ბრალია. ამიტომაც ახლა, როგორც ჩანს, სწორედ პროცედურებს შეცვლიან. დავით უსუფაშვილი ინიციატივით უკვე გამოვიდა:**



– მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ერთ კონკრეტულ საკითხზე, ჩვენი რეგლამენტით განსაზღვრულია, რომ პარლამენტის წევრს შეუძლია, სხდომა გააცდინოს და ეს ჩაითვალოს საპატიო მიზეზად, თუ ოჯახური მდგომარეობის გამო ის ვერ ახერხებს სხდომაზე დასწრებას. ოჯახური მდგომარეობა, მოგეხსენებათ, ძალიან სერიოზული თემაა, ყველასთვის ძალიან მგრძნობიარე, მაგრამ აქ რამდენიმე თემაა. პირველი ის, რომ არა მგონია, პარლამენტის წევრები და ჩვენი ოჯახის წევრები რაიმეთი განსხვავდებიან სხვა საჯარო მოხელისა და მათი ოჯახის წევრებისგან და თუ სხვა შემთხვევაში ოჯახური პირობების გამო სამსახურის გაცდენა საპატიო გაცდენად არ ითვლება, გარდა უიშვიათესი შემთხვევებისა, მაშინ არ მგონია, რომ სწორი იყოს, პარლამენტის წევრებს ჰქონდეთ ეს პრივილეგია... ამიტომ მინდა ვთხოვო საპროცედურო კომიტეტს, რომ კონკრეტულად ეს საკითხი... ახლა რეგლამენტში ცვლილებები ძალიან ბევრ თემაზე გვაქვს დაგეგმილი, მაგრამ სხვა საკითხებისგან სრულიად დამოუკიდებლად მოგმართავთ, რომ ეს საფუძველი, როგორც სხდომის გაცდენის საპატიო საფუძველი, ოჯახური მდგომარეობა, ამოღებული იქნეს პარლამენტის რეგლამენტიდან.

**ექსპერტები მიიჩნევენ, რომ უმრავლესობამ რესურსების მობილიზაციას თავი თავადვე უნდა მოაბას. თორნიკე შარაშენიძის განმარტებით:**

– უმრავლესობამ კეთილი უნდა ინებოს და შეიკრიბოს, არ უნდა დაიზაროს, თუკი სურს საკუთარი კანონების მიღება, ან ოპოზიციასთან კომპრომისზე უნდა წავიდეს და ითანამშრომლოს. ახლა ისე ჩანს, თითქოს ეს თანამშრომლობა შეუძლებელია იმიტომ რომ ამის კულტურა არ გვაქვს, მაგრამ ხომ უნდა დავიწყოთ ოდესმე? შესაძლოა, ეს სწორედ ეს მომენტია.

## ხიდაშელისა და უსუფაშვილის ოჯახური კონფლიქტი



**დავით უსუფაშვილი პრემიერის პოსტზე სახელდება, თუმცა, ვალერი გელბახიანის აზრით, მას თინა ხიდაშელის სახით სერიოზული პრობლემა აქვს:**



„ამ პრობლემას მისი მეუღლის მინისტრობა ჰქვია, თინა მინისტრობას არ დათმობს. ოჯახური კონფლიქტია, კი... ხიდაშელის გამინისტრებისთვის რა ნაბიჯებიც გადაიდგა, ამბიციურობის პიკია, ხიდაშელი ამბიციურია და არ დათმობს". – ამბობს ვალერი გელბახიანი.

**მისი განმარტებით, ნოდარ ჯავახიშვილი მძიმე ხასიათით გამოირჩევა, მაგრამ პროფესიული თვისებები აქვს იმისთვის, რომ მთავრობას გაუძღვეს:**



„ხასიათებით ჯავახიშვილი მძიმეა, არ არის ისეთი კომუნიკაბელური, რაც საჭიროა მინისტრობისთვის, თუმცა, მეორე მხრივ, ის სხარტად იღებს გადაწყვეტილებებს და პრობლემის არსშიც კარგად ერკვევა. მისი გაპრემიერების შემთხვევაში მოსალოდნელია, ჯავახიშვილს დიდი კონფლიქტები ჰქონდეს, მაგრამ მთავრობისთვის ის უფრო პროფესიული ხასიათი გამოირჩევა",

– **ამბობს გელბახიანი.**

მისივე განმარტებით, სამთავრობო ცვლილებები შემოდგომაზე მოხდება.

## სკანდალური დუმბაძე „ივერიაში" წევრიანდება





**საზოგადოებრივი მოძრაობა „ივერიის" ლიდერებმა დღეს ბათუმში შეხვედრა გამართეს. გრიგოლ ვაშაძემ და ნიკა რურუამ ბათუმელებს მოძრაობის ძირითადი გეგმები გააცნეს.**



ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლა, ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის გაგრძელება და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, – ეს ის საკითხებია, რომელზეც მოძრაობის მხრიდან განსაკუთრებული აქცენტი კეთდება.

გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, „ივერია" ყველა იმ ძალასთან ითანამშრომლებს, რომელსაც პროდასავლური ორიენტაცია აქვს და ასევე, მოძრაობა 2016 წლის არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს.

შეხვედრაზე „ქართული ოცნების" ყოფილი წევრი, მურმან დუმბაძეც, იმყოფებოდა. ის ამ ძალასთან გაერთიანებას არ ადასტურებს, თუმცა არაფერს გამორიცხავს.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ოქროს ტალღის“ მთავარი ჯი



**my View**

**ნინო მჭედლიშვილი**

**იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ შოუბიზნესში უკვე ბევრი წელია, ძალიან ცოტა რამ ხდება, „ოქროს ტალღა“ დიდი სტიმული უნდა იყოს იმ მომღერლებისთვის, ჯგუფებისთვის, ვინც 11 ივნისს რადიოჰოლდინგმა „ფორტუნამ“ დააჯილდოვა. „ოქროს ტალღის“ დაჯილდოების ცერემონია პირველად 2013 წელს ჩატარდა. წლის სიმღერა გახდა ნოდიკო ტატიშვილისა და სოფო გელოვანის დუეტი „waterfall“; წლის საუკეთესო მომღერალი ქალის ნომინაციაში ჟიურიმ ლელა წურწუმია გამოარჩია, ხოლო მამაკაცებს შორის ლიდერი სტეფანე იყო; რაც შეეხება ანსამბლებს, აქ გამარჯვებული გახდა „შვიდკაცა“, ხოლო საუკეთესო დუეტის ნომინაციაში ნოდიკო ტატიშვილისა და სოფო გელოვანის სიმღერამ მოიპოვა გამარჯვება; წლის ჯგუფის ჯილდო კახაბერმა მიიღო, ხანუმებთან ერთად. მუსიკის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის კი „ოქროს ტალღის“ სპეციალური პრიზი ნიკოლოზ რაჭველს გადაეცა.**









**ნინა სუბლატი: „სიმბოლური იყო, რომ ეს ნომინაცია ბატონმა ზაზამ გამოაცხადა, რადგან ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ჩემი კარიერის სწორად წარმართვაში“**

## „ამ სიმღერას მილიონ შვიდასი ათასი ნახვა აქვს. ჩემი ნანახი ხომ არ არის, ხალხმა ნახა“

წელს, 11 ივნისს, „ოქროს ტალღა 2014“-ის გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია კლუბ „ოტიუმში“ გაიმართა. მუსიკალური პროექტი მეორე წელია, რაც საქართველოში ხორციელდება და მიზნად ისახავს ახალგაზრდა მომღერლების აღმოჩენას, ცნობილი მომღერლების, შემსრულებლების, კომპოზიტორებისა და ამ სფეროს წარმომადგენლების მხარდაჭერას. კონკურსს ახორციელებს რადიოჰოლდინგი „ფორტუნა“ („ფორტუნა“, „ფორტუნა პლუსი“, „არ დაიდარდო“ და „ავტორადიო“).

საღამოს ორგანიზატორებმა მოწვეულ სტუმრებს სასიამოვნო გარემო შეუქმნეს კლუბ „ოტიუმში“. ფოტოსესიების, ერთმანეთის მოკითხვისა და თბილისური ჭორაობის შემდეგ, საღამოს ოფიციალური ნაწილის დროც დადგა. დაჯილდოების ცერემონიის წამყვანებმა ღონისძიების ორგანიზატორები, მხარდამჭერები და ჟიური წარმოგვიდგინეს. ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ: „ბრავო რეკორდსის“ ხელმძღვანელი ზაზა შენგელია; რეჟისორი ზაზა ურუშაძე; კომპოზიტორი რუსა მორჩილაძე; მომღერალი მერაბ სეფაშვილი; მუსიკალური პროდიუსერი მარინა ბერიძე; ლანა ქუთათელაძე; გვანცა კილასონია; კომპოზიტორი მაცაცო სეფისკვერაძე, მიშა მშვილდაძე და ტელეწამყვანი, ექიმი, მსახიობი ოთარ ტატიშვილი.

ჟიურისა და ზემოჩამოთვლილი რადიოსადგურების მსმენელის შეფასებით, 2014 წლის საუკეთესო მომღერალ მამაკაცად ზურა ხაჩიძე დასახელდა, ის შარშანდელმა გამარჯვებულმა სტეფანე მღებრიშვილმა გამოავლინა.

**ზურა ხაჩიძე:**

– არაჩვეულებრივი წამოწყებაა რადიოჰოლდინგ „ფორტუნას“ მხრიდან. ეს არის დაფასება, სტიმული მომღერლებისთვის. შარშან, ჯგუფთან ერთად, ავიღეთ „წლის ჯგუფის“ პრიზი. ძალიან მიხარია, წლის მომღერალი მამაკაცის ჯილდო ხუმრობა არ არის. დიდი მადლობა ყველას, ვინც მე დამასახელა.

წლის საუკეთესო მომღერალი ქალის დასახელება არავის გაჰკვირვებია, ეს ჯილდო ნინა სუბლატს ხვდა წილად. მომღერალი ზაზა შენგელიამ დააჯილდოვა.

**ნინა სუბლატი:**

– სიმბოლური იყო, რომ ეს ნომინაცია ბატონმა ზაზამ გამოაცხადა, რადგან ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ჩემი კარიერის სწორად წარმართვაში.

წლის საუკეთესო დუეტის ჯილდო ანსამბლმა „ქართულმა ხმებმა“ და ნიაზ დიასამიძემ არავის დაუთმო. შარშანდელმა გამარჯვებულმა კახაბერმა და ხანუმებმა წლის საუკეთესო ჯგუფი დაასახელეს. ეს ჯილდო წელს „გამოუვალ მდგომარეობას“ ხვდა წილად.











© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლდო ანრი ჯოხაძეს გადაეცა



**„დაბნეული ვარ, საქართველოში არასდროს არაფერი მომიგია, ჩემს თავს ვერ ვცნობ. მსგავსი ტიპის კონკურსებზე ძირითადად უცენზურო სიტყვებით გამოვდივარ ხოლმე“**

# „ბავშვივით ამჩატებული ვარ“

## EXCLUSIVE









ამასობაში სცენა ნიკოლოზ რაჭველმა დაიკავა და სანამ მორიგ ნომინაციაში გამარჯვებულს გამოავლენდა, ახალ პროექტზე მიგვიწვია, რომელსაც უკვე 12 წელია, თავად კომპოზიტორიც ელოდება. ეს გახლავთ ნატო მეტონიძის სოლო კონცერტი, ახალი პროექტი, რომელიც 19 ივნისს გაიმართება, 30 ივნისს კი განმეორებით შედგება... მუსიკის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, „ცისფერი ტრიო“ დაჯილდოვდა. წლის როკ-სიმღერის ჯილდოც „გამოუვალმა მდგომარეობამ“ დაიმსახურა, სიმღერისთვის „სიყვარული ძნელია“.

**დავით გაბუნია, „გამოუვალი მდგომარეობა“:**

**– ორი ნომინაცია ამხელა საქართველოში, სადაც ყველა მღერის, ცუდი არ უნდა იყოს, როგორი შეგრძნებაა?**

– რაღაცნაირი, კარგი. ამ პატარა საქართველოში, ამხელა რადიოჰოლდინგიდან გამომდინარე, დაჯილდოება მართლაც არ არის ხუმრობა. ამაზე მართლა არ გვიფიქრია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყურადღების ცენტრში ვიყავით. ალბათ, დავიმსახურეთ.

„წლის ჰიპ-ჰოპის“ პრიზი შავ პრინცს ხვდა წილად, სიმღერისთვის „მეძახიან შავს“. აკაკი ბაბუნაშვილს პრიზი მიშა მშვილდაძემ გადასცა.

**აკაკი ბაბუნაშვილი:**

– მართალი გითხრა, ნაწილობრივ ველოდი ამ ჯილდოს, მაგრამ სანამ პრიზი ხელში არ დავიჭირე, ბოლომდე დარწმუნებული არ ვიყავი. სასიამოვნოა, რა თქმა უნდა, ბიჭებს გაუხარდებათ დასავლეთში, უფრო მოინდომებენ.

ქალაქური სიმღერის ნომინაციაში გამარჯვებული გიო ხუციშვილმა გამოავლინა. ეს პრიზი ანსამბლ „მეტეხს “ ერგო, სიმღერისთვის „ჩემო ფერია“. საუკეთესო პოპ-სიმღერისთვის პრიზი ნოდიკო ტატიშვილმა აიღო („ვარდისფერი ნავი“).

**ნოდიკო ტატიშვილი:**

– წინა წელს მთავარი პრიზი მე და სოფო გელოვანმა ავიღეთ ჩვენი დუეტისთვის. ხუთი ათასი ლარი გადმოგვცეს. წელს საუკეთესო პოპ-სიმღერისთვის დამაჯილდოვეს, რაც ძალიან მახარებს.

საუკეთესო კლიპისთვის დაჯილდოვდა ანრი ჯოხაძე სიმღერით „განა ყველა ქალი ქალია“.

სანამ გამარჯვებულ სიმღერას დაასახელებდნენ, რადიოჰოლდინგმა ჰოლდინგში შემავალი რადიოების რჩეული სიმღერები დაასახელა. რადიო „ფორტუნას“ რჩეული „თეატრალურის კვარტეტი“ გახდა, სიმღერით „მარტი“; „ფორტუნა პლუსმა“ ჯგუფ „სეიშენს“ მისცა ხმა; „არ დაიდარდომ“ – ჯგუფ „ბანს“, ხოლო ყველაზე ახალგაზრდა რადიოსადგურის, „ავტორადიოს“ რჩეული კახაბერი და ხანუმები გახდნენ.

და დადგა კულმინაციის დრო. 2014 წლის ჰიტად ანრი ჯოხაძის სიმღერა დაასახელეს. სიმღერამ „განა ყველა ქალი ქალია“ „ოქროს ტალღის“ ორ ნომინაციაში გაიმარჯვა. ანრი ჯოხაძეს მთავარი პრიზი – 5000 ლარი გადაეცა.

**ანრი ჯოხაძე:**

– არ ვიცი, რა ვთქვა, არ ველოდი, ამაზე კარგი სიმღერებიც მიმღერია. ამ სიმღერაში რაც მომწონს, ეს პროტესტია. დაბნეული ვარ, საქართველოში არასდროს არაფერი მომიგია, ჩემს თავს ვერ ვცნობ. მსგავსი ტიპის კონკურსებზე ძირითადად უცენზურო სიტყვებით გამოვდივარ ხოლმე.

**– რატომ?**

– არ ვიცი, დაბალი დონის კონკურსები ტარდება, არაორგანიზებული და, ალბათ, ამიტომ.

**– როგორი შეგრძნებაა, მთავარ მუსიკალურ ფესტივალზე მთავარი ჯილდოს მფლობელი რომ ხდები?**

– ძალიან მაგარი. სულ მეუბნებოდნენ, რად გინდა, ამდენ კლიპს რომ იღებ, მაინც არაფერი ხდება ქვეყანაში, ამ მხრივ, ენთუზიაზმზე როდემდე უნდა იყოო. როგორ არ ხდება, ხდება. ამ სიმღერას მილიონ შვიდასი ათასი ნახვა აქვს. ჩემი ნანახი ხომ არ არის, ხალხმა ნახა. ე.ი. ხდება რაღაც, აინტერესებს ხალხს ჩვენგან სიახლე. ისეთი ბედნიერი ვარ, ბავშვივით ვარ ამჩატებული. როცა მაცაცო სეფისკვერაძე, რუსა მორჩილაძე, ზაზა შენგელია (აღარ ჩამოვყვები ყველას) გეუბნება, რომ შენი სიმღერა, თან შენი დაწერილი, არის საუკეთესო, როგორ შეიძლება, ბედნიერი არ იყო.

## „ამაზე კარგი სიმღერებიც მიმღერია“

**– შენს სიმღერაში არის ასეთი ფრაზა, „განა ყველა ქალი ქალია, თუ ვერ არჩევ, ეს შენი ბრალია“. შენ არჩევ?**

– როგორ გითხრა, ადამიანები ვცდებით ხანდახან...

**– ტექსტიც ხომ შენ გეკუთვნის, მაინტერესებს, რა ისტორია აქვს?**

– ეჰ (ამოიოხრა. – ავტ.), საიდან მოდის, მაგას ვერ მოვყვები.

**– გამოდის, რომ შენც შეგეშალა...**

– მე არა, სხვას შეეშალა. მის ისტორიაზე დავწერე ეს სიმღერა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს მიშა მშვილდაძე და თემო მჟავია



## „რუსი ცოლი მყავს, ანასტასია შმაკოვა, „დივა“. ასე ვეძახი მე. საოცრებაა და იმიტომ. ძალიან უყვარს საქართველო, გიჟდება ჩვენს ქვეყანაზე“

# EXCLUSIVE

**my View**
**ნინო მჭედლიშვილი**

**წინა კვირას, იუმორისტმა და ტელეწამყვანმა, თემო მჟავიამ მიშა მშვილდაძის პოსტს, სოციალურ ქსელში, იმის თაობაზე, ვინც მარიხუანის დეკრიმინალიზაციას მხარს არ დაუჭერს იქნება რუსი, სოციალური ქსელითვე უპასუხა. მის სტატუსში ჩანდა, რომ იუმორისტი იმდენად აღაშფოთა მშვილდაძის განცხადებამ, რომ სასამართლოში ჩივილსაც კი აპირებდა.**

დღეს თემო ჩვენი სტუმარია და თავად გიამბობთ როგორ გაგრძელდა მშვილდაძე-მჟავიას დაპირისპირება.

**- თემო, მიშას სტატუსს ბევრმა იუმორით შეხედა, შენ რატომ ვერ მიუხვდი მიშას ხუმრობას?**

- ვერ ვიტყვი, რომ ეს ხუმრობა იყო. მიშასთან პირადად საუბარი არ მქონია, ვფიქრობ, დავურეკო ამ დღეებში. ის გამოეხმაურა ჩემს სტატუსს და არსად უთქვამს, რომ ეს იყო ხუმრობა. შეიძლება ხუმრობაც იყო, მაგრამ ისეთი ხუმრობა, რომელიც სხვას სწყინს, არ მგონია, კარგი იყოს. მე რუსი ცოლი მყავს, ანასტასია შმაკოვა, „დივა“. ასე ვეძახი მე. საოცრებაა და იმიტომ. ძალიან უყვარს საქართველო, გიჟდება ჩვენს ქვეყანაზე. ქართულიც საფუძვლიანად, გრამატიკულად ისწავლა. ან, როგორ შეიძლება არ გიყვარდეს საქართველო, როცა ქართველი შვილი გყავს. შესაბამისად, გულზე ხვდება, როცა რუსებზე ასე ლაპარაკობენ, როცა ყველას ერთ სიბრტყეში განიხილავენ. ვფიქრობ, რომ ჩემი ცოლი ნამდვილად არ იმსახურებს ამას. როცა ნახა ეს ვიდეო, რომელიც „რუსთავი 2“-ის ეთერში გავიდა, ძალიან ეწყინა. ვისაუბრეთ ამ თემაზე, გამიჩნდა სურვილი დამეცვა. არ ვიმსახურებო, ამბობს. მართლა ასეა. გოგომ ყველაფერი მიატოვა იქ, ჩამოვიდა და აქ ცხოვრობს.

**- როგორც ვიცი, შენ და მიშა მშვილდაძეს კარგი ურთიერთობა გაქვთ. მეგობრობთ კიდეც. პირადად რატომ ვერ გაარჩიეთ ეს თემა?**

- კომენტარებში გამომეხმაურა. მაგრამ საუბარი არ გვქონია.

**- გავიგე, ჩივილს აპირებ?**

- ვინც მიცნობს იცის, რომ საერთოდ სხვა ტიპი ვარ, ომის წინააღმდეგი და მშვიდობის მოყვარული. ჩივილი და ასეთი თემები ჩემი არ არის. მაგრამ ისე გავბრაზდი მაშინ... ვილაცები მწერდნენ, რა ჩივილი, როცა შეიძლება სხვანაირად მოუგვაროო.

**- როგორო?**

- არ უნდა ვამბობდე, მაგრამ ვილაცები მწერდნენ, რა უნდა უჩივლო, დავჭრათო (იცინის)... ეს არ არის ცივილური, ადამიანური. კარგი იქნებოდა თუ ბოდიშს მოიხდიდა, მაგრამ რადგან არ მოიხადა, მივმართავ სასამართლოს, თუ არ დამეზარა (იღიმება). ხომ უნდა იყოს პრეცედენტი, რომ ადამიანები ერთმანეთს კი არ ურტყამენ, კი არ ჭრიან და ჩეხავენ იმის გამო, რომ რაღაც ეწყინათ, ბოდიშს ითხოვენ, თუნდაც სასამართლოს გზით. მიშას დიდ პატივს ვცემ, ჯერ კიდევ „რადიო 105“-დან ვიცნობ. მაგარი ძმაა. ვაფასებ როგორც მოაზროვნეს, ინტელექტუალს, პროდიუსერს. მაგიტომაც მეწყინა, ალბათ, მისგან. დავურეკავ ამ დღეებში და იმედია ამიხსნის რა მოხდა.

**„კარგი იქნებოდა თუ ბოდიშს მოიხდიდა, მაგრამ რადგან არ მოიხადა, მივმართავ სასამართლოს, თუ არ დამეზარა“**

**- ახლა შენს რუს ცოლზე გვიამბე. როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

- საქართველოში ჩამოვიდნენ სტუმრად გოგონები ჩემს ერთ-ერთ მეგობართან. მაშინ ჯერ კიდევ მოტოს ვმართავდი. დაიწყო, როგორც იწყება ხოლმე. გაგიჟდა საქართველოზე, შემოვატარე მთელი საქართველო მოტოთი. ძალიან მოეწონა. ასწორებს როცა მაგრად გიყვარს, სიყვარულის მხარეს ვარ ყოველთვის, მაგრამ როცა უკვე ცოლ-ქმრობაზე მიდგა საქმე, რთული აღმოჩნდა ორივესთვის, მარტივად ვერ გადავწყვიტეთ. მოკლედ, ის დაბრუნდა მოსკოვში, გააგრძელა მუშაობა თავის „იანდექსეუში“ (რუსული საძიებო სისტემა), მე ჩემს „ჯი-დიეს“-ში. მერე მოტოთი ძალიან დიდ ავარიაში მოვყევი, გახსოვთ, ალბათ, მე და დავით გოგიშვილი. იმ საშინელებებს აღარ მოვყვები, გადავახტები. ამ ავარიის „წყალობით“ ექვსი თვე ვიწექი. ბევრი დრო მქონდა ფიქრისთვის. გავაცნობიერე, რომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს უბრალოდ აღარ ვიყო. მივხვდი, რომ დივა არის ის ადამიანი, რომელთან ერთადაც უნდა ვიცხოვრო. დავურეკე და ვთხოვე, ჩამოსულიყო. როცა ჩამოვიდა ვილაპარაკეთ, ვუთხარი, გეპატიჟები ჩემს ქვეყანაში საცხოვრებლად-მეთქი.

**- როცა ხელი სთხოვე, ჯერ კიდევ საწოლში იწექი?**

- კი. ყავარჯნებით გადავადგილდებოდი ოთახიდან ოთახში.

**- შენმა მშობლებმა როგორ მიიღეს რუსი რძალი?**

- საქართველო ხომ ძალიან მენტალური ქვეყანაა. არაფერი უთქვამთ, მაგრამ შევამჩნიე, რომ არ ესიამოვნათ.

**- ახლა როგორი ურთიერთობა აქვთ?**

- გადასარევი. გიჟდებიან დივაზეც და ბავშვზეც.

**- მეუღლის მშობლებს თუ უნდოდათ შენნაირი სიძე?**



**„ხომ უნდა იყოს პრეცედენტი, რომ ადამიანები ერთმანეთს კი არ ურტყამენ, კი არ ჭრიან და ჩეხავენ იმის გამო, რომ რაღაც ეწყინათ, ბოდიშს ითხოვენ, თუნდაც სასამართლოს გზით“**





- რატომმაც არა. არ ვიცი, არ უთქვამთ, ჩემი დედას შევ..ი, ეს ვის გაჰყევიო (იცინის). „დობრად“ ჩამოვიდნენ და გავიცანით ერთმანეთი. სულ ბედნიერები არიან, როცა საქართველოში ჩამოდიან.

**- თქვენ ბედნიერებას დაემატა ბიჭი, დანიელი...**

- ჰო, ახლა წლინახევრის არის.

**- როგორი მამა ხარ?**

- ჩემი ცხოვრების დიდი დრო ჩემს სამსახურს მიაქვს, მაგრამ ძალიან ვცდილობ ოჯახთან მეტი დრო გავატარო. ზოგჯერ გადაღებებზე მომყავს. ხშირად მიფიქრია, სწორად ვაკეთებ თუ არა, რომ მეტ დროს სამსახურს ვუთმობ და ცოტას - ოჯახს, მაგრამ სამსახურიც ხომ მათთვისაა.

**- როგორია თქვენი სიყვარული?**

- ორ თვალზე.

**- ეგ რას ნიშნავს?**

- არსებობს გამონათქვამი, რომ ოთხი თვალი (ანუ საბურავი) გადააადგილებს სხეულს, ორი - სულს. მოტოსაც ხომ ორი თვალი აქვს (იღიმება).

**- ორი საბურავი ჩაბარდა ისტორიას, აღარ დაჯდები მოტოზე?**

- უნდა ვთქვა, რომ აღარ დავჯდები.

**- ასე დაგარიგეს?**

- არა (იცინის), ჩემი მეგრული გვარი მკარნახობს, რომ ასე უნდა ვთქვა.

**- და კაცმა არ იცის რას იზამ?**

- არა, არა, მორჩა, აღარ დავჯდები.

**- ვის შეჰპირდი?**

- მოტოზე რომ ჯდები სიცოცხლეს რისკავ. არავინ თქვას, რომ უსაფრთხო ტრანსპორტია. მოტო თავისუფლების გამოხატულებაა. როცა შვილი გყავს, შეზღუდვებს უწესებ საკუთარ თავს. აქედან გამომდინარე ამ ტრანსპორტს შევეშვი. დანიელს, ცოტა რომ გაიზრდება, ალბათ, ვუყიდი პატარა მოტოს (იღიმება).

ჩვენ მიშა მშვილდაძესაც დავუკავშირდით და ზემოთ აღნიშნულ დაპირისპირებაზე კომენტარი ვთხოვეთ.

**მიშა მშვილდაძე:**

- დღეს მე და თემო მჟავია ჩავეხუტეთ ერთმანეთს.

**- შერიგდით?**

- შევრიგდით. არ გაგვირჩევია, ყოველგვარი ახსნა-განმარტებების გარეშე ჩამოვართვით ხელი ერთმანეთს. სწორება პოზიტივზე!



**„ვფიქრობ, რომ ჩემი ცოლი ნამდვილად არ იმსახურებს ამას. როცა ნახა ეს ვიდეო, რომელიც „რუსთავი 2“-ის ეთერში გავიდა, ძალიან ეწყინა“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვინ არის გოგონა, რომელმაც ქუჩაში ბიჭებს ტუჩებში კოცნით პოზიტივი გაუცვალა

**my View**
**ნინო მჭედლიშვილი**



„რადიკალური მიდგომაა, არ არის შუალედი. ორად გაიყო საზოგადოება, ან ძალიან მოსწონთ, ან ძალიან არ მოსწონთ“

## რა რეაქცია ჰქონდა თამამი გოგოს ქმარს EXCLUSIVE

**24 წლის თეკო მეზვრიშვილი იმ გოგონების რიცხვს განეკუთვნება, ეკრანზე ერთი გამოჩენით რომ გაიცნო საზოგადოებამ. ინტერნეტმომხმარებელს, ალბათ, ეცნობა გოგონა, რომელიც ქუჩაში სრულიად უცნობ ბიჭებს აჩერებდა, თვალების დახუჭვას სთხოვდა და მერე ტუჩებში კოცნიდა. ზოგი დაიბნა, ზოგი აჰყვა ვნებას, ერთმა თავიდანაც მოიშორა ეს თამამი გოგონა. თუმცა, ფაქტი ერთია, ამის გამო არავინ გაბრაზებულა. სამაგიეროდ განრისხდა სრულიად ერი. თეკოს ინტერნეტსივრცეში, რბილად რომ ვთქვათ, ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა. გოგონას თურმე ემუქრებიან კიდეც.**

ყველაფერი კი „ჯი-დი-ეს“-ის გადაცემის, „ბინა 18“-ის სიუჟეტისთვის გაკეთდა. მიზანი, როგორც გადაცემის მესვეურნი ამბობენ, საზოგადოებაში პოზიტივის შეტანა იყო.

მაშ ასე, თეკო დღეს ჩვენი სტუმარია და ამ პოზიტიური ნეგატივის შესახებ თავად გიამბობთ.

**- თეკო, თამამი გოგონა აღმოჩნდი, დიდი ხანია „ჯი-დი-ეს“-ში მუშაობ?**

- არა, „ბინა 18“-დან დამირეკეს და შემომთავაზეს ამ ექსპერიმენტის გაკეთება. ამ ადამიანებს მანამდეც ვიცნობდი. მაჩვენეს ანალოგი ვიდეოები, სხვა ქვეყანაში გადაღებული. მომეწონა იდეა და დავთანხმდი. ეს იყო ჩემი პირველი გამოჩენა ეკრანზე.

**- შედეგზე იფიქრე, რომ გაგაკრიტიკებდნენ, გაგკიცხავდნენ...**

- ვიფიქრე, მაგრამ მინდოდა და გავაკეთე.

**- ხმაურიც გინდოდა?**

- ალბათ. რაღაც ამდაგვარი ჰქონდათ ბიჭებს გამიზნული, მაგრამ ამ დონის აგრესიას ნამდვილად არ ველოდით. რადიკალური მიდგომაა, არ არის შუალედი. ორად გაიყო საზოგადოება, ან ძალიან მოსწონთ, ან ძალიან არ მოსწონთ. მე არანაირი აგრესია არ მაქვს ამ ადამიანების მიმართ, ველოდი, ვიცოდი ასე რომ მოხდებოდა.

**- სოციალურ ქსელში გწერენ?**

- კი, ოღონდ გასაოცარი ისაა, რომ კომენტარებში მწერენ, რომ გული ერევათ ჩემზე და პირადში მთხოვენ, რომ მათაც გავუცვალო პოზიტივები. ღელავენ ჩემს ჰერპესზე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და მინდა ვუთხრა ყველას, რომ ჯანმრთელი ვარ. ვერც იმ ბიჭებს მივაყენებ შეურაცხყოფას... ზოგი თვლის, რომ ეს იყო ძალადობა. წერენ, მსგავს სიტუაციაში რომ აღმოვჩენილიყავი, ამ გოგოს აუცილებლად ვუჩივლებდიო. არადა, იმ ბიჭებს სულ არ ჰქონიათ პრეტენზია.

**- რა დარჩა კადრს მიღმა, არავინ გაგიბრაზდა?**

- ბევრი ნამდვილად არ გადაგვიღია, თბილისში რეალურად ძალიან უფრთხიან კამერებს, ესეც ძლივს მოვახერხეთ, რაც კადრში ჩანს. ასე რომ, ამოსარჩევად საქმე ნამდვილად არ გვქონია, კადრს მიღმა არაფერი დარჩენილა. იმასაც წერდნენ, მეტი სიმპათიური ვერავინ ნახეთო. არ მომწონს ასეთი მიდგომა, როცა ადამიანებს გარეგნობით აფასებენ და მეორეც, სად იყო ასარჩევად საქმე... მოკლედ, მე ჩემს პოზიციაზე ვრჩები.

**- კიდევ გინდა გაუცვალო პოზიტივი ერს?**

- ვხვდები, რომ პოზიტივს ვერ იგებენ, მაგრამ მე უკან არ დავიხევ.

**- რას აპირებ, კიდევ ველოდოთ, მსგავს სიუჟეტებს?**

- ალბათ, ჯერ ბიჭები იმაზე ფიქრობენ, რომ გადავჩე (იცინის).

**- ასეა საქმე? გემუქრებიან?**

- კი, მომდის მუქარის წერილებიც. მწერენ, რომ ჩემნაირი გოგოები არ უნდა ცოცხლობდნენ. არ მაქვს პრეტენზია, ყველას აზრს პატივს ვცემ. უბრალოდ, ჩვენ ასე ვხედავთ პოზიტივს. ერთ რამეს მივხვდი, რაც ძალიან სამწუხაროა, რომ არ მეკოცნა და სილა გამერტყა, ასეთი აგრესია არ წამოვიდოდა.

**- თეკო, ოჯახის წევრები როგორ შეხვდნენ შენ ასეთ გამოჩენას ეკრანზე?**

- სამი წელია ქმარი მყავს. ფურცელზე ჩვენი ურთიერთობა არ დაგვიკანონებია, ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, მაგრამ ჩვენ ცოლ-ქმარი ვართ. მე კი „ჩემს ბიჭს“ ვეძახი და ის „ჩემს გოგოს“, მაგრამ საქართველოში ამ ურთიერთობას ოჯახი ჰქვია. ვგიჟდები ჩემს ოჯახზე. იმდენად სრულყოფილი მამაკაცი მყავს გვერდით, ის აგრესია რაც მასზეც იყო მიმართული, არც შეუმჩნევია. არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია. კმაყოფილია, რომ ჰყავს ჩემნაირი არანორმალური გოგო. ჩემი და ჩემი ქმრის მშობლებისგან არანაირი ნეგატივი ამ სიუჟეტს არ გამოუწვევია.

**- სიუჟეტს ერთად უყურეთ შენ და შენმა მეუღლემ?**

- რა თქმა უნდა. მან წინასწარ იცოდა ამის შესახებ. მის გარეშე ასეთ რამეებს არ ვაკეთებ ხოლმე. ვისაუბრეთ, ვიცოდით იქნებოდა სკანდალი, ის თუ რას იფიქრებდნენ მასზე, ჩემზე, მაგრამ... მითხრა, თუ გინდა ამის გაკეთება, გააკეთე, გიცნობ, ვიცი მოგწონს მსგავსი პროვოკაციები და მიმიფურთხებია რას იტყვის ხალხიო.

**- რა პროფესიის არის შენი მეუღლე, რა ასაკის?**

- 27 წლის არის, ფილოსოფოსი და თეოლოგი გახლავთ.

**- თავად რა პროფესიის ხარ?**

- დავამთავრე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის განხრით. მაგისტრატურა რომში დავამთავრე, დანტე ალეგიერის უნივერსიტეტში ფილოსოფიის განხრით.

**- „რომაული არდადეგების“ შედეგია შენი ასეთი სითამამე და უკომპლექსობა?**

- რა გითხრათ, ჩემი მშობლები ამბობენ, რომ ბავშვობიდან ასეთი გიჟი ვიყავი. არანორმალური ხარო, მამა მეუბნება ხოლმე, რთულია შენი გაძლებაო.

**- შენც ასე ფიქრობ?**

- არა. ძალიან ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. გული მწყდება, რომ ეს ჩვეულებრივი ადამიანი, საქართველოში გიჟად აღიქმება. გათახსირებული და ყოვლად უღირსი ვყოფილვარ თურმე.

**- შენი „მსხვერპლების“ ცოლები, შეყვარებულები ან მეგობარი გოგონები ხომ არ გამოგეხმაურნენ?**

- (იცინის) ჯერჯერობით არა.

**- შენთვის რა არის პოზიტივი?**

- რომ ქმარი იყოს მუდამ ჩემ გვერდით. ამ შემთხვევაში ყველა პოზიტივი ჩემი იქნება.

**- ქმრის სახელსა და გვარს არ მეტყვი?**

- არა (იღიმება).

**- შვილები არ გყავთ?**

- სამი წელია ყოველდღიურად თავიდან გვიყვარ დ - ება ერთმანეთი და როგორც პირველ დღეს და პირველ კვირას არ გინდა შვილი, ასე ვართ უკვე მესამე წელია. თუმცა სამომავლოდ, რა თქმა უნდა, ვაპირებთ.

**- აქამდე რას საქმიანობდი?**

- ცხრა თვეა, რაც საქართველოში დავბრუნდი, მანამდე ქმართან ერთად რომში ვცხოვრობდი.

**- რატომ დაბრუნდი?**

- ამ კითხვას სხვებიც მისვამენ. ყველაფერი მქონდა იქ, საყვარელი ადამიანი, საყვარელი საქმე. ვთამაშობდი რომის თეატრში... არაპროფესიონალი მსახიობი ვარ... მაგრამ, მივხვდი, რომ თბილისის გარდა ვერსად ვიცხოვრებ... საქართველოში რაც დავბრუნდი, ჯერ არაფერი გამიკეთებია. ეს ჩემი პირველი ხმაური იყო. მომწონს ხმაური, პოზიტივი და ბედნიერი ადამიანები.

„კომენტარებში მწერენ, რომ გული ერევათ ჩემზე და პირადში მთხოვენ, რომ მათაც გავუცვალო პოზიტივები“



„ზოგი თვლის, რომ ეს იყო ძალადობა. წერენ, მსგავს სიტუაციაში რომ აღმოვჩენილიყავი, ამ გოგოს აუცილებლად ვუჩივლებდიო. არადა, იმ ბიჭებს სულ არ ჰქონიათ პრეტენზია“



„ქმარმა მითხრა, თუ გინდა ამის გაკეთება, გააკეთე, გიცნობ, ვიცი მოგწონს მსგავსი პროვოკაციები და მიმიფურთხებია რას იტყვის ხალხიო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ჯგუფი „პულსი" - „ჰოუმ სტუდი

**my View**
**სალომე ჩადუნელი**

**ჯგუფი „პულსი" უკვე ერთადერთი ბენდია „X ფაქტორში". ბიჭები, ჯგუფების კატეგორიიდან ენერგიული მუსიკითა და ინდივიდუალური სასცენო შესრულებით, საკონკურსო ტურიდან დღემდე, წარმატებით ახერხებენ აუდიტორიის აყოლიებას და გამხიარულებას. შავი თმიდან შეღებილ თმამდე და კილტებიდან ჩოხამდე უამრავი გულშემატკივარი შეიძინეს, მენტორებსაც თავი მოაწონეს და პირველ „ლაივ" კონცერტზე, აუტსაიდერობის მიუხედავად, კონკურსს მიღმა დარჩენას გადაურჩნენ. „პულსი" პირველი კონკურსანტია, რომელმაც „X ფაქტორის" ახალ სეზონში ქართული სიმღერა შეასრულა და კილტებს მოყოლილი უარყოფითი ემოცია სიყვარულსა და მხარდაჭერაში გადაზარდა. ბენდი, რომელსაც მატერიალური რესურსი, ტექნიკა და საკუთარი სარეპეტიციო არ აქვს, 2009 წლიდან არსებობს, თუმცა ფართო აუდიტორიისთვის ცნობილი „X ფაქტორის" საშუალებით გახდა.**









„არაფრიდან დავიწყეთ, ახლა გვაქვს რაღაც, თუმცა არაფრის გარეშე აღარ დავრჩებით"

## დემე: „მორჩები „ლაივს", დაიძინებ, გაიღვიძებ და უკვე შაბათია"

ბენდში 4 წევრია. ვოკალისტ ირაკლი ნონიაშვილს საზოგადოება ყველაზე უკეთ იცნობს. პროფესიით ისტორიკოსია, მრავალი სამსახური გამოუცვლია, თუმცა ახლა აღარ მუშაობს და მთლიანად ბენდს და „X ფაქტორს" უძღვნის თავს.

**ირაკლი:** ადრეული ასაკიდან მქონდა მუსიკასთან კავშირი, ჩემი მშობლები მელომანები არიან, კარგი გემოვნებით გამოირჩევიან. 9 წლის ასაკში მივედი გიტარაზე, შემდეგ პიანინოზე, მაგრამ სოლფეჯიოზე მივედი თუ არა პირველი გაკვეთილიდან გამოვიქეცი. 13 წლის რომ ვიყავი ბოტკინი დამემართა, კარატეზე, ცურვაზე, გიტარაზე და პიანინოზე თავის დანებება მომიხდა. მიკროფონთან 18 წლიდან ვდავარ. უნივერსიტეტის ბენდში ვმღეროდი და ამის შემდეგ მოვედი „პულსში".

**სანდრო: „დემეს ჩემი ეშინოდა, იმიტომ რომ მერლინ მენსონს ვუსმენდი"**

ბენდის გიტარისტი დემე ადოლაშვილი პროფესიით მხატვარია, დაამთავრა სამხატვრო სკოლა და აკადემია, ქმნის სიურეალისტურ ნამუშევრებს და ცდილობს მუსიკა და მხატვრობა ერთმანეთს შეუთავსოს.

**დემე:** მთელი ცხოვრებაა ვხატავ, დღეში 5-6 საათი ვხატავდი, სხვა სფეროებშიც ვცადე ბედი - ფეხბურთზეც ვიარე, ცურვაზეც ვიარე, სიმღერაზეც, თუმცა ჩემი თავი ვერსად ვიპოვე, ძალიან მინდოდა ტამტამზე დაკვრა მესწავლა, გიტარა მეზიზღებოდა, დასანახად ვერ ვიტანდი.

დრამერი ნიკა მარგველაშვილი, რომლის გვარმაც საზოგადოება გაურკვევლობაში ჩააგდო, ბენდის ყველაზე მძინარა წევრია. ის რამდენიმე წელი ალპინიზმით იყო დაკავებული, შემდეგ ბენდში დაკვრა დაიწყო და ძველ პროფესიას აღარ დაბრუნებია.

„კომფორტს მივეჩვიე, მთაში არ არის კომფორტი, შემდეგ ბენდში დაკვრა დავიწყე, საკუთარი სტუდია მოვიწყვე და გადავყევი ამ საქმეს. დაკვრა ჩემით შევისწავლე, ჩაწერა და დამუშავება მასწავლეს, გავიარე ბერკლის ონლაინ კურსი, ეს ყველაფერი დამეხმარა უკეთესად მესწავლა მუსიკის ჩაწერა. მეათე კლასამდე, ყოველ წელს, სკოლის საუკეთესო მოსწავლე ვიყავი, მაქვს მოგებული საქართველოს ოლიმპიადა გეოგრაფიაში. მეთერთმეტე კლასში დემესა და სანდროს კლასში გადავედი და იქ მორჩა ჩემი წარმატებული ბავშვობა. მუსიკალური ოჯახი მყავს, მამაჩემი მელომანია, ფირფიტებისა და დისკების კოლექციონერია. მადლობელი ვარ, რომ მქონდა ისეთი სახლი, სადაც მუსიკა 24 საათი ისმოდა".

სანდრო მაისურაძე ბენდის ბასისტია, თავისი პროფესიით ორ ადგილას მუშაობს, ტელეკომუნიკაციების ინჟინერია, სატელეფონო აბონენტებს ემსახურება, დარჩენილ დროს კი მუსიკას უთმობს.

**სანდრო:** 8 წლიდან ჯანსულ კახიძის ბიჭუნათა გუნდში ვიყავი, სკოლის გუნდში ხალხურ სიმღერებსაც ვმღეროდი, 3 წელი კალათბურთზე დავდიოდი, სიმღერაზე და გიტარაზე მშობლებმა მიმიყვანეს.

**ირაკლი: „იქნებ ისეთმა ვინმემ დაგვინახოს, რომელიც დაგვეხმარება და პლუს, პატრონაჟს გაგვიწევს, იქნებ ამოგვიყვანოს ვინმემ ქართული შოუბიზნესის ჭაობიდან"**

ბენდის შექმნისა და სახელის იდეა დემეს ეკუთვნის. ამბობს, რომ მხოლოდ დაკვრა არასდროს აკმაყოფილებდა, ყოველთვის უნდოდა საკუთარი მუსიკა შეექმნა და მსმენელისთვის მიეწოდებინა.

**დემე:** 2006 წელს დავიწყე აკუსტიკურ გიტარაზე სიარული და გავიცანი სანდრო, რომელიც გიტარაზე სწავლობდა. სანდროსთან არ ვმეგობრობდი, ცოტა უცნაური ტიპი იყო.

**სანდრო:** დემეს ჩემი ეშინოდა, იმიტომ რომ მერლინ მენსონს ვუსმენდი.

დემემ ბენდის შექმნის იდეა სანდროს გაუზიარა, მოგვიანებით ნიკა შემოუერთდათ. დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ინსტრუმენტალს უკრავდნენ, ვოკალისტი არ ჰყავდათ. მეგობრის დახმარებით, 2011 წელს, ირაკლი გაიცნეს და დღემდე უცვლელი შემადგენლობით მოდიან.

**ირაკლი:** მითხრეს, რომ არსებობდა პულსი და ვოკალისტი სჭირდებოდათ. მივედი, მოვუსმინე, რეპეტიციას დავესწარი, თვითონაც მომისმინეს და „გადაირივნენ". მე არ ვთვლი, რომ ძალიან







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ოდან“ „იქს ფაქტორის“ სცენაზე

**ნიკა: „მეთერთმეტეში დემესა და სანდროს კლასში გადავედი და იქ მორჩა ჩემი წარმატებული ბავშვობა“**




## ირაკლი: „სოლფეჯიოზე მივედი თუ არა, პირველი გაკვეთილიდან გამოვიქეცი“







## ირაკლი: „თამთა ზედმეტს არაფერს გაგაბედინებს და არც მოგინდება ზედმეტის გაბედვა“

კარგი მომღერალი ვარ, მაგრამ ბენდში გამოვდგები, ჩემი იდეებითა და პერსონით ვავსებ ამ ყველაფერს.

**რატომ „პულსი“?**

**დემე:** ვეძებდი სიტყვას, რომელიც ყველას დაამახსოვრდებოდა, იქნებოდა მარტივი და ყველა ენაზე გასაგები, მინდოდა ერთსიტყვიანი ყოფილიყო და ჩვენი მუსიკის ხასიათი გადმოეცა.

„პულსი“ საკუთარ სიმღერებზე მუშაობს, ინგლისური ტექსტებით დაიწყეს, თუმცა უკვე სამი ქართული სიმღერაც აქვთ. სიმღერაში ყველას საკუთარი შტრიხი შეაქვს და საბოლოო პროდუქტს ოთხივე ერთობლივი მუშაობით ქმნის. ბენდს სარეპეტიციო არ აქვს, „რუსთავი 2“-ში რეპეტიციობენ, ქირაობდნენ ხოლმე სივრცეს, მაგრამ მხოლოდ 2 საათით. ეს დრო კი მუშაობისთვის საკმარისი არ არის.

**ირაკლი:** ჩვენი არსებობის მანძილზე ასე წვალებ-წვალებით ბევრი სიმღერა შევქმენით, მაგრამ რადგან ვვითარდებოდით ბევრი სიმღერა უკვე ამოვშალეთ ჩვენი რეპერტუარიდან, გამოვიცვალეთ, ჟანრი დავხვეწეთ და კიდევ ვიხვეწებით, რომ გავაკეთოთ ის, რაც გვინდა. ამისთვისაა საჭირო სარეპეტიციო ბაზა, მუსიკალური აღჭურვილობა და ტექნიკა არ გვაქვს, გვაქვს მხოლოდ ინტრუმენტები და ეს საკმარისი არ არის, სპონსორი გვესაჭიროება. მენეჯერი, რომელიც დროის ორგანიზებაში დაგვეხმარება და დაგვიგეგმავს კონცერტებს.

### „X ფაქტორი“

სპონსორის გამოჩენამდე, ბენდი ნიკას აგარაკზე, „ჰოუმ სტუდიოში“ მუშაობს და სიმღერებსაც იქ წერს. მუსიკასთან ერთად მეგობრობაც აერთიანებთ. „X ფაქტორში“ მოსვლაც ბენდის პოპულარიზაციისთვის, გულშემატკივრების გაჩენის, ნდობის გაზრდისა და უპირველეს ყოვლისა, სპონსორის მოზიდვის მიზნით გადაწყვიტეს.

**ირაკლი:** ჩვენი თავის განსავითარებელი ბაზა აღარ გვქონდა, კონცერტებსაც ველარ ვატარებდით, აღარავინ გვეძახდა, დაშლა არჩევანი არ იყო. ამ დროს გამოცხადდა „X ფაქტორი“. მე ვაპირებდი მონაწილეობას და რამდენიმე „ლაივზე“ ბენდის მოხმარებას, ვფიქრობდი ცნობილები გავხდებოდით. შემდეგ გავიგეთ, რომ ბენდებსაც შეეძლოთ მონაწილეობა. პროექტში მოსვლის უმთავრესი მიზეზი სპონსორის პოვნა იყო. იქნებ ისეთმა ვინმემ დაგვინახოს, ვინც დაგვეხმარება და პლუს პატრონაჟს გაგვიწევს, იქნებ ამოგვიყვანოს ვინმემ ქართული შოუბიზნესის ჭაობიდან.

გამარჯვებისთვის იბრძვიან, თუმცა პროექტის დატოვებისთვისაც მზად არიან. მიაჩნიათ, რომ ბენდის გამარჯვება მსგავსს კონკურსებში ძალიან რთულია.

„ბენდს რთულად აღიქვამს საზოგადოება, პროექტში ჯერ კიდევ ბევრი კონკურსანტია, არეულობაა, ფავორიტები ჩამოყალიბებულები არ არის, მაგრამ ჩვენ ვიბრძვით და მგონი ღირსეულად“.

ოთხი სკამის კონკურსის შემდეგ, „ლაივზე“ კონცერტზე „პულსი“ მსმენელის წინაშე შოტლანდიურ ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი წარდგა და საზოგადოების უმეტესობის უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია, მსმენელის გაღიზიანება ზარებში გამოიხატა და „პულსმა“ აუტსაიდერის პოზიცია დაიკავა. „კილტებმა მოგვიტანა ცნობადობა, გრანდიოზული ეფექტი იყო“, - ამბობს ირაკლი ნონიაშვილი. მენტორების მხარდაჭერის დამსახურებაა, რომ ბენდმა კონკურსი არ დატოვა, კილტები ჩოხებით ჩაანაცვლა და ქართული სიმღერა „საზამთრო“ შეასრულა. სიმღერის იდეა ბიჭებს ეკუთვნოდათ, სიმღერის ახალ ვერსიაზე თავად იმუშავეს, ჩანაფიქრმა გაამართლა, დარბაზში ყველა ფეხზე იდგა და „პულსთან“ ერთად მღეროდა.

> **ირაკლი: „მე არ ვთვლი, რომ ძალიან კარგი მომღერალი ვარ, მაგრამ ბენდში გამოვდგები, ჩემი იდეებითა და პერსონით ვავსებ ამ ყველაფერს“**

**დემე:** რისკი იყო ქართული სიმღერა, იმიტომ რომ, როგორც მოეწონნათ, ისევე შეიძლება არ მოსწონებოდათ, ქართულ სიმღერას რთულად იღებენ ხოლმე, უარყოფითი კომენტარები იყო, მაგრამ უმნიშვნელო.

**- როგორი მენტორია თამთა?**

**ირაკლი:** იმდენად ერთვება მუშაობის პროცესში, რომ მისი არყოფნა არ შეიმჩნევა, კარგ რჩევებს გვაძლევს ხოლმე, თამთას გარეშე არაფერი ხდება. ძალიან მეგობრულია, სხვანაირად ვერც დაეკონტაქტები, იქნები მეგობრული, თავაზიანი და კარგი დამოკიდებულებით, ზედმეტს არაფერს გაგაბედინებს და არც მოგინდება ზედმეტის გაბედვა, ძალიან უშუალო და თბილია.

ბიჭების თქმით, სცენის მიღმა, ჯანსაღ კონკურენციასთან ერთად, მეგობრული გარემოცაა, თუმცა დაძაბულობა ლაივების მიხედვით მატულობს. ყველასთან კარგი ურთიერთობა აქვთ. განსაკუთრებულად კი ძმებ გულაშვილებს, „Vanilla cage“ -ს, ნინი ბრეგვაძესა და დიმა კობეშავიძეს დაუახლოვდნენ.

**- ვის მიიჩნევთ მთავარ კონკურენტად?**

**ნიკა:** ერთადერთი ბენდი დავრჩით, კონკურენტი ყველაა, გამორჩეულად არავინ. შეიძლება ყველამ მოგიგოს ან ყველას მოუგო. იმდენად კარგი ნაკადია, რომ 12 კაცშიც ყველა კონკურენტი იყო. მინდა ერთადერთი ბენდი იყოს ფინალში.

**ირაკლი:** ამ პროექტმა ჯერჯერობით არასაკმარისი, მაგრამ გარკვეული ცნობადობა მოგვიტანა. რაც უფრო დიდხანს ვიქნებით პროექტში, უკეთესია, თუ გაგვაგდეს ჩვენ საქმეს მაინც გავაგრძელებთ, არაფრიდან დავიწყეთ, ახლა გვაქვს რაღაც, თუმცა არაფრის გარეშე აღარ დავრჩებით.

**- გრძნობთ, რომ პოპულარულები ხართ?**

**ირაკლი:** გასაკვირი ის არის ჩემთვის, რომ ხალხი გვცნობს, მაგრამ გვცნობენ ბავშვები და 50 წლის ზემოთ მყოფი ადამიანები. ლაივის შემდეგ დაღლილები და ენერგიისგან დაცლილები რომ გამოვდივართ, გვხვდება ბავშვების არმია, მაგრამ ძალას ვპოულობთ ხოლმე, სურათებს ვიღებთ, ვეხუტებით და ხელს ვუწერთ.

**დემე:** ყველაზე დიდი სიამოვნებაა, როცა გიყურებენ და მაგალითი ხარ მათთვის, როცა უნდათ ჩვენსავით ისწავლონ დაკვრა.

ორშაბათი ბიჭებისთვის, ისევე როგორც ყველა კონკურსანტისთვის, დამღლელი დღეა. დაღლილობას ნერვიულობაც თან ერთვის. არ წუწუნებენ, თუმცა მათთის მსგავსი რეჟიმი უცხო და ამავდროულად საინტერესოცაა.

**დემე:** ყველაზე ცუდია, რომ მორჩები ლაივს, დაიძინებ, გაიღვიძებ და უკვე შაბათია.

მიუხედავად საკონკურსო სირთულეებისა აუტსაიდერების რიგებში დგომა აღარ სურთ, უნდათ დარჩნენ პროექტში და ფინალამდე მიაღწიონ. სამომავლო გეგმებიც მრავალფეროვანი აქვთ. ბენდის მთავარი მიზანი პოპულარობაა და სურვილი, იყვნენ ყველაზე საუკეთესოები. სურთ გასცდნენ საქართველოს საზღვრებს და საკუთარი შემოქმედება ფართო აუდიტორიას გააცნონ. სურვილი დიდია, მაგრამ შესაძლებლობა ნაკლები, ბენდს წინსვლისა და შემოქმედებითი განვითარებისთვის სპონსორი და მხარდამჭერი ესაჭიროება.

**ირაკლი:** ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ვინმე შეამჩნევს და მიხვდება, რომ ჩვენ ვართ მომგებიანი პროდუქტი. ჭკვიანი ადამიანი ამას მომგებიანად გამოიყენებს - სათავისოდ, ჩვენთვისაც და მთლიანად საქართველოსთვისაც. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა ხალხი გავართოთ, სიახლე შევთავაზოთ და გავახაროთ. ჩვენ გვაქვს სურვილი, გვაქვს ტვინი, ხელები და ფეხები, მაგრამ არ გვაქვს მატერიალური სახსარი და მხარდაჭერა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

# ალექსანდრე მეტრეველი - ჩოგბურთი უნდა გახდეს მეტად მასობრივი



**„რაც შეეხება ჩვენს გრძელვადიან გეგმას, ეს ჯერ კიდევ შარშან წარვადგინეთ სამინისტროში. თვითონ სამინისტროს მიერ იყო აღიარებული, რომ ის ერთი კარგი ბიზნესგეგმაა, აუცილებლად ვაპირებ, რომ ეს საკითხი, რაც შეიძლება მალე განვიხილოთ, რომ ჩოგბურთი იყოს პრიორიტეტული სახეობა“**

## „ზუსტად ამას ვცდილობ, მასობრიობამ უნდა იმატოს, ეს არის მთავარი“

**მაგდა კლდიაშვილი**

**საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციას ბიუჯეტი მხოლოდ ნახევარი მილიონი ლარი აქვს. როგორ იყენებს ფედერაცია მწირ ბიუჯეტს, რაში ჰყოფნის და არის თუ არა მართალი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჩოგბურთი ძვირადღირებული სპორტია. ჩოგბურთელები წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებისთვის ემზადებიან. თბილისის ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე საქართველო ოთხი ჩოგბურთელით წარდგება. რას ელოდება ჩოგბურთის ფედერაცია ოლიმპიადიდან და რა პირობებში უწევთ სპორტსმენებს მომზადება - „პრაიმტაიმის“ ექსკლუზიური ინტერვიუ ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან, ალექსანდრე მეტრეველთან.**

**- რამდენია ჩოგბურთის ფედერაციის ბიუჯეტი და რამდენად საკმარისია ეს იმისთვის, რომ სპორტის ეს სახეობა განვითარდეს?**

- მიზნობრივი ბიუჯეტი 550 ათასი ლარი გვაქვს. რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი. რისი გაკეთებაც შეგვიძლია, იმას ვაკეთებთ. ეს არის გუნდური პირველობები, დევისის თასი, ფედერაციის თასი, ყველა ასაკობრივ ნაკრებს ვუშვებთ როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის ევროპის პირველობაზე. კიდევ ვნახულობთ გამოსავალს, რომ ინდივიდუალურ გამოსვლებში დავეხმაროთ ჩოგბურთელებს. მაქსიმალურად ვახერხებთ, ბიუჯეტი, რაც გაწერილი გვაქვს, შედეგიანად იყოს გამოყენებული, მაგრამ სპორტი, ზოგადად, ისეა, როგორც უძირო ქვევრი. რამდენიც არ უნდა გქონდეს, არასდროს გეყოფა. ჩვენ ვსაუბრობთ იმ რეალობაზე, რაც უნდა იყოს. ჩვენი ყველაზე მთავარი პრობლემა ინფრასტრუქტურაა.

**- ჭადრაკის ფედერაციამ სოლიდური დაფინანსება მიიღო ბიუჯეტიდან. თუ გაქვთ სპორტის სამინისტროსთან კონსულტაცია, რომ დღის წესრიგში დადგეს ჩოგბურთის ფედერაციის ბიუჯეტის გაზრდა?**

- აუცილებლად. მინისტრი ახალი დანიშნულია. ვიყავი გაფართოებულ თათბირზე. ძალიან მომეწონა ახალი მინისტრი, ფედერაციებთან ურთიერთობაში ახალი ხედვები და ახალი სტრატეგია აქვს შემუშავებული. კონკრეტულ საკითხებზე შევთანხმდით. შევთანხმდით, რომ გვექნება შეხვედრები და დეტალურად გავივლით ყველაფერს. რაც შეეხება ჩვენს გრძელვადიან გეგმას, ეს ჯერ კიდევ შარშან წარვადგინეთ სამინისტროში. თვითონ სამინისტროს მიერ იყო აღიარებული, რომ ის ერთი კარგი ბიზნეს-გეგმაა, აუცილებლად ვაპირებ, რომ ეს საკითხი, რაც შეიძლება მალე განვიხილოთ, რომ ჩოგბურთი იყოს პრიორიტეტული სახეობა.

**- საქართველოში ბევრ სპორტის სახეობას არ გააჩნია კარგი ინფრასტრუქტურა, ჩოგბურთში რა პრობლემებია?**

- დედაქალაქიდან დავიწყებ, იმიტომ, რომ რეგიონებში ცუდი კი არა, კატასტროფული მდგომარეობაა. კერძოდ, იმერეთსა და ქუთაისს თუ ავიღებთ, ისინი, ვინც დღეს ქუთაისში ბავშვებს ავარჯიშებენ, ჩემი აზრით, გმირები არიან. გმირობის ტოლფასია იმ პირობებში და მოედნებზე ბავშვების ვარჯიში. 80 ბავშვი ჰყავთ შენარჩუნებული და ეს ბავშვები ვარჯიშობენ, ვერ წარმოიდგენთ, რაზე მაქვს საუბარი. ჩვეულებრივი ასფალტის მოედანია, სადაც ბალახია ამოსული. რომელ გასახდელსა და წყალზეა საუბარი. რაც შეეხება თბილისში არსებულ ინფრასტრუქტურას, დარბაზების ნაკლებობა გვაქვს. ზაფხულში, ასე თუ ისე, შეგვიძლია მოვამზადოთ ბავშვები. ზამთარში ცუდი მდგომარეობაა. ზოგიერთი დარბაზი არ თბება. გარეთ თუ 0 გრადუსია, შიგნით მინუს ორია. გვახარებს ის ფაქტი, რომ ოლიმპიადისთვის „მზიურში“ ახალი ბაზა აშენდა, თანამედროვე, ევროპული სტანდარტით, სადაც არის ცხრა მოედანი, თავის ერთი ცენტრალური მოედნით, ორი დახურულია, რომელიც ხელს მოგვცემს და პრინციპში, უკვე მიდის მოლაპარაკებაზე, რომ ოლიმპიადის შემდეგ ეს ბაზა ფედერაციას მმართველობაში გადმოეცემა. არასდროს ჰქონია ფედერაციას საკუთარი მოედნები. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, საქართველოს ჩემპიონატს რომ ვატარებთ, კომერციულ ფართში ვიხდით იჯარას. არსებული კლუბები გაყიდულია ან გასხვისებული და ასეთ პირობებში გვიწევს მუშაობა.



**- ჩოგბურთი საკმაოდ ძვირადღირებული სპორტია, საქართველოში არსებული სოციალური ვითარების ფონზე, გყავთ თუ არა კონტინგენტი?**

- კარგია, ეს კითხვა რომ დამისვით. ფედერაციაში მოსვლის დღიდან, ვცდილობ ამ თემაზე რაც შეიძლება მეტი ვისაუბრო. მოსახლეობას ავუხსნა და გავაქარწყლო მითი, რომ ჩოგბურთი არ არის ასეთი ძვირადღირებული და ხელმიუწვდომელი სპორტი. თბილისში არსებულ კლუბებს თუ ავიღებთ, ფასები 160 ლარიდან 200 ლარამდე მერყეობს. ეს იმისთვის, რომ ბავშვებმა კვირაში 4-5-ჯერ ივარჯიშონ. ჩემი აზრით, მისაღები ფასია. სხვა სპორტის სახეობებშიც ასეა. ჩოგბურთი ხდება ძვირადღირებული სპორტი, როდესაც პროფესიულ დონეზე გადადიხარ. ჩვენ კი ვცდილობთ, რომ წამყვან მოთამაშეებს დავეხმაროთ, მაგრამ სრულ დაფინანსებას ვერ ვაძლევთ. 550 ათასიდან ეს გამორიცხულია. გვაქვს დახმარება ოლიმპიური კომიტეტიდანაც. 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშებისთვის, ოლიმპიური ნაკრების წევრებს ეხმარება ოლიმპიური კომიტეტი. ეს სპორტსმენები უკვე სამი წელია ემზადებიან. საკმაოდ კარგი დაფინანსება ჰქონდათ. ჩემი პრიორიტეტი არის მასობრიობა. ყველა ფედერერი, ნადალი და შტეფი გრაფი ვერ გამოვა. ეს რის სპორტის ულამაზესი სახეობა, რომელსაც ასაკი არა აქვს. ხაზგასმით მინდა, ვთქვა - მოჰყავთ 4-5 წლის ბავშვები და ბევრ მოყვარულს გაჩვენებთ, რომელიც 70 წელს არის გადაცილებული და კვირაში სამჯერ მაინც თამაშობს ჩოგბურთს. ზუსტად ამას ვცდილობ, მასობრიობამ უნდა იმატოს, ეს არის მთავარი. აბა, შემდეგ საიდან უნდა მოვიტანოთ ნიჭიერი ბავშვების სელექცია. ჩოგბურთი უნდა გახდეს მეტად მასობრივი.

**- სპონსორები ახსენეთ, ქართულ სპორტს, ნებისმიერ სახეობაში უჭირს სპონსორის მოზიდვა, რამდენად ადვილია ჩოგბურთში ეს?**

- სპონსორების არსებობა სპორტის განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ჩოგბურთიც არ არის გამონაკლისი და სპონსორების მოზიდვაც ჭირს. თუმცა, ფედერაცია ამ მიმართულებით აქტიურად აპირებს მუშაობას. არ შემიძლია არ აღვნიშნო კომპანია „ბორჯომი“, რომელიც ყოველთვის გვეხმარება თავისი პროდუქციით.

**- მე დავესწარი საქართველოს ღია პირველობის გამარჯვებულების დაჯილდოებას 14 და 16 წლამდელებს შორის, რომელმაც პომპეზურობის გარეშე ჩაიარა. ბიჭი, რომელმაც პირველობა მეხუთედ მოიგო, მხოლოდ მედლით დააჯილდოვეს. რატომ არ ხდება სპორტსმენების წახალისება?**

- როდესაც საქართველოს ჩემპიონი ხდები, ასაკობრივ ნაკრებში ხვდები და ევროპის პირველობაზე მიემგზავრები. მგონი, ეს უკვე დიდი ჯილდოა. გვაქვს კომერციული ტურნირები, საპრიზო ფონდით, სადაც შეიძლება და კარგი იქნებოდა, რომ ეს სახალისო საჩუქრები ბავშვებისთვის გამოგვეყენებინა, რისი საშუალებაც არ გვაქვს, მაგრამ კონკრეტულად ქვეყნის პირველობას თუ ავიღებთ, ეს არ იქნება სწორი. ჩემპიონობა უკვე დიდი ჯილდოა.

**- წლის მნიშვნელოვან ღონისძიებებზე რას გვეტყვით?**

- ახლა მეხუთე ტურნირს ვამთავრებთ პანტიანის საჩოგბურთო ბაზაზე. ჩავატარეთ ხუთი პროფესიონალ კაცთა ათიათასიანი შეჯიბრი, სადაც საკმაოდ წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა ეროვნული ნაკრების წევრებმა. სანდრო მეტრეველი გამარჯვებული გახდა, გიორგი ჯავახიშვილი ნახევარფინალში შესასვლელ მატჩს თამაშობს, გიორგი ცივაძე უკვე ნახევარფინალშია. ეს ჩვენი ჩოგბურთელებისთვის მნიშვნელოვანია, ისინი სარეიტინგო ქულებს აგროვებენ, რომ რეიტინგი გაიუმჯობესონ. ორშაბათიდან ვიწყებთ 10 ათასიან ტურნირს ქალებისთვის, თელავის საჩოგბურთო ბაზაზე.

**- თბილისის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე რამდენი ჩოგბურთელით გამოვდივართ და მედლების იმედი თუ გაქვთ?**

- დიდი ალბათობაა, რომ პირველ ნომრად განთესილი იყოს ნიკოლოზ დავლიანიძე. გუნდში ორი ბიჭი და ორი გოგო გვყავს. ასეთია ოლიმპიური თამაშების ფორმატი. იმედიანად ვართ განწყობილი. წინა ოლიმპიადა უტრეხტში ჩატარდა, სადაც ჩვენი გოგონები, მარიამ ბოლქვაძე და ანა ახალკაცი ბრინჯაოს მედლის მფლობელები გახდნენ. მედლის ამბიციები გვაქვს, მაგრამ სახლში თამაში უფრო რთულია, რადგან უფრო დაძაბული ხარ.

# ალასანიას

**ქეთი ხატიაშვილი**

**ირაკლი ალასანიასთვის, შეიძლება ითქვას, პოლიტიკური ინტრიგა ისეთივე მშობლიურია, როგორც ქართული ენა. ეს მისმა ძველმა პარტნიორებმა ძალიან კარგად იციან, ახალი სახეები კი მის გვერდით არ ჩანან – არ უნდათ ზედმეტი რისკი. ახლა ამ ისტორიების მოყოლას არ დავიწყებთ.**

და როცა მუდმივად ინტრიგებში ხარ, სკანდალებიც არ გშორდება.

ბოლო ყველაზე სერიოზული სკანდალი ე.წ. კაბელების თემაა. ეს საერთოდ მისთვის ღირსების თემაა. აქ მან პოლიტიკურ ნაწილში უკვე სერიოზულად წააგო – ვერ დაამტკიცა, რომ ქვეყანამ დასავლური კურსი შეიცვალა. ამიტომაც ახლა მთელი ძალები და ცოდნა სასამართლოსკენ მიმართა.

თუმცა, ჯერ პოლიტიკით დავიწყოთ. ჩვენთვის კაბელების თემის ისტორია მაშინ გაჩნდა, როცა თავდაცვის ხუთი მაღალჩინოსანი დააკავეს.

თუმცა, თავად ირაკლი ალასანიასთვის ეს საქმე გაცილებით ადრე დაიწყო, მაშინ როცა მისთვის ცნობილი გახდა, რომ პროკურატურამ კაბელების თემაზე გამოძიება დაიწყო. ცნობილი კი ნამდვილად გახდა, გამოძიება ჩუმად არ დაწყებულა. მომჩივანმა მხარემ – „დელტამ“ ოფიციალურად მიმართა პროკურატურას და ღიად მოითხოვა საქმის გამოძიება. პროკურატურამ კი უკვე ძიების პროცესში თავდაცვის სამინისტროდან დოკუმენტების გამოთხოვა დაიწყო, მიმდინარეობდა საქმესთან კავშირში მყოფი პირების დაკითხვაც.

სწორედ მაშინ იწყება ალასანიას ინტრიგა. მან ღია განცხადებები გააკეთა, თავდაცვითი იარაღის შეძენაზე მოლაპარაკებებს ვაწარმოებო. ისიც თქვა, პარტიაში თავმჯდომარის პოსტს უნდა დავუბრუნდეო. მაშინ მხოლოდ საქმეში ჩახედულები მიხვდნენ, რატომ აკეთებდა თავდაცვის მინისტრი პოლიტიკურ განცხადებებს, რისთვის ემზადებოდა ის. კითხვები ჟურნალისტებსაც გაუჩნდათ, თუმცა პასუხები ჯერ არ იყო.

პოლიტიკური განცხადებები დიდი ინტრიგის ნაწილი აღმოჩნდა. თუმცა, როგორც ჩანს, არ იცოდა ან დარწმუნებული არ იყო, რომ იმას, რაც შეიძლება ოპოზიციაში მყოფ პოლიტიკოსს „გაგიტარონ“, უკვე ხელისუფლებაში, მით უფრო, თავდაცვის მინისტრის პოსტზე ვერ გაპატიებენ. ამიტომაც ავანტიურა თავიდანვე განწირული იყო წაგებისთვის...

კორუფციის ბრალდებით კაბელების თემაზე თავდაცვის ხუთი მაღალჩინოსნის დაკავების შემდეგ ალასანიამ ეს საქმე პოლიტიკას მიაბა და სახიფათო განცხადება გააკეთა: ხელისუფლებამ კურსი შეიცვალა, ეს დაპატიმრება პოლიტიკურია, მთავრობას





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ავანტიურა და სკანდალი კაბელების თემაზე





# რატომ ადანაშაულებენ მოსამართლე დავით ჯულელს ქრთამის აღებაში

უნდოდა, საფრანგეთში თავდაცვის იარაღის შეძენის ხელშეკრულება ჩაეგდო და ყველაფერი ამიტომ მოხდაო.

ეს იმდენად დიდი შოკი აღმოჩნდა მისი გუნდის წევრებისთვისაც კი, რომ თეა წულუკიანი, მაგალითად, ამ ავანტიურაში ყოფილ პოლიტიკურ ბოსს არ აჰყვა. ისევე, როგორც არ აჰყვა მაია ფანჯიკიძის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილი.

ამ ისტორიებს აღარ მოვყვები. გეტყვით მხოლოდ, რომ რამდენიმე ხნის წინ თეა წულუკიანი ამ თემას კიდევ ერთხელ შეეხო და განაცხადა, რომ ალასანიას პარტიაში თავს მარტო გრძნობდა:

„დღეს ვარ მარტო და არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ, როდესაც ალასანიას პარტიაში ვიყავი, მაშინაც მარტო ვიყავი და მარტო ვგრძნობდი თავს. იმისთვის, რომ პარტია პარტიას დამსგავსებოდა, ძალიან ბევრი რამ გავაკეთე. დღეს მიხარია, როდესაც პარტიის პატარა, მაგრამ მაინც რეიტინგს ვხედავ...“

რეიტინგს ხედავს, პერსპექტივა ვერ დაინახა, ამიტომაც წულუკიანმა სხვანაირი არჩევანი გააკეთა. რესპუბლიკელებმაც კოალიციიდან გასული ალასანია ჯერ თითქოს გამოიტირეს, თუმცა ინტრიგებში არც ისინი აჰყვნენ. მეტიც, უკვე თავდაცვის მინისტრად დანიშნულმა თინა ხიდაშელმა თავის ერთ-ერთ ბოლო განცხადებაში აღნიშნა, რომ თავდაცვითი იარაღის შეძენასთან დაკავშირებით ხელშეკრულებაზე სერიოზულად ჯანელიძემ იმუშავა და არა ალასანიამ:

– მე არ ვიცი, რას გულისხმობს ბატონი ალასანია, როდესაც სატელეფონო ზარზე საუბრობს, იმიტომ რომ არსებობს ფაქტი, რომელიც თვალნათელია, ჩემ წინაშე დევს და იქ არანაირი კითხვები არ არის. მინდია ჯანელიძის დროს, კიდევ ერთხელ ვამბობ ხაზგასმით და სრული პასუხისმგებლობით, ამ ხელშეკრულებაზე მუშაობა გაცილებით სერიოზული იყო, ვიდრე მანამდე. ხელშეკრულება ხელშეკრულებას დაემსგავსა მინდია ჯანელიძის მინისტრობის დროს, მანამდე ეს იყო კეთილი სურვილების კრებული.

ანუ, რაც შეეხება პოლიტიკურ სცენაზე დიდი ავანტიურის გათამაშებას, აქ ალასანიამ დიდი ანგარიშით წააგო. ყველა დარწმუნდა, რომ თავდაცვით იარაღის შეძენასთან დაკავშირებით, ფრანგულ კომპანიასთან მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს, რომ სერიოზული ხასიათი ამ მოლაპარაკებებმა და, შესაბამისად, ხელშეკრულებამაც, ჯანელიძის დროს მიიღო და რაც მთავარია – ქვეყანას დასავლური კურსისგან არ გადაუხვევია.

ახლა ერთადერთი სასამართლო დარბაზი დარჩა. აქაც თუ წააგო, ირაკლი ალასანია რისკავს, პოლიტიკაში ღირსების გარეშე დარჩეს. ამიტომაც ამ საქმეს მისთვის საბედისწერო დატვირთვაც კი აქვს. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, ყველაფერი გააკეთოს, მოგების ილუზია მაინც შექმნას.

ინტრიგების მთელმა სიმძიმემ სწორედ სასამართლოში გადაინაცვლა. კაბელების საქმეზე ალასანიას სკანდალური განცხადებები სამართლებრივ ჭრილში ისეთივე უსაფუძვლოა, როგორც ქვეყნის კურსის ცვლილება იყო. ექსპერტები ირწმუნებიან, რომ ამაშიც მალე დავრწმუნდებით.

პოლიტიკურ სცენაზე ირაკლი ალასანია შეეცადა, თავისი კავშირები სრულად გამოეყენებინა, ვერტიკალზე სერიოზული კრიზისი შეექმნა და სახიფათო თამაშები დაიწყო. ცდილობდა, ყველა დაერწმუნებინა, რომ, როგორც ფანჯიკიძე და პეტრიაშვილი გადადგნენ, ისევე გადამდგარიყვნენ სხვებიც, ისინი, ვისთანაც მეგობრობა ან ნაცნობობა აკავშირებდა. მისასვლელ გზებს ყველასთან ეძებდა. თუმცა, ოჯახის წევრების გარდა, მხარი არავინ დაუჭირა.

როგორც ჩანს, ახლა იგივე მეთოდებს უკვე სასამართლოში მიმართავს. ყოველ შემთხვევაში, გასაკვირი არ არის, რომ სწორედ ასეთი ეჭვები გააჩინა კაბელების საქმეზე მოსამართლე დავით ჯულელის პერსონამ.

გაზეთი „ვერსია“ იყო პირველი, ვინც ჯულელსა და ალასანიას შორის ნათესაურ კავშირებზე დაწერა. გამოცემის ინფორმაციით: მოსამართლე დავით ჯულელი კახა ჩიხრაძის ახლო ნათესავია, თავის მხრივ, ჩიხრაძე კი – ალასანიას უახლოესი გარემოცვის წევრი:

„საქმე ისაა, რომ ის კახა ჩიხრაძის ახლო ნათესავია, ჩიხრაძე კი ალასანიას უახლოესი გარემოცვის წევრი. 2002 წელს, როდესაც ალასანია უშიშროების მინისტრის მოადგილე გახლდათ, ჩიხრაძე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შს მინისტრის უფროსის მოადგილედ მუშაობდა. შსს-ს რიგებიდან ჩიხრაძე 2003 წელს დაითხოვეს. 2004-2006 წლებში, როდესაც ალასანია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარე იყო, ჩიხრაძე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა, 2009 წლიდან კი ის ალასანიას დაცვის უფროსი გახდა. 2012 წლის ნოემბერში ალასანიამ კახა ჩიხრაძე თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე დანიშნა. ჩიხრაძემ თანამდებობა ალასანიას გადადგომის შემდეგ დატოვა, თუმცა უმუშევარი არ დარჩა და დღემდე პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ უსაფრთხოების სამსახურის უფროსად მუშაობს“.

ეჭვები მხოლოდ მტკიცებულების დაუშვებლობამ როდი გააჩინა. ინტრიგა დაიწყო მაშინ, როცა სასამართლო პროცესი უპრეცედენტოდ გაიჭიმა – უკვე 2 თვე და 8 დღეა გასული და დღემდე წინასასამართლო სხდომა მიმდინარეობს. მოსამართლე დავით ჯულელი მიკერძოებულია და ცდილობს, ბრალდებულად ყოფნის 9-თვიანი ვადა ხელოვნურად გააჭიანუროს – ასეთია დასკვნა.

ექსკლუზიური წყაროს მტკიცებით, კაბელების საქმეში ჯულელს შუამავლის მეშვეობით სერიოზული ქრთამი აქვს აღებული.

ამიტომაც უპრეცედენტოდ ჭიანურდება სასამართლო პროცესი. რის მიღწევა სურთ? პირველ რიგში, 9-თვიანი წინასწარი პატიმრობის გასვლის.

ამიტომაც, მოსამართლემ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვის დროს გააკეთა კანონის თავისებური განმარტება და სასაქონლო ექსპერტიზას აუკრძალა ბაზრის კვლევის ჩატარება. თუმცა, სამხარაულის ექსპერტიზამ 2011 წლიდან, როგორც ცნობილია, ათი ათასობით სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა გასცა. ჯულელს სხვა საქმეებში მსგავსი მტკიცებულებები მიღებული აქვს, გამონაკლისი მხოლოდ კაბელების საქმე აღმოჩნდა.

ანუ არის, ერთი მხრივ, გაჭიანურებული სასამართლო პროცესი და მეორე მხრივ, მტკიცებულება, რომელიც ადრე იგივე ჯულელს მიღებული აქვს, როგორც მტკიცებულება, და სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნა მხოლოდ კაბელების საქმეზე „დაბრაკა“.

როგორ კეთდება ასეთი საქმეები, ნაცნობობით? ეს სასაცილო იქნებოდა და არასერიოზულიც. მხოლოდ ნაცნობობა ასეთ სერიოზულ საქმეებს არ შველის, ნაცნობებს ეძებენ შუამავლად, შუამავალი თუ სანდო არ არის, ფულზე საუბარი ვერ შედგება. ეს, როგორც წესი, ასეა. უცნობს ქრთამზე არ ელაპარაკებიან.

ჰოდა, ეჭვები ამ გასკანდალებულ საქმეზეც ბუნებრივად გაჩნდა.

სანდო წყაროდან მიღებული მტკიცებით, დავით ჯულელმა თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ალასანიას მიერ წარმოგზავნილი შუამავლის წინადადება მიიღო და ქრთამი აიღო.

ირაკლი ალასანია ვაბანკზე მიდის. სასამართლო დარბაზშიც თუ წააგო, პოლიტიკაში ის მთლიანად გაკოტრდება.

## საქმის მთავარი დეტალები და ეჭვები






## ვინ იყო შუამავალი და რა კავშირი აქვს ამ სკანდალთან კახა ჩიხრაძეს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N23 (324) ორშაბათი, 15 ივნისი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge



„47 წლის ვარ და ზოგჯერ ახლაც ვერ ვხვდები რატომ შორდება ქალი და კაცი ერთმანეთს“

exclusive

# დათო დარჩია: „მირიან ბარათეონი მე გამოვიგონე“



# „ოქროს ტალღის“ მთავარი ჯილდო ანრი ჯოხაძეს გადაეცა

exclusive



# ჯგუფი „პულსი“ „ჰოუმ სტუდიოდან“ „იქს ფაქტორის“ სცენაზე

exclusive

ვინ არის გოგონა, რომელმაც ქუჩაში ბიჭებს ტუჩებში კოცნით პოზიტივი გაუცვალა



exclusive

ალექსანდრე მეტრეველი - ჩოგბურთი უნდა გახდეს მეტად მასობრივი



exclusive

ბოლნისში ფეხბურთი ბრუნდება



ლადო ბურდულმა კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა

exclusive



# რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს მიშა მშვილდაძე და თემო მჟავია

exclusive

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება